


ეროვნული  
ერებულაძე



გიორგი გოგოლაშვილი

თეატრული და ცეკვის  
აკადემია

7

„მფერალი სტილია...  
სტილი არსებაა...“

(ფიქრები ოთარ ჩხეიძეზე)

თბილისი 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

„ენა და მწერალი“ ჩემი ფოლოლოგიური  
ცხოვრების თანამდევი თემაა. გადავწყვიტე, წი-  
გნაკების სახით წარმომედგინა მკითხველისა-  
თვის ჩემი ნაფიქრი... დ. კლდიაშვილის, მ. მა-  
ჭავარიანის, ა. კალანდაძის, ვაჟა-ფშაველას,  
მ. ჯავახიშვილის და კ. გამსახურდიას შესახებ  
ვისაუბრეთ...  
ამჯერად ოთარ ჩხეიძის ენობრივ სამყაროს-  
თან მიახლებას შევეცდებით...

### რედაქტორი პაატა ჩხეიძე

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

გარეკანი ნინო ებრალიძისა

## შინაარსი

<b>წინასიტყვა.....</b>	<b>5</b>
<b>კარი I. ოთარ ჩხეიძის ლინგვისტური პორტრეტი („ჩანაწერებიდან“ დანახული)</b>	
1. ოთარ ჩხეიძის ანდერძი .....	9
2. „ჩანაწერების“ თაობაზე .....	10
3. ქართული სიტყვის აპოლოგია .....	13
4. „საცოდავი ქართული ენა“ .....	17
5. „მატრაგვეცას“ ამბავი .....	20
6. ნაცვალსახული – მახასიათებელი .....	23
7. „ეს დიდი დღეა!“ – ბრძანა ოთარ ჩხეიძემ .....	26
8. „დავაღწევთ თავს ამ რუსულ უკუნეთსა?“ .....	44
<b>კარი II. ემფატიკური „ა“ და სქოლასტიკური პუნქტუაცია</b>	
1. ოთარ ჩხეიძის ემფატიკური „ა“ .....	57
2. ფიქრები „სქოლასტიკური პუნქტუაციის“ შესახებ .....	74
<b>კარი III. „სტილი ბედისწერაა“</b>	
1. სტილი – მთავარი სამიზნე .....	95
2. რეაქცია კრიტიკაზე .....	110
3. ოთარ ჩხეიძე – „სტილი ბედისწერაა“ .....	115
4. ნაირა გელაშვილი – „სემინარი“ თემაზე – „როგორ წავი- კითხოთ ოთარ ჩხეიძე“ .....	126
<b>კარი IV. რამდენიმე შენიშვნა ოთარ ჩხეიძის ენობრივი თავისებურებების შესახებ</b>	
1. „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები“ .....	139
2. მწერლის „ორთოგრაფიული ინიციატივები“ .....	149
3. ტავტოლოგიისათვის .....	157
<b>ბოლოსიტყვა.....</b>	<b>163</b>

## **მნა და მცენალი**

1. „შვენებით საქსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე) – 2019,
2. „ქართული ქართველთ რწმენაა“ (ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე) – 2019,
3. „ენა – ბედისწერა“ (ფიქრები ანა კალანდაძეზე) – 2019,
4. „ერი დედაა ენისა“ (ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე) – 2020,
5. „ენა მწერლის ბალაგარია“ (ფიქრები მიხეილ ჯავახიშვილზე) – 2021,
6. „ენა ერის თავდაცვის იარაღია“ (ფიქრები კონსტანტინე გამსახურდიაზე) – 2021,

გაგრძელება იქნება...

## შინასიტყვა

2012 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ტრადიციული სამეცნიერო კონფერენცია – „კლასიკოსთა გაკვეთილები“, რომელიც ოთარ ჩხეიძეს მიეძღვნა. იქ წაკითხულ მოხსენებას „წინასწარი“ დავარქვი და ასე დავამთავრე – „ეს საწიგნე თემა-მეთქი“... უპირველესად ეს განცდა მაშინ გამიჩნდა, როცა ოთარ ჩხეიძის ჩანაწერების წიგნი „დროდადრო“ და როსტომ ჩხეიძის „აგვისტოს შვილები“ წავიკითხე... შემძრა იმ ფრაზებმა, მწერალი „თავისთვის“ რომ ამოიგმინებს: „საცოდავი ქართული ენა!... საცოდავი ქართული...“ ანდა „ვარ შე უბედურო სამშობლო!“... თუნდაც მწარე დაფიქრება: „დავალწევთ თავს ამ რუსულ უკუნეთსა?“ – ამასაც ქართული ენის გამო ნატრობს... ეს ერთი მხარე იყო ინტერესისა და მეორე ის – თუ როგორი იყო იმთავითვე კრიტიკის დამოკიდებულება მწერლის ენისაღმი...“

დიდი ხანია საუნივერსიტეტო კურსს (ენა და მწერალი) ვუძღვები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ასე გაჩნდა იდეა სერიისა „ენა და მწერალი“. ჩვენი კლასიკოსების საოცარ ენობრივ სივრცეში „ხეტიალმა“ გადამაწყვეტინა და 2019-2021 წლებში ექვსი მწერლის –

დავით კლდიაშვილის,  
მუხრან მაჭავარიანის,  
ანა კალანდაძის,  
გაუა-ფშაველას,  
მიხეილ ჯავახიშვილისა და  
კონსტანტინე გამსახურდიას –

ენობრივ სამყაროში ვუმტგზურე მკითხველს... და უკვე ოთარ ჩხეიძის „საუფლოშიც“ შევაბიჯე...

ამ სერიის წამოწყებისას კითხვები დავსვი:

— რა არის ენა მწერლისათვის და მწერალი — ენისა-თვის...

— რას აძლევს ენა მწერალს და მწერალი — ენას...

შეძლებისდაგვარად ვეცდებით ამ წიგნშიც გავცეთ პასუ-ხი ამ კითხვებს...

\* \* \*

სერიის „ენა და მწერალი“ მეოთხე წიგნი („ერი დედა ენისა“) ვაჟა-ფშაველას მიეძღვნა. მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული შეძლებისდაგვარად გამოვყევი ქართულ პრესას, გავეცანი ვაჟას თანამედროვეთა მოგონებებს და დაისატა მეტად გულდასაწყვეტი სურათი: სამწერლო ასპა-რეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდანვე აკრიტიკებენ ვაჟას; ზოგჯერ ამას კრიტიკაც არ ერქვა — ბრალს სდებენ. 1888 წელს „ივერიაში“ წერენ: „ფშაური პოეზიის მოვლინებამ არია ენის ტამარიო“; „დაირღვა ერთიანი ქართული სალიტე-რატურო ენის პრინციპებიო“ (პ. მირიანაშვილი); გერონტი ქი-ქოძე იგონებს, დასავლეთ საქართველოდან წერილები მოსდის რედაქციას, „შეწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვაო“... მერე ჩნდება ტერმინები „ენობრივი ნატურალიზმი“, „ენობრივი პარტიკულარიზმი“ და ეს გრძელდებოდა მთელი XIX და XX საუკუნეების მანძილზე (გარდაცვალების შემდეგაც ებრძოდნენ ვაჟას...) ...

ოთარ ჩხეიძეზე ფიქრებმა ვაჟა-ფშაველას ამბები გამახ-სენა... სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში ეუცხოვათ ო. ჩხეიძის — ახალგაზრდა პროზაიკოსის — სითა-

მამე, ორიგინალური სტილი, ენობრივი პოზიცია და დაიწყო  
კრიტიკა; ბრალდების დონეზე ასული კრიტიკა:

„ამახინჯებსო ქართულ ენას“...

„თავის ნებაზე ათამაშებსო“...

„დასცინისო ქართულ ენას“ და მისთვანი...

ხშირად ასეთი „შეფასებები“ მხოლოდ დეკლარაციული  
ხასიათისა იყო...

\* \* \*

„ენა და მწერლის“ წინა გამოცემებში ვცალე ისეთი  
ფრაზა გამეტანა სათაურად, ქართული ენისადმი იმ მწერლის  
დამოკიდებულების განმსაზღვრელად რომ მივიჩნიე... ოთარ  
ჩხეიძის შემთხვევაშიც ამის მიხედვით შეირჩა სათაური –  
„მწერალი სტილია... სტილი არსებაა“... ყველა შემთხვევაში –  
იწუნებდნენ თუ იწონებდნენ მწერლის ენას, მთავარი „სამიზ-  
ნე“ სტილი იყო... ო. ჩხეიძის ენობრივი სტილი იქნება ჩვენი  
მთავარი საფიქრალიც...

ჩვენ უმთავრესად მწერლის ლინგვისტური პორტრეტი  
გვაინტერესებს... არ ვაპირებთ მწერლის თხზულებათა ენობ-  
რივ ანალიზს (თუმცა ნარკვევის ბოლოს ორიოდე სიტყვას  
ამის თაობაზეც ვიტყვით)... გვაინტერესებს – როგორ ხედავენ  
ოთარ ჩხეიძის როლსა და ადგილს ქართულ ენობრივ სივრცე-  
ში... როგორია მწერლის შეხედულება ენისა თუ სტილის შე-  
სახებ და ა. შ.... ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო უაღრესად  
მდიდარია; ჩვენ შევეცდებით ჩვენი თვალით შევისწოოთ ამ სა-  
მყაროში და რასაც მოვიზილავთ, სხვასაც გავუზიაროთ...

ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გასააზრებ-  
ლად დიდად დაგვეხმარა ოთარ ჩხეიძის „ჩანაწერები“ („დრო-  
დადრო“) – „ინტელექტმა“ რომ გამოსცა 2010 წელს (ასე  
ვიმოწმებთ – ჩ.) და როსტომ ჩხეიძის წიგნი „აგვისტოს შვი-  
ლები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“, რომელიც 2008 წელს გამოი-

ცა (ასე ვიმოწმებთ – აგვ. შვ.). მე თუ მკითხავს კაცი, ოთარ ჩხეიძის შემოქმედების გაცნობას რომ მოისურვებს ვინმე, მის სამყაროში შეღწევას, ეს ორი წიგნი გზამკვლევად უნდა გამოიყენოს...

\* \* \*

თავად ოთარ ჩხეიძე, განსხვავებით მისი დიდი წინაპრი-საგან (ვაჟა-ფშაველასაგან), არ უმართავს დავა-კამათს კრიტი-კოსებს, არ ეპაექრება მათ... და... აგრძელებს თავისი სტილის დახვეწას, დამუშავებას, ორიგინალური სახის სრულყოფას...

და ასე გრძელდებოდა...

ინტერესი ლინგვისტისა ამ ვითარებაში ბუნებრივია...

ჩვენც ამ ინტერესმა გვიბიძგა – გვესაუბრა ოთარ ჩხეი-ძის შესახებ...

ამახინჯებსო... ათამაშებსო... დასცინისო...

დავიჯეროთ?... მართლა აბუჩია მისთვის ქართული ენა? მართლა არ უყვარს? არ ედარდება მისი ბედი?...

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ძირითადად „ჩანაწერები-დან“ შევეცდებით.... გზადაგზა მოვიშველიებთ „აგვისტოს შვი-ლებს“ და, რა თქმა უნდა, ოთარ ჩხეიძის პროზასა და პუბ-ლიცისტიკასაც...

პარი I.

**ოთარ ჩხეიძის ლინგვისტური  
პორტფოლიო**  
(„ჩანაწერებიდან“ დანახული)

**1. ოთარ ჩხეიძის ანდერძი**

„აგვისტოს შვილებში“ როსტომ ჩხეიძე მამის – ოთარ ჩხეიძის – სიცოცხლის ბოლო დღეებს გაიხსენებს:

„მე კი მეტყოდა:

– იცოდე, ეს ორი საქმეც გაწევს ვალადო.

ერთი: იაკობ გოგებაშვილზე ბიოგრაფიული რომანის შექმნა.

მეორე: მისი სახლ-მუზეუმის მიხედვა-პატრონობა ვარიანტი.

შევპირდებოდი

და ნატოს ღიმილით ამცნობდა:

– მხურვალედ დამპირდა. წიგნს საკუთარი თავის იმედად და სახლ-მუზეუმს უთუოდ ზაზასიო...

ახლა რომ ვუკვირდები, მისი ანდერძი ეს გამოდის.

დაწერილი არაფერი დარჩენია.

სიტყვირად კი სხვა არაფერი უთხოვია – იაკობ გოგებაშვილის სახელს, ნაღვაწს, ნაადგილევს უნდა გავფრთხილებოდით და შეგვინარჩუნებინა ქვეყნისათვის ეროვნულ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ორიენტირად.

მეტს არას სთხოვდა საქართველოს“...

ესეც ვთქვათ: ასეთი ანდერძი უფრო გასაგები გახდა და აღარც გამკვირვებია იმის შემდეგ, რომ მითხოეს: ოთარ ჩხეი-

ძის ძმა – ავთანდილ ჩხეიძე – ყელქცეულში რომ მიღიოდა, აუცილებლად შეივლიდა ვარიანტით, იაკობის წყაროებთან შეისვენებდა, ჩამოჯდებოდა, შესვამდა იაკობის წყაროების წყალს და შემდეგ გაუცვებოდა გზას თავისი სოფლისაკენო...

მერე, როცა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ წავიკითხე, მივხვდი, რომ იაკობ გოგებაშვილი ჩხეიძეებისათვის სხვა იყო – იცოდნენ მისი ფასი!...

ყოველთვის ასე ვფიქრობდი: იაკობის სიყვარული და პატივისცემა დედაენის პატივისცემაა, ქართული ენის სიყვარული და ერთგულებაა!...

...და ამ მწერალზე თქვეს: თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინოსო ენას...

## 2. „ჩანაწერების“ თაობაზე

გამომცემლობა „ინტელექტმა“ წამოიწყო სერია – „ჩანაწერები“. 2010 წელს ამ სერიით გამოქვეყნდა ოთარ ჩხეიძის „დროდადრო“...

რას წარმოადგენს „ჩანაწერები?“ – განმარტავს გამომცემელი: ეს ფიქრია, ნააზრევია მწერლისა, „მხატვრულ ტექსტებში ვერდატეული სათქმელის ტკივილი, ფუთფუთი, ღრიალი შემოქმედის სულში“... „დიდი მწერლის ჩანაწერებიც, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, მისი ცხოვრება – მისივე ქვეყნის ბიოგრაფია; დიდი მატიანეაო“...

ჩვეულებრივ „ჩანაწერები“ „თავისთვის“ კეთდება... მითხრეს: ანა კალანდაძემ ბოლო წლებში თავისი ჩანაწერები გადაიკითხა; ბევრი დახია, გაანადგურაო – ჩემ შემდეგ გამოქვეყნება რომ მოისურვონო?... უმეტესად კი „არდავიწყებისათვის“ იქმნება დღიურები – „ღრიალი შემოქმედის სულში“...

ოთარ ჩხეიძეც ასე ფიქრობს: ინიშნავს თავისთვის, გასახსენებლად, შემდგომში დასამუშავებლად; ცხელ გულზე ნათქვამია ეს – მემუარებისათვის:

— „ვინიშნავ ასე... ვინიშნავ როცა გამახსენდება, ანთუ დრო დამრჩება, ანთუ ხალისი მეყოფა.

— ვინიშნავ და ვინიშნავდი მემუარებისათვისა, ცხელ გულზე ვინიშნავდი და მემუარებში დაიხვეწებოდა. რაღა თქმა უნდა, დაიხვეწებოდა და დაიხვეწება, თუ მოძიხერხდება, რო დავწერო მემუარები, — თუ არა, ალბათ ცხარე იქნება ცხელ გულზე ნათქვამი“.

დიახ, საჭიროდ თვლის მწერალი, იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩანაწერები ამ სახით მიაღწევს მკითხველამდე, არ დამძრახონო, სხვაგვარად არ გამიგონო — ეს გულიდან წამოსული სიმართლეაო — ზოგჯერ ცხარე, მაგრამ — უშაალო:

— „დღიური ცხარეა, დღიური უშვალოა, უშვალოა და განუსჯელი — ეს ნაკლი აქვს დღიურის უანრსა, ეს ღირსებაცა აქვს დღიურის უანრსა“...

ჩვენ სწორედ ამ ღირსების მხრიდან დავინახავთ ამ ჩანაწერებს — ამიტომაა ფასეული აქ, დღიურში, მოქცეული ფიქრები დედანის შესახებ („უშვალო“, „ცხარე“, „განუსჯელი“...).

მერე კი, როცა მწერალი ამ ჩანაწერებისათვის მოიცლიდა, მემუარებად აქცევდა, — რა სახეს მიიღებდა, რა მოაკლდებოდა და რა მოემატებოდა, ვინ იცის... რა დასჭირდებოდა და რა — არა... ამიტომაც აქვს ჩვენთვის ამ „უშვალო“ და „ცხარე“ ჩანაწერებს დიდი მნიშვნელობა...

დიახ, ასე ფიქრობდა მწერალი: „ვინიშნავ ასე... ვაწყობ ასე, უკან აღარ ვიხედები, აღარა ვკითხულობ; იმ დღეს ველოდები, როცა რო მოვიცლი დამშვიდებული ანალიზისათვის, ანუ მემუარებისათვისა“...

ცხადია, აზრი და ენა ამ ჩანაწერებისა გაუფილტრავია... ესეც სძენს ამ დღიურებს დიდ ინტერესსა და დამაჯერებლობას...

\* \* \*

რატომ ვამახვილებ ამ ფაქტზე (უშაუალობაზე, დამაჯერებლობაზე, აზრის „გაუფილტრაობაზე“) ყურადღებას? ვინმე დაეჭვდა ოთარ ჩხეიძის გულწრფელ დამოკიდებულებაში ქართული ენის მიმართ?

დიახ, მივანიშნეთ, ოთარ ჩხეიძეს „ბრალს სდებენ“ ქართული ენისადმი „უდიერ“ დამოკიდებულებაში... ჩვენ ამ მასალას ძირითადად მოვიხმობთ წიგნიდან „აგვისტოს შვილები“ (როცა ჩვენს ნარკვევში არ მივანიშნებთ წყაროებს, იგულისხმება სწორედ „აგვისტოს შვილები“).

\* \* \*

კრიტიკოსები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მკეთრად და მკაცრად შეაფასებს ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულებას ენისადმი, მწერლის ენობრივ-სტილისტურ სახეს:

- „ოთარ ჩხეიძის სტილი მკითხველმა აღიქვა ენობრივ ნატურალიზმად“;
- „ენობრივი ნატურალიზმი კი დასაგმობია მწერლობაში“;
- „პირდაპირ დიალექტზე წერს, სრულიად უკონტროლოდ ხმარობს“...
- „ამ ენით თითქოს საგანგებოდ აფრთხობს მკითხველს“...

და მომაკვდინებული დასკვნა:

- „თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინის ენასო“...
- ეს უკანასკნელი შეფასება ზემოთაც ვახსენეთ. უფრო ვრცლად მოგვიწევს საუბარი (გვ. 106). ეს არის დასკვნა იმ რეცენზიდან, რომელმაც რომანს „აღმართ-დაღმართი“ გზა გადაუკეტა გამოსაცემად...

\* \* \*

დიახ, „თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინისო ენასაც“...

- ამას ამბობენ მწერალზე, რომელსაც შეუძლია ისეთი აპო-

**ლოგია** შექმნას ქართული სიტყვისა, შემდეგ პარაგრაფში რომ წარმოგიდგენთ... მეტიც: როცა ქართული ენისადმი ოთარ ჩხე-იძის დამოკიდებულებაზე ვფიქრობ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თავის დროზე ვაუა-ფშაველას რომ არ ეთქვა, ოთარ ჩხეიძე იტყოდა: „კაცო, ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ნაწერებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ სულ არაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება!“...

გავხაზავ: მე ვსაუბრობ ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულებაზე ქართული ენის მიმართ და არ ვახდენ მისი ნაწერების ენობრივ-სტილისტურ ანალიზს; მისი სტილის შეფასებას, (რომელიც ზოგს შეიძლება მოსწონდეს და ზოგს – არა...) ... თუმცა ამაზეც ვიტყვი ჩემს აზრს, მაგრამ, ვფიქრობ: სანამ მწერლის ენას ასე მკაცრად შევაფასებო, აუცილებელია გავიაზროთ, როგორია მისი ზოგადი დამოკიდებულება ენისადმი... ვაუა-ფშაველას რამდენიმე წერილის დაწერა მოუხდა იმის სათქმელად, რომ ქართული ენა მისთვის ყველაზე წმიდათა წმიდაა!... დედაენა მისთვის ყველაფერია და სწორედ ამის გამოა მძიმე მოსასმენი უსამართლო კრიტიკა (ბრალდება!) – „ენას გიწუნებთო!“... ჩაუწერია კიდევ ერთგან ოთარ ჩხეიძეს: „კრიტიკა უფრო მეტად დამბეზღებლის როლში გამოდისო“...

სწორედ „ჩანაწერებიდან“ გვინდა დავინახოთ ოთარ ჩხეიძის ლინგვისტური პორტრეტი, ენობრივი სახე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოთარ ჩხეიძე – როგორც მზრუნველი, დამცველი, გულშემატკივარი და მუხლჩაუხრელი მსახური ქართული ენისა...

### 3. ქართული სიტყვის აპოლოგია

ოთარ ჩხეიძისათვის ქართულ სიტყვას სხვა ფასი აქვს. გიორგი ლეონიძის შექება რომ მოუნდა, ასე დაახასიათა: „ქართული სიტყვის ჯადოქარი მესაიდუმლოე“; – ანუ: ყველა-

ზე უკეთეს საშუალებად პოეტის დასახასიათებლად ქართულ სიტყვასთან მისი დამოკიდებულება მიიჩნია...

გამომცემელთან საუბარმა სიტყვა „მატრაკვეცები“ მოიტანა და მწერალმა აღფრთოვანება ვერ დამალა – „რა კარგი სიტყვააო“ (გადაუხვია საუბრის თემას... ვიტყვი ამაზე უფრო ვრცლად, გვ. 20)...

ერთ-ერთ ჩანაწერებში სიტყვათა დაყოფა-დაჯგუფება სცადა მხატვრულ და არამხატვრულ სიტყვებად. ესეც მოვისმინოთ: „მხატვრული სიტყვა უცნაური რამაა, მხატვრული სიტყვა გზას გაიკაფავს; იკაფავს... არ გამოიკვრის ერთ ბოხჩაშია, არა, არ გამოიკვრის“...

ერთგან შემფოთებულს ჩაუწერია – „დამიბლაგვდა სიტყვაო“...

აქ უფრო ფიქრია მწერლისა, მომენტალურად გაელვებული, მაგრამ მკვეთრად მიმანიშნებელი მწერლის დამოკიდებულების თაობაზე სიტყვისადმი...

თუმცა ამ დამოკიდებულების გასარკვევად რომან „მთაგრეხილსაც“ მოვიშველიებ (შევაშველებ „ჩანაწერებს“).

\* \* \*

1984 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ოთარ ჩხეიძის რომანი „მთაგრეხილი“. რომანში „გადახვევად თუ პოლემიკურ პასაუად“ (როსტომ ჩხეიძე) ჩართულია მწერლის ვრცელი მსჯელობა სიტყვის შესახებ – „სიტყვის აპოლოგია“... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მწერალთაგან სიტყვის ასეთი დახასიათება, ასეთი გააზრება სიტყვის მნიშვნელობისა, თვისებებისა, ბუნებისა – სხვა არ მეგულება... ფაქტობრივ ზემოთ მოყვანილი ორიოდე კომენტარი სიტყვის შესახებ სწორედ ამ „აპოლოგიის“ მეშვეობით ცნაურდება...

\* \* \*

მოკლედ, მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს „მთაგრეხილი-დან“ მცირე კომენტარებით:

მწერალს **სიტყვა** საძებარი არ უნდა ჰქონდეს: „თუ ეძებ სიტყვასა, თუ ეძებ წერის დროსა, რიღას დაწერა მოგინერხდება. — აღარაფრისა; სათქმელი ჩქეფს და ეს სიტყვაა, რო აჩქევებს სათქმელსა, თუ გაქვს სათქმელი რაღა თქმა უნდა, თუ არადა ეძებე სიტყვები რამდენიც გენებოს“...

,„და არც ვებრძვი და არც ღამეს ვუთევ, რადგან რო **სიტყვა უერთგულესი მეგობარია მწერლისა**, იარაღია მისი, იარაღი, და ბრძოლაი საკუთარ იარაღთანა, მსხვრევაი მისი, ბრძოლის ველიდან გაქცევას უდრის, როცა მტერი რო შემოსულა“... — როგორც ვხედავთ, ეს „პოლემიკაა“ ცნობილ მწერალთან — „ვებრძვიო სიტყვას“, „ღამეებს ვუთევო“...

ოთარ ჩხეიძის აზრით, ენას უანგაროდ უნდა ემსახურო, თავდადებით, და არ უნდა „დააყვედრო“ შენი მსახურება — „არც არავის არგია ტრაბაზი იმისა, თითქოსდა აი მე შემოვიტანე ლიტერატურაშიო“... სიტყვას „არც ვეძებ და არც ვებრძვი“...

და ამას მოსდევს საოცარი „ქებად და დიდებად ქართულისა სიტყვისად“...

**ფაქტობრივ ესაა პასუხი კითხვაზე: რა არის სიტყვა:**

,„სიტყვა სიმღერაა, ღალადისია, გალობაა, მუსიკაა, მუსიკა, წარსულის მღელვარება რო მოუტანია და იმედი რო მოაქვს მომავლისა, რო უღერს აგერ რო დიდიხანია და რო იუღერებს მარადისა, იუღერებს, იუღერებს, ისე უღერს, რო არ გახუნდება, სიტყვა მუსიკაა, სიტყვა ხმაა და ხმა სიცოცხლეა; მუსიკა ტკბობაა, და ტკბობაა სიცოცხლეცა. რაც არ უნდა გაწამებულიყოს ადამიანი, რო არ ეთმობა და რო არც დასთმობს, რო შეეძლოს რაღა თქმა უნდა: სიტყვა ცხოვრებაა, ცხოვრება სიტყვის შინაარსია, სიტყვა სახეა ცხოვრებისა.

ჩვენი სიტყვა ჩვენი ცხოვრებისა, სიტყვა თვითონაა მხატვრული სურათი, თვითონაა, თვითონა, ამბავია, ნოველაა დასრულებული კომპოზიციით, ესკიზი ჰო არის და არის“...

მაგრამ სიტყვას გაფრთხილება უნდა, მოფერება უნდა, მოვლა-პატრონობა უნდა... სიტყვა არ უნდა „გაჯავავრო“, არ უნდა „გააგულისო“, თორემ ენა ისეთი ფენომენია, სიტყვა ისეთი ფენომენია, თვალსა და ხელს შუა შეიძლება მეტამორფოზა განიცადოს, რომ არ მოელი, ისე.

„ანთუ ვინ იცის, მოიხიბლებოდი, ესოდენი უნარი რო პქონდა ენასა, გარდაიქმნებოდა, თვალსა და ხელს შუა გარდაიქმნებოდა, სინაზიდან სიტლანქემდისა, მშვენიერებიდან სიმახინჯემდისა, სიკეთიდან ბოროტებამდისა, გარდაიქმნებოდა, გარდატყდებოდა, უკურად და ნელნელობითაცა, აურაცხელი ნიუნსებითა“...

და ის საოცარი „სიტყვა“ – ზემოთ დიდებული ხოტბა რომ შეასხა, ასე შეიძლება გარდაიქმნას –

„სიტყვა გაცხარდება, სიტყვა გამწარდება, სიტყვებს აიხვეს, დაბზრიალდება, დაკოწიაწდება, ამთავდება და წამოიმზღვლევა, დაიმსხვრევა და ცეცხლს გააჩენს, ცეცხლი ამოსდის პირიდანა, სიტყვები აღარა, რისხვა ამოსდის პირიდანა, სიტყვები აღარა, ანთუ ის აღარა, ის ტკბილი სიტყვები, ღუღუნი იგი, ტკბილღუღუნი, – (...) არა, აღარაა ის ტკბილი ღუღუნი... ანუ სიტყვანი სიამტკბილობისა“...

სიტყვის ეს საოცარი მეტამორფოზა იმის წყალობაა, რომ სიტყვა შინაგანად მდიდარია, მრავალფეროვანია, მრავალწახნაგოვანია... და გრძნობდა მწერალი და ჩვენც გვარწმუნებდა –

„თითო სიტყვა რო თითო ნოველას შეიცავდა, სათითაოდ რო მოსთქვამდა წარსულსა, ისტორიას მოსთქვამდა ყველა კილოკავზე და ყველა ერთადა, ცხოვრებას მოსთქვამდა, ქართლის ცხოვრებასა. ლექსიკონიც ისტორიაა, ანთუ ისტორია

ლექსიკონია, „სიტყვის კონა“ ისტორიაა. ცხოვრება. ისტორია. „თვალიდური ჭაშნიკი“. ცხოვრება“...

რუსულან ნიშნიანიძეს ჰქონდა ბელიერება, გასაუბრებოდა მწერალს და თუნდაც ასეთი კითხვა დაესვა: „პირველად როდის „გაგიტაცათ“ სიტყვამ“...

ცხადია, ოთარ ჩხეიძის მკითხველს ეს კითხვა გაუჩნდებოდა; მაგრამ ამ დიალოგის გარეშე ეს პასუხი კი არ გვეცოდინებოდა. არადა, რეზიუმესავითაა სიტყვის მოტრფიალე მწერლის ფიქრებისა:

„პირველივე განცდაი ჩემი ეს იყო უარპყოფაი ყოველივე იმისა, რაც რო ჰქდებოდა ჩემს გარშემო, უარპყოფაი და წყურვილი გაქცევისა... სიტყვები ამისთვის არა კმაროდა... (...) თავშესაფარი მაინც გინდოდა (...) სწორედ მაშინა სიტყვა აღმოჩნდა თავშესაფარიცა, ნუგეშიცა, იმედიცა და საშუალებაცა. სიტყვა აღმოჩნდა. ისევ სიტყვაი. მაინც სიტყვაი (...) მაინც სიტყვა გახლდათ ის ჯაჭვი თუ ის თოკი წნისა. სხვა არც რა იარაღი აღარ არსებობდა თვინიერ სიტყვისა“.

ასე მასშტაბურად, ასე ფართოდ, ასე ღრმად ქართულ მწერლობაში არავის უცდია სიტყვის დახასიათება...

ესაა სიყვარული სიტყვისა, ენისა, ერისა...

და „ათამაშებსო“, „დასცინისო“...

#### 4. „საცოდავი ქართული ენა“...

ერთი საინტერესო პასაჟია „ჩანაწერებში“.

გაიოზ იმედაშვილი გარდაიცვალა და ოთარ ჩხეიძე ამბად გვიყვება. დროს აზუსტებს: „ეს ორი კგირის წინათ იყოო“...

ამ ფრაზამ („ორი კვირის წინათ“) სასაუბრო ქართულში გავრცელებული ფრაზა გაახსენა, თუმცა მოყოლილ თუ მოსაყოლ ამბავთან ეს არაფერ კავშირში იყო... ჩანაწერი გრძელდება...

„ახლა წერენ: ორი კვირის უკანო!“... და აღმფოთება მწერლისა: „ვერა ხვდებიან, რა უაზრობაა. საცოდავი ქართული ენა! წერენ და წარმოსთქვამენ ეს აკადემიკოსობის მაძიებლებიცა, აკადემიკოსებიცა, მინისტრებიცა, პარლამენტარებიცა, არ გავიკირდეთ რო მწერლებიცა. საცოდავი ქართული... საცოდავი!“

რა მოხდა, რამ აღაშფოთა მწერალი? მართალია, „ორი კვირის უკან“ შეცდომაა, მაგრამ ვითომ ეს ისეთი შეცდომაა, რომ ქართული „გაასაცოდავა“?

ორი კვირის წინათ...

ორი კვირის უკან...

რა არის ამ შეცდომაში ტრაგიკული, ამაზე არას ამბობს მწერალი... არ ჩნდეს ეს მხოლოდ ამ ორი სიტყვის (წინ / უკან) უბრალო მონაცემება...

ფაქტია, მწერლისათვის ეს არ არის მეტყველების ლაფ-სუსი, „უბრალო შეცდომა“...

ეგ რუსულის კალკია! ქართულ ენობრივ აზროვნებას ჩა-ენაცვლა რუსული ენობრივი აზროვნება! – მწერლის აზრით, ეს შეცდომაზე მეტია! („საცოდავი ქართული!...“)

ქართული გაიცვალა რუსულზე...

როგორ? რით სჯობია „ორი დღის წინათ“ გამოთქმას „ორი დღის უკან?“ „ორი წლის წინათ“ – გამოთქმას „ორი წლის უკან?“

კითხვა შეიძლება ასე დავსვათ: რატომაა ასეთი სხვაობა; რატომ ხდება ერთსა და იმავე კონტექსტში ანტონიმთა „წინ“ და „უკან“ ჩანაცვლება? ჩანაცვლება, რომელმაც აღაშფოთა მწერალი...

მიხეილ ქურდიანთან ვსაუბროდი ერთხელ ამ თემაზე (ყოველ შემთხვევაში მე ეს მისგან გავიგე...). მიხეილმა ამიხ-

სნა – როგორ განსხვავებულად აღიქვაშს სამყაროს რუსი და ქართველი...

ჩვენ ვცხოვრობთ დროში.

ქართველის წარმოდგენით, აღამიანი მარადიულია, უც-  
ვლელია; დრო ცვალებადია, მოძრავია...

რუსის წარმოდგენით, დრო არის მარადიული, უძრავი;  
აღამიანი კი მოძრავია; ცვალებადია...

ამიტომ ჩვენს შემთხვევაში – „ქართულ შემთხვევაში“:  
ჩვენ „ვდგავართ“; დრო – მოძრაობს, წინ „მიდის“; ამიტომ  
ორი წლის წინანდელი ამბავი დროსთან ერთად ჩვენ წინ  
აღმოჩნდება!....

ამიტომ ქართული ენობრივი აზროვნება ასე გამოხატავს  
ამ ამბავს: „ორი წლის წინ (წინათ)“...

„რუსულ შემთხვევაში“ დრო მარადიულია, უცვლელია,  
დგას... რუსი მოძრაობს, მიდის წინისაკენ... ამიტომაც ორი  
წლის ადრინდელი ამბავი რუსის „უკან“ მოექცა; რუსი აღმო-  
ჩნდა მის წინ... ამიტომ რუსისთვის ის ამბავი „ორი წლის  
უკან“ მოხდა (два года назад)...

როგორც ჩანს, მოვლენას ამგვარად გაიაზრებდა ოთარ  
ჩხეიძე:

„ორი წლის წინათ“ – ქართული ენობრივი აზროვნებაა...

„ორი წლის უკან“ – რუსული ენობრივი აზროვნებაა...

თუ ქართველი ამბობს „ორი წლის უკან“, რუსული  
ენობრივი აზროვნებით ჩანაცვლა ქართული...

აი, ამან აღაშფოთა მწერალი! აი, ამიტომა „საცოდავი  
ქართული“ იმათ ხელში, ვინც ამას ამბობს...

რეაქცია გამოხატა, მაგრამ არ ახსნა მოვლენა; არ გან-  
მარტა – რატომაა საცოდავი... გასაგებია: ჩანაწერს რომ თა-  
ვისთვის აკეთებს... არდასავიწყებლად... ემოციების „შესანახა-  
ვად“... აი, მემუარებში თუ გადაიტანდა, გაიშლებოდა, გაეცე-

მოდა პასუხი კითხვას, რატომაა „საცოდავი ქართული ენა“ ამ მაგალითის მიხედვით...

დროის მარადიულობა და ცვალებადობა რომ აფიქრებს მწერალს, დრო რომ პრობლემაა ადამიანთან მიმართებით და ოთარ ჩხეიძეს ეს მიმართება რომ აინტერესებს; ერთ ადგილს მოვიყვან „არტისტული გადატრიალებიდან“:

„იყო ასეთი დროცაო, იტყვიან. რა სათქმელია!... დროს არც ნამყო აქვს, არცა მყობადი, დრო აწმყოა. დრო არის, არის, არის. ადამიანები იყვნენ, არიან, იქმნებიან, რანიცა ყოფილან იქმნებიან იგინივენი; მოდიან, მიღიან, მიედინებიან. თამაშობენ. თეატრობენ. წარვლიან. შეჰქურებს დროი, უცვალებელი, მარადიული, მაყურებელი მარადიული... დროი. ცვალებადი და მარადიული, უცვალებელი და მარადიული“...

ნუ დავიწყებთ შედარებას ამ პასაუში დროის გაგებას როგორ მიესადაგება ჩანაწერებში დროის გაგება... ფაქტია – მწერალი ქართულ ტრადიციულ გამოთქმაში – „ორი კვირის წინათ“ – ქართულ სულს, ქართულ ენობრივ აზროვნებას, ენობრივ ტრადიციას ხედავს და იმიტომ ეცოდება ქართული ენა იმათ ხელში, ვინც ამბობს „ორი კვირის უკანო“...

და ამ კაცზე ამბობენ...

## 5. „მატრაკვეცან“ ამბავი

„ათამაშებსო ენას“, თქვეს მწერალზე, რომელსაც „ამ თავისი ენით მოსწონს თავი“... რომელიც, ურიგო ქართულს რომ მოისმენს, ამოიგმინებს: „საცოდავი ქართული ენა! საცოდავი!“... ეს „ჩანაწერებში“ ხდება, თავისთვის დარდობს, გლოვობს ქართული ენის „გაჭირვებას“... თავისთვის, სხვისთვის მოსაწონებლად კი არა...“

მწერალი ამ „საცოდაობის“, „გაჭირვების“ მიზეზებზეც მიანიშნებს ღიად, გახსნილად, დაურიდებლად...

საბჭოთა მწერლობაზე საუბრობს. „ორმოცდაათი წელია, მხარში უდგანან ხელისუფალთა, ამართლებენ მკვლელობასა, მტარვალობასა, ადამიანის სულიერ გადატაკებასა, თავისუფლების ჩახშობასა, პატარა ერების დამცირებასა და გაჩანაგებასა, ამართლებენ ყველასა და ყველაფერსა, რის გამართლებაც არ შეიძლება, ვის გამართლებაც არ შეიძლება, ამართლებენ და აღიდებენ, აღიდებენ დანაშაულს, უღირსობასა, ბოროტებასა“... ეს მსჯელობა იქმით მიღის, რომ საბჭოთა რეჟიმი, ვინც მასთან არ იყო, „სჯიდნენ თუნდაც ოდნავი გადახვეული სიტყვისათვის“... და გაკვირვება: „ყველა რად გამოჰკრეს ერთ ბოხჩაშია?!“ და ისევ სიტყვა, სიტყვის ძალა და მნიშვნელობა:

„მხატვრული სიტყვა უცნაური რამაა, მხატვრული სიტყვა გზას გაიკაფავს; იკაფავს... არ გამოიკვრის ერთ ბოხჩაშია, არა, არ გამოიკვრის“...

და წაიყვანა თავისკენ სიტყვამ, მტკივნეულმა ფიქრებმა სიტყვასთან მიიყვანა... სიტყვამ „სიტყვაზე“ დააფიქრა...

სიმონ ჩიქოვანის ხსოვნის საღამოზე სიტყვა თქვიო, შესთავაზეს და ისევ ფიქრი „ამ სიტყვაზე“, სხვა „სიტყვაა“, მაგრამ ესეც „სიტყვაა“ – „სიტყვასაც თავისი კომპოზიცია უნდა, არაფერი ვარგა უკომპოზიციოდ“...

სიტყვის თემაზე ერთი საინტერესო მაგალითიც „ჩანაწერებიდან“:

„ტანის ხიდი“ იბეჭდება; კორექტორებმა „იყოჩაღეს“ და, „არ გაეპარათ“, „ჩავლეს“; „რაც რო არაბობას არ ჩაუდენია, რაც რო მონგოლობას არ ჩაუდენია, რაც რო სპარსობას არ ჩაუდენია, რაც რო ოსმალობას არ ჩაუდენია, მეცხრამეტე საუკუნეში ის ჩაიდინეს, გადადღაბნეს და გადაათეთრეს ფრესკები ჩვენს ტაძრებშიო“, – ნახეთო, ნახეთო, რას გულისხმობსო“... პირდაპირ გამომცემლობის დირექტორთან მიიტანეს კორექტორებმაო“, – წიგნის რედაქტორს უთქვამს ავტორისათვის...

და რომ ელოდება აღმფოთებას მწერლისას რედაქტორის, კორექტორის, თუ დირექტორის მიმართ... უცებ სიტყვა, ლამაზი ქართული სიტყვა „ამშვიდებს“ მწერალს... კვლავ ამონარიდი „ჩანაწერებიდან“: „რედაქტორმა შემომჩივლა, კორექტორებმაო, ჩემი ბრალი არ არისო, კორექტორებმაო. „მატრაკვეცებმა-მეთქი“... „მატრაკვეცებმა“ კორექტორებს მიემართებოდა; რედაქტორს ალბათ უხაროდა, ავტორის რისხვას მისამართი რომ შეუცვალა და ალბათ გაგრძელებას ელოდა... და ხდება საოცრება:

სიტყვაზე გახსენებულმა სიტყვამ — „მატრაკვეცა“ — მწერალს სიტუაცია თითქოს გადავიწყა და „გაპყვა“ ამ სიტყვას: „მატრაკვეცებმა-მეთქი. რა კარგი სიტყვაა, ანუ როგორ იცვლება შინაარსი სიტყვისა, ანთუ როგორ ივსება შინაარსითა!... მატრაკვეცი ჰო მოახლის თანაშემწეს ერქვა, მოახლის თანაშემწესა, ქალბატონის მოახლის თანაშემწესა, — რა მეტიჩარა უნდა ყოფილიყო მატრაკვეცი, რო სამსახურეობრივი სახელდება გადაქცეულიყო სინონიმადა მეტიჩარასი, რა მეტიჩარა უნდა ყოფილიყო, მეტიჩარაზე უარესი უნდა ყოფილიყო!... მატრაკვეცები!... ახლა ეს ადგილი მახინჯდება წიგნში“...

მწერალს „მისდაუნებურად“ „ლექსიკოლოგიურმა გადახვევამ“ ცოტა ხნით დაავიწყა „ტინის ხიდი“ და... მატრაკვეცაზე ფიქრის შემდეგ ისევ დაუბრუნდა „ტინის ხიდს“: „ახლა ეს ადგილი მახინჯდება წიგნში“...

ლამაზი ქართული სიტყვის გახსენებამ, მისმა ისტორიამ გაანელა რისხვა მწერლისა...

სიტყვამ მართა სიტუაცია... ესაა პროფესიონალიზმი — სიტყვის ოსტატის პროფესიონალიზმი...

ამ ფაქტმა აკაკი შანიძის ერთი ცხოვრებისეული ეპიზოდი გამახსენა:

ერთხანობას აკაკი შანიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი იყო. ერთი აკადემიკოსი გარდაცვლილა და ვიცეპრეზიდენტისათვის პანთეონში ადგილის მო-

გვარება დაუგალებიათ. მისულა მთავრობაში „დიდ კაცთან“ აკადემიკოსი აკაკი შანიძე და აუხსნია ვითარება. „დიდმა კაც-მა“ უსმინა, უსმინა და თავიც არ აუწევია, ისე უთქვამს – პანთეონში ადგილი არ არისო... და იქვე დაუმშვიდებია: ახლა არ არის, თორემ მალე ახალ პანთეონს გავხსნით და მერე რამდენიც გინდათ, კვდით და კვდითო...

„კვდით“ – უჩვეულო ფორმა ზმნისა: ამ ტიპის ზმნები უზმნისწინოდ არ იხმარება წყვეტილში. აკაკი შანიძემ ეს ფორმა რომ მოისმინა (ცოცხლად დაადასტურა!), სასწრაფოდ ამოიღო ჯიბიდან ფანქარი, ბლოკნოტი, ჩაინიშნა თურმე, წამოდგა და ამ ფორმის გამეორებით (კვდით და კვდით... კვდით და კვდით...) გამოვიდა გარეთ... ზმნის უცნაური ფორმის გაგონება იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის და საინტერესო, რომ დაავიწყა, რისთვის იყო მისული და „კმაყოფილმა“ დატოვა „დიდი კაცის“ კაბინეტი... აი, ესაა პროფესიონალიზმი...

მწერალს ლამაზი სიტყვის გაგონებამ რომანის ბედი გადაავიწყა... მეცნიერს უჩვეულო ფორმის გაგონებამ სამსახურეობრივი დავალება დაავიწყა...

## 6. ნაცვალსახელი – მახასიათებელი

შეიძლება თუ არა ნაცვალსახელი ეპითეტად გამოვიყენოთ ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: ნაცვალსახელს შევადაროთ პიროვნება? და მისი მეშვეობით დავახასიათოთ პიროვნება?

ოთარ ჩხეიძეს ეს შეუძლია...

პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ არის ამ შემთხვევაში ძირითადი „მახასიათებელი“... ეს გრამატიკული ტერმინიც „ნაცვალსახელი“ თავისუფლად შემოღის ლიტერატურულ მსჯელობაში... (ისე მე მთლად დარწმუნებულიც არა ვარ, ზუსტად ავსახავ თუ არა მოვლენას, ზუსტად ვარქმევ თუ არა სახელს, მაგრამ მაინც მინდა მოვყვე...).

საერთოდ, ოთარ ჩხეიძე „ჩანაწერებში“ არ ცდილობს საკუთარი აზრი მოგვახვიოს თავს (მე ასე ვფიქრობ... მე ვარ მართალი... მე...); ეს არაა ოთარ ჩხეიძის სტილი, ბუნება; იგი ძირითადად ფაქტებისა და მოვლენების მართალ აღწერას ახდებს, ამით კმაყოფილდება... იქაც კი, მწერალთა კავშირის დარბაზში, მისი ნაწარმოებების განხილვაზე თუ სხვა ლიტერატურულ შეკრებაზე, რა თქვა, როგორ დაასაბუთა, რა არგუმენტები ჰქონდა... – ამის თაობაზე არას ამბობს... რა ფორმით, რა სიტყვებით, რა ლოგიკით გამოხატა სათქმელი, ამის შესახებ არას ამბობს...

გასაგებია – ბუნებაა მისი ასეთი... სხვისაგანაც უკვირს ამგვარი რამ...

და ზოგჯერ საკმაოდ „მწარედაც“ გვიამბობს მომხდარს – სხვის ამბავს...

დღიურში ჩაინიშნავს რამდენიმე ამგვარ ფაქტს: – სწორედ ნაცვალსახელით ეცდება კოლეგის „წარმოჩენას“; პირის თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელით...

მე აქ, ამ შემთხვევაში ეს მაინტერესებს – ენობრივ შესაძლებლობათა გამოყენების ვირტუოზობა...

გიორგი ლეონიძეს ოთარ ჩხეიძე განსაკუთრებულ პატივს სცემს. „ჩანაწერებში“ ჩაუნიშნავს: „...მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა ნამდვილი გიორგი ლეონიძე, ავტორი ბრწყინვალე პატრიოტული ლექსებისა, ქართული სიტყვის ჯადოქარი მესაიდუმლე“...

მაგრამ ის, რაც პირადად მისთვის უჩვეულოა და მიუღებელი, არც გიორგი ლეონიძისათვის „უპატივებია“.

„გიორგი ლეონიძეს „რომანი და ისტორია“ მივუტანე (...). ის მარტოა, რაღაცას ჩაპირკიტებს (...). მომეგებება. მე წიგნს ვუწვდი. ეტყობა ედიდა, სულ ბარნოვიაო, მეკითხება“ და იწყება „მე“: „მე რატომ არაფერი მკითხე, მე ბევრი რამ ვიცი ბარნოვისა, თექვსმეტი წლიდან მე ვპატრონობდი, „საქართველოში“ რომანი მე დავუბეჭდეო, იუბილე მე მოვუ-

წყვეო, მეო... მეო... რატომ არ მკითხეო, ვცდილობ ღიმილი არ შევიმჩნიო; ნარგიზივით შეჰვევარებია თავის თავი“...

მაგრამ ვერ აკადრებს, არ მომწონსო... აქ ასეა...

აი, ეს სხვა:

მწერალთა კავშირთან ლევან გოთუას შევეჩეხეო. „გურამ გვერდწითელის წერილი წავიკითხეო, – მეუბნება ლევანი, – შენ უკეთ გეცოდინება, რამდენად მართალია, მაგრამ არ მომწონს ქედმალლურად, პრეტენზიულად რომ წერს. მე ვთქვი, ჩემი აზრით, მე ვურჩიეო, ამაზე ჩემს შეხედულებებს ჩამოვაყალიბებო... რა არის ეს, ნუთუ არა ფიქრობს, რა განწყობილებას იწვევს მკითხველში?!“ – ლევან გოთუას „ათქმევინებს“ თავის სათქმელსაც – მეტი დამაჯერებლობისათვის... ამიტომ კომენტარს გ. გვერდწითელის შესახებ კი არ აკეთებს, ლევან გოთუას აქებს: ლევანთან ლიტერატურული სჯაბაასი შეიძლება; ყოველთვის აქვს რაღაც ასაღელვებელი და მღელვარედაცა საუბრობს“... ანუ: ის, რაზეც ლ. გოთუა საუბრობს, ასაღელვებელი თემააო... ლევანს ვეთანხმებიო... – ესაა პოზიცია მწერლისა...

ერთ ამბავსაც გაიხსენებს „ჩანაწერებში“ – გიორგი ლეონიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთობას... „გოგლასა და კორიასი“... ამ ურთიერთობის „გასახსნელად“ რამდენიმე კომენტარს აკეთებს: „მე და გოგლა ყოველთვის გულითადი მეგობრები ვიყავითო, „ცისკარში“ წერს კონსტანტინე გამსახურდია, ასეც უნდა ყოფილიყო, წინათაც ასე იყოო, დიდი მწერლები ყოველთვის მეგობრობდნენ ერთმანეთსო“... და ოთარ ჩხეიძე ერთი წვეულების ამბავს გვიყვება, გიორგი ლეონიძემ პატარძეულში რომ გამართა... „კონსტანტინემ სამაღლობელი რომ წარმოსთქვა, პირველად ვარ გოგლას ოჯახშიო, ასე დაიწყო; ასე დაიწყო და ასე დაამთავრა. გოგლამაც ჩაუკრა, მე ჯერ არცა ვყოფილვარ შენს ოჯახშიო“... ამ „წაპაექრებით“ თითქოს შეგვამზადა მწერალმა იმისათვის, რაც ამის შემდეგ უნდა თქვას – ნაცვალსახელებთან მსგავსე-

**ბა-განსხვავებით პიროვნების დახასიათება რომ დავარქვით და ოთარ ჩხეიძე ამით „საკუთარ პორტრეტსაც ხატავს-მეთქი“:**

,ვგონებ, საერთოდ სუფრასთან ერთადაც არა მსხდარან იმის მეტადა. გოგლას ყველას ატანა შეეძლო, კოწიასი – არა; კოწიამ მე-ს გარდა სხვა ნაცვალსახელი არ იცის; გოგლამ იცოდა სხვა ნაცვალსახელები, მაგრამ მე-ს ძალიან უფრთხილდებოდა, ორი მე ვერ მორიგდებოდა ერთადა, სუფრაზე კი არა, კრებებზედაცა, კოწია რომ აამტვერებდა მესა, გოგლას იქ ვეღარ დაინახავდით“...

მშვენიერია – პირის ნაცვალსახელით დახატული პორტრეტები...

### **7. „ეს დიდი დღეა!“ – ბრძანა ოთარ ჩხეიძემ**

დიდი დღე – 14 აპრილია 1978 წლისა!...

განმარტა ოთარ ჩხეიძემ: ჩანაწერებს ცხელ გულზე ვაკეთებ... „უკან აღარ ვიზედები, აღარ ვკითხულობ, იმ დღეს ველოდები, როცა რო მოვიცლი დამშვიდებული ანალიზისათვისო“... და

1978 წლის 14 აპრილს „ცხელ გულზე“ ჩაუწერია:

,დღევანდელი დღის მნიშვნელობა ვერ შეფასდება ეგრეადვილადა... ეს დიდი დღეა“. და დასვა წერტილი და არა ძახილის ნიშანი; წერტილი და არა სამი წერტილი; იმ დღის სათქმელი სრულად ითქვა...

დიახ, სულ ეს ათიოდე სიტყვაა იმ დღის ჩანაწერი!...

,ეს დიდი დღეა“ – ამ სამ სიტყვაში ისიც ჩანს, როგორია მწერლის დამოკიდებულება ქართული ენისადმი; ქართული ენის მოყვრებისა თუ ქართული ენის მტრების მიმართ... ამ დიდი დღის სუნთქვა გასდევს ამ დღიურებს არაერთი თვისა თუ წლის მანძილზე... ჩვენც გავყვებით ამ სუნთქვას – 14 აპრილის სუნთქვას...

,ეგრე ადვილად ვერ შეფასდებაო“ და მომდევნო ჩანაწერი დღიურში 1978 წლის 17 ნოემბრით თარიღდება. ესეც „იმ

დიდ დღეზე“ ფიქრის გაგრძელებაა; შეფასება არ არის, ისევ ფაქტები 14 აპრილთან დაკავშირებული (14 აპრილიდან წამოსული).

„თქვენი ორგანიზაციიდან გაგირიცხივართ-მეთქი, ხუმრობა ნარევი კილოთი ვეუბნები მორის ფოცხიშვილსა, პარტბიუროს მდივანსა მწერალთა კავშირისა“.

საუბარი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გიორგი უორულინის კაბინეტში შემდგარა (ვინც ვერ გაიხსენებს ასეთ „მწერალს“, დღიურის ჩანაწერებით დავეხმარებით – იგი „პარტიის თვალი და ყურია მწერალთა კავშირში, თითქოს ჰკლებოდეთ თვალი და ყური“)...

რა „გარიცხვაზე“ საუბარი? პარტბიუროს მდივანი განუმარტავს მწერალს: „წესდება ორლვეოდა, წესდება გამოსწორდაო, პარტიის წევრი იმ ორგანიზაციაში უნდა იყოს, სადაც მსახურობსო“... ოთარ ჩხეიძე გორში მსახურობდა... პარტბიუროს მდივანმა თითქოს მოწყალება მოიღო: „მაგრამ თქვენ მოვალე იქნებით დაესწროთ მწერალთა პარტორგანიზაციის სხდომებსა“, – მომიგებს ისე, როგორც შეუმუშავებიათ ოფიციალური პასუხი, თუ ვინმე რაიმე უკმაყოფილებას გამოსთქვამსო“...

17 ნოემბრით დათარიღებული ეს ჩანაწერი 14 აპრილთან რა შუაშიაო, შეიძლება იკითხონ.

ჩანაწერი ასე გრძელდება: „ნამდვილი მიზეზი აქ მხოლოდ ისაა, რო ზოგი რამ თამამი და მართალი ითქვა სწორედ მწერალთა პარტიულ კრებაზედა, მართალი და ეროვნული ითქვა, ერის ტკივილისა, ერის განწირულობისა ითქვა“...

რის შესახებ საუბრობს მწერალი? პარტიულ კრებაზე თქმულ რა სიმართლესა და ეროვნულობაზეა საუბარი?

ეს 14 აპრილის ამბავია... „იმ დიდი დღისა“...

\* \* \*

გავიხსენოთ, რას მოპყვა 14 აპრილი და როგორ განვითარდა მოვლენები; რას გულისხმობაზეა საუბარი?

თავითვე ვთქვათ, რატომ აქცევს მწერალი ასეთ ყურადღებას 14 აპრილთან დაკავშირებულ ფაქტებს.

ოთარ ჩხეიძეს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომანი დაწერა – „14 აპრილი“... „გამოცხადებაზე“ საუბრობს... დაბეჭდვის საქმე გართულდა... „არც „გამოცხადების“ იმედი მაქვს რაღა თქმა უნდა... (...) როცა იქნება, გამოქვეყნდება, როცა იქნება... „14 აპრილიც“ თუ მივაშველე, სხვა კიდევ ბევრი რამ გამყვება სანალვლებელი... ეს 1988 წლის 5 თებერვლის ჩანაწერია... 10 წელია 14 აპრილზე ფიქრობს...“

ესეც 1989 წლის 14 მარტის ჩანაწერიდან: „(...) მესამე წიგნიც რო ვერ მომითავებია „ჩემი სოფლის ეტიუდებისა“... სხვა რაღას ჩამოვთვლი, – გაპერა წუთისოფელი, გაპერა, ან-თუ რო ჰქონება აგერ ჩემს თვალწინ, სხვას ვეღარ ჩამოვთვლი რაღა თქმა უნდა, თუმცა ერთი მაინც არ მინდა დამრჩეს: ეს 14 აპრილია... სხვას აღარ ჩამოვთვლი, დანარჩენი ღმერთმა იცოდეს: თუ დამაცდის და დამაცადოს (...) ... და მიპერის, მიპერის ეს უღმერთო დროი, მიპერის.“

დიდი დღეა 14 აპრილი და ამიტომაც შეახსენებს ხშირ-ხშირად თავს...

მოდით, უფრო დალაგებით, თანმიმდევრულად გავყვეთ 14 აპრილზე ფიქრს, „ერის ტკივილის“, „ერის განწირულობის“ ამბავს....

\* \* \*

1976 წლის 7 ოქტომბერს მიიღეს სსრკ-ის ახალი (IV) კონსტიტუცია. წერდნენ: „კონსტიტუცია უზრუნველყოფს საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვა-ვებასა და განუხრელ დახსლოებასო“ (ქსე, VIII, 1986, 608)... ცოტა ადრე კომპარტიის პროგრამაში ჩაიწერა, უნდა მოხდეს ერებისა და ენების შერწყმაო (ეს იყო „მათებურად“, „დაახ-ლოება“)...

და ყოველივე სიახლე უნდა განეხილათ „საჯაროდ“, უნდა მოეწონებინათ. ო. ჩხეიძის დღიურებიდან: „ყველაზედ უფ-

რო ბნელი ადამიანებიც მიხვდნენ, ქართული ენისა და ქართველი ერის საბოლოო გაქარწყლებას გვიქადის, — დისერტაციების რუსულად დაცვის დადგენილებებმა და თბილისის უნივერსიტეტში ღეჭვიების რუსულად წაკითხვის ცდებმა ყველაფერი გამოაშკარავა“ — ეს 1976 წლის 18 აპრილის ჩანაწერია...

დგას თავის სიმაღლეზე მწერლობა, მწერალთა შეკრებები?... მწერალთა ყრილობაზე საუბრისას ოთარ ჩხეიძე ეპითეტად „ეგრედწოდებულს“ გამოიყენებს... ეს უკვე შეფასებაა... არადა ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა კი არა, გადარჩენაა საჭირო: ვითარება „ქართული ენის საბოლოო გაქარწყლებას გვიქადისო!“...

1976 წელია... დიახ, მზადდება „14 აპრილი“!...

მეთოდურად მზადდება „14 აპრილი“... იყო დრო, როდესაც ენობრივი თუ ეროვნული საკითხები მწერალთა შეკრებებზე განიხილებოდა უპირველესად. იყო დრო, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილს ეპრა ხელთ მეწინავე დროშა და მოუწოდებდა თანამოკალმებს: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოსო“... და კონსტანტინე გამსახურდია ედგა გვერდით და ამხნევებდა მწერლობას: „ჩვენ — ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავადო“... ახლა რა ხდებოდა?

გვაფრთხილებს ოთარ ჩხეიძე: „გონიერება გვმართებს, დიდი სიბრძნე გადაგვარჩენს, მაგრამ როგორლაო, ყველა საშვალება სიავის ხელშია“...

სიტყვა გაგრძელდა „ეგრედწოდებულ საქართველოს მწერალთა VIII ყრილობაზე“... ტრიბუნაზე მედროვეთა გამოჩენა...

ცალკე გამოყოფს ამ მონაკვეთს:

„ყველაზე უკეთესად რეზო ჯაფარიძე გამოვიდა ყრილობაზედა, უკეთე ყრილობაც ეს იყო, მეტი არაფერი, სხვა დანარჩენი უვიცური მოხსენებებიდან დაწყებული უკანასკნელ გამოსვლამდისა ანთუ ჩვეულებრივ ტრაფარეტს წარმოგვიდ-

გნდა კომუნისტური პარტიის დიდი ფორმით. და სხვა და სხვა, ანთუ ერთმანეთთან წვრილმან კინკლაობასა“...

და გახაზავს ო. ჩხეიძე, ყველაზე კარგად რეზო ჯაფარიძე გამოვიდაო... რა თქვა ასეთი? —

,რეზომ სხვა ირჩია და ყრილობაც ეს იყომეთქი: ლენინმა თქვაო, რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების გარუსების ღონისძიებანი პურიშკევიჩისა და მათი ჯურის შავრაზმელების პილიტიკაო, ტომი ესა და ესა, გვერდი ესა და ესაო“...

,მიწისფერი დაედო შაუროს, ახალ პურიშკევიჩსა... რა ამბავს ჩაიტანს მოსკოვსა“...

მწერალი სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას ელოდება ამ კუთხით... ეს უკვე წინასწარმეტყველებაა... 1976 წელია...

ოთარ ჩხეიძის აზრით, ეს იყო „ეგრედწოდებულ ყრილობაზე“ „ყველაზე უკეთესი“... კი, მერე შევარდნაძემ უპასუხა, მაგრამ „პასუხი უსუსურ არგუმენტს ეყრდნობოდა“... — ქართული ენისათვის თუ ვზრუნავთ, რუსულის განვითარებისათვისაც უნდა ვიზრუნოთო...

ახლოვდება „14 აპრილი“...

და მთავარი:

\* \* \*

მოსკოვში მიიღეს ახალი კონსტიტუცია და მოვიდა დირექტივა: მოკავშირე რესპუბლიკებსაც უნდა მიეღოთ ახალი კონსტიტუცია...

მწერალთა კრებაზე ითქვაო —

- თამამი,
- მართალი,
- ეროვნული,
- ერის ტკივილისა,
- ერის განწირულობისაო...

14 აპრილს უსწრებს ის კრება, რომელზეც „ასეთი რა-ლაცები“ ითქვა...

ის, რაც მწერალს მტკიცედ გადააწყვეტინებს რომანის დაწერას („14 აპრილი“!)... და მწერალი ჩაინიშნავს ყოველი-ვეს მომავალი რომანისათვის...

შევეცადოთ, აღვადგინოთ იმუამინდელი ვითარება, რასაც მოჰყვა „ის დიდი დღე – 14 აპრილი“.

\* \* \*

საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი მოვიდა მოსკოვიდან – პროექტის მიხედვით ქართული ენა აღარ იქნებოდა საქართველოში სახელმწიფო ენა.

ამგვარ აღვარებას ზოგჯერ მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამიერიდან ესეც აღარ იქნებოდა...

ამას მოჰყვა „14 აპრილი – დიდი დღე“ – სარომანე თემა...

...აგორდა პროტესტის ტალღა. მოგვიანებით აკაკი ბაქრაძე მოიგონებს მოვლენათა განვითარებას (დავემყარებით კრებულს „14 აპრილი 1978“ – „არტანუჯმა“ რომ გამოსცა 2018 წელს, ანა ბაქანიძემ რომ შეადგინა)...

ოთარ ჩხეიძეს თავისი განზრახვა რომ შეესრულებინა (თუ დამცალდაო...), გვექნებოდა კიდევ ერთი მართალი ისტორია 1978 წლის აპრილის დღეებისა... ისტორია ქართველთა ერთიანობისა და ამ ერთიანობის ძალის წარმოჩნდისა...

ფაქტებს შევაშველებთ „ჩანაწერების“ ფრაგმენტებს, მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს, რატომ იყო „ის დიდი დღე“... რამაც რომანის დაწერა გადააწყვეტინა მწერალს...

\* \* \*

### თურმე:

1978 წლის 23 მარტს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში თათბირზე იხმეს კულტურისა და განათლების მუშაკები (იდეოლოგიური განყოფილების გამეობის დონეზე) და „საიდუმლო“ გაანდვეს: ხვალ გამოქვეყნდებაო ახალი კონსტიტუციის პროექტი; იქვე გაუფრთხილებათ, რომ არის ცვლილება,

„ამოღებულია ერთი მუხლი, სადაც ეწერა, რომ საქართველოს სისრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული“ და მოუწოდეს თათბირის მონაწილეებს, სერიოზულად მოჰკიდებოდნენ პროექტის განხილვას და „უზრუნველეყოთ საყოველთაო მხარდაჭერა... შეკითხვაზე, რატომ მოხდა ეს, – რატომ გაგვიუქმეს სახელმწიფო ენა – ცი-ის განყოფილების გამგეს უპასუხია, „წინა კონსტიტუციაში მოკავშირე რესპუბლიკათაგან ეს მუხლი მხოლოდ ქართველებსა და სომხებს გვქონდა“ და იმპერიამ წყალობა მოიღო ჩვენზე, რომ გაგვათანაბრეს სხვებთანო... ცხადია, ცინიზმიც გამიზნული იყო...

მოგვიანებით ამ ფაქტს კომპარტიის მეხოტბეებმა ასეთი ინტერპრეტაცია მისცეს: მთავრობამ წინასწარ შეამზადა საზოგადოება სერიოზულ პრობლემასთან შესახვედრად და „ბუნტის“ პროვოკირება მოახდინა ამ თათბირზეო... ძნელი სათქმელია... ომის შემდგომ გმირობას ბევრი იძრალებს... ფაქტი ერთია: ერთადერთი, ვინც იმ თათბირზე მძაფრი პროტესტი გაბედა, აკაკი ბაქრაძე იყო! მას უცდია დასაბუთება ამგვარი ცვლილების მავნებლური მიზნებისა და დაასკვნა თურმე: „ქართველი ხალხი არ დაუშვებს კონსტიტუციურ შეურაცხყოფას!“

ამ პროტესტს თათბირზე ვითარება დაუძაბავს... ა. ბაქრაძეს მხარი დამსწრეთაგან (კულტურის, ხელოვნებისა და განათლების მსახურნი იყვნენ!) ხმამაღლა ვერავინ დაუჭირა... ასე იშვა და აგორდა საპროტესტო „გუნდა“, რომელიც მაღეზვავად იქცევა...

ეს ამბავი ქალაქს სასწარაფოდ მოედო... კონსტიტუციის პროექტი მეორე დღეს უნდა გამოქვეყნებულიყო...

24 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ახალი კონსტიტუციის პროექტი... ბომბივით გავარდა 75-ე მუხლის ამბავი: ენას გვართმევენ ქართველებსო... ქართული ენისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულებისა და აკაკი ბაქრაძის ავტორი-

ტეტის წყალობით აგორებული საპროტესტო აზრი ძალას იკრებდა....

იმავე დღეს, 24 მარტს, ცკ-ში ისევ იკრიბებიან – კულტურისა და ხელოვნების, განათლებისა და მეცნიერების მუშაკები, პარტიული აქტივი... კრებას ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა... მკაცრი დავალება მიიღეს: ერთსულოვანი მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოთ... ბევრი ცნობილი პიროვნების ავტორიტეტი და ლირსება გაწირა ე. შევარდნაძემ იმ კრებაზე, როცა პიროვნულად მოსთხოვა მათ თავიანთი აზრის გამოთქმა... ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეს ისიც უთქვამს, მეტი ბეჭისერება რა გინდათ, რუსული იქნება სახელმწიფო ენაო... (ა. ბაქრაძე გვარებს არ ასახელებს „მოგონებაში“, თანამდებობებს – ზოგჯერ კი...).

შეკრებაზე ვითარება მაშინ დაიძაბა, როცა სიტყვა აკაკი ბაქრაძემ მოითხოვა... „75-ე მუხლს არ მიიღებს ქართველი ხალხი... ჩვენი ხალხი მოიქცევა მდგომარეობის შესაბამისად!“ – ეს იყო დასკვნა, რომელიც ვრცელ მსჯელობას მოაყოლა აკაკი ბაქრაძემ... მოულოდნელობას თავისი ეფექტი ჰქონდა... მაგრამ მერე ხელისუფლების სამებლად ერთმანეთს ასწრებდნენ თურმე „უკუღმართი“ აზრის დაგმობას...

დიდად ცნობილ მეცნიერს უთქვამს: „მე გამაკვირვა ბაქრაძის გამოსვლამ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევააო... თუ რა საფრთხის წინაშე იდგა ქვეყნა, ამ კომენტარიდანაც ჩანს...“

იწონებდნენ კონსტიტუციის პროექტს; გმობდნენ ა. ბაქრაძის „უკუღმართ“ პოზიციას...

კრება ე. შევარდნაძემ შეაჯამა და დასკვნა: „75-ე მუხლი არ შეიცვლებაო“...

ა. ბაქრაძე იგონებს: „მომავალი ამბებისათვის ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისში თვალის დახამხამებაში გავრცელდა მისი ამბავი... დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა“... პროგრესული აზრი ნოეცერ ნიადაგში მოხვდა...

26 მარტს ცკ-ის დადგენილება გამოქვეყნდა: მოსახლეობისაგან მოითხოვდნენ ერთსულოვან მხარდაჭერას...

და დაიწყო საჯარო განხილვათა სერიები... წახალისება მხარდაჭერებისა და შეჩვენება მოწინააღმდეგებისა...

პირველი საპროტესტო გახმაურებული შეკრება თბილისის უნივერსიტეტში შედგა: 30 მარტს გაიმართა თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომა. დოცენტმა ბესარიონ ჯორბენაძემ სცადა, მეცნიერულად დაესაბუთებინა 75-ე მუხლის აბსურდულობა... (ტექსტი მოგვიანებით დაიბეჭდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ 1996, №4.)... იყო სხვა გამოსვლებიც... მომსხენებელმა თავისი ხელით ჩაიტანა მოხსენების ტექსტი პარტკომში... ეს იყო საგანმანათლებლო სისტემაში პირველი საპროტესტო შეკრება... სტუდენტებში საპროტესტო აზრი უკვე გაღვივებულია... ქართული ენის კათედრის სხდომაში საპროტესტო მუხლი გაზარდა... ბრძოლის მიზანს მეტი სინათლე შესძინა...

31 მარტს „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ მწერალთა კავშირში კრება ჩატარდა და მწერლებმა მხარი ახალ პროექტს დაუჭირესო... ეს იყო, როგორც ოთარ ჩხეიძე იტყოდა, „პარტიის თვალისა და ყურის“ მიერ ორგანიზებული კრება... აღმფოთდნენ მწერლები: თურმე, მწერალთა სახლის მომსახურე პირები შეუკრებიათ, შემთხვევით შესწრებია რამდენიმე მწერალი... როცა იონა ვაკელს, მურმან ლებანიძესა და ნოდარ წულეისკირს პროტესტი გამუთქვამთ 75-ე მუხლის გამო, კრება სასწრაფოდ დაუხურავთ... ინფორმაცია კი გაავრცელეს, მწერალთა კავშირი მხარს

უჭერსო... აღმფოთებული მწერლების ნამდვილი კრება 12 აპ-რილს ჩატარდა... ვიტყვით ქვევით... მივყვეთ ქრონოლოგიუ-რად.

მანამდე დუღს ქალაქი... 4 აპრილს გაიმართა ენათმეცნი-ერების ინსტიტუტის საერთო კრება. ეს იყო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პირველი საპროტესტო შეკრება. მოხსე-ნება პროფ. თინათინ შარაძენიშემ გააკეთა (ტექსტი დაიბეჭდა ზემოხსენებულ უურნალში – „ბურჯი ეროვნების“, №4, 1996 წ.); საკმაოდ ხანგრძლივად გაგრძელდა დასაბუთებული მსჯე-ლობა, რა მნიშვნელობა აქვს ენას ერისთვის; რას ნიშნავს სა-ხელმწიფო ენა და რატომ უნდა იყოს ქართული ენა სახელ-მწიფო ენა... იყო სხვა გამოსვლებიც... კრების ოქმი გაიგზავნა პარტიის რაიკომიში... აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა კრებას ვერ დაესწრო: პირადი საპროტესტო წერილი გაუგზავნა მთავ-რობას... შეშფოთდნენ პარტიული ამხანაგები... პარტრაიკომის ინსტრუქტორი (პოეტი იყო ერთი...) ცდილობდა დაეყოლიები-ნა ინსტიტუტის პარტკომი პოზიციის შეცვლაზე... ამაოდ... იმ-ჟამად ფილოსოფიის ინსტიტუტში ემზადებოდნენ კრებისათვის; ამ ინსტრუქტორს დაურეკავს – „ისეთი სისულელე არ ჩაიდი-ნოთ, რაც ენათმეცნიერებმა გააკეთესო“...

ერთ აკადემიურ ინსტიტუტში 4 აპრილამდე ჩაატარეს კონსტიტუციის მხარდამჭერი კრება... ენათმეცნიერების ინსტი-ტუტის ამბები რომ გახმაურდა, აიძულეს ადმინისტრაცია, განმეორებით განეხილათ პროექტი...

საპროტესტო მუხლი განსაკუთრებით სტუდენტობაში იზრდებოდა...

ასევე გახმიანდა 11 აპრილს ისტორიის ინსტიტუტში გა-მართული კრების ამბები. მომხსენებული პროფესორი ზაზა ალექსიძე იყო... სულ რამდენიმე განხილვა იყო ასეთი ხმაუ-რიანი...

აკაკი ბაქრაძის მიერ აგორებული პროტესტის გუნდა ზვავის სახეს იღებდა...

## და ისევ მწერალთა კავშირი.

**12 აპრილის მწერალთა დიდი ნაწილის პრინციპული მოთხოვნით** გაიმართა „მართალი“ კრება; სადაც ითქვა, როგორც ოთარ ჩხეიძე შეაფასებს, „თამამი და მართალი, ეროვნული, ერის ტკივილისა, ერის განწირულობისა!... პარტორგანზაკი-ის კრება დაარქევს, ხალხი რომ ცოტა მისულიყო... არ უშველა ამ „ფანდმა“... მთავარი მომხსენებელი ნოდარ წულეისკირი იყო.... ეს ის სიტყვაა მწერლისა, ხელნაწერის სახით რომ გა-ვრცელდა საქართველოში... დაახ, საქართველოში... ეს კრება იყო ყველაზე მძაფრი და მკვეთრი გამოხატულება საპროტესტო აზრისა... ზოგმა მწერალმა კავშირის წევრობის წიგნაკიც კი დათმო... მომხსენებლის ძირითადი დასკვნა ეს იყო: „ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, არ შეესაბამება ჩვენს კულტურას და ისტორიას, შეუფერებელია წესიერი საზოგადოებისათვის“. საოცრად ემოციური იყო ნოდარ წულეისკირის მოხსენების დასკვნითი ნაწილი; რამდენიმე ფრაგმენტი:

„დამთავრდა ჩემი შვიდწლიანი მძიმე ომი. დამთავრდა იმით, რითაც დავიწყე, ქართული ენის დასაცავად ავიღე ხელ-ში ფარ-ხმალი და სწორედ ქართული ენა წამართვეს“... „ისლა დამრჩნია, წარტიდან, მონაწილეობა მაინც არ მივიღო იმ საქმეში, რაც არ მწამს და არ ვეთანხმები!“... „რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ხევდრი, ასეთი უფლებანი და თავისუფლებანი მოგვეპოვება!... მე არავის ვეჯიბრები სამშობლოს სიყვარულში, არც დაფნის გვირგვინს მიველტვი, არც ეკლისას!...“

ეს იყო საპროტესტო ცეცხლზე ნავთის დასხმა... მიხეილ ჯავახიშვილი წერდა თავის დროზე, ქართული ენის გადასარჩენად ბრძოლას მწერლები უნდა ჩაუდგნენ სათავეში; ეს სულისკვეთება ტრიალდება მწერალთა კავშირში 12 აპრილის შექრებაზეც... „ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს. ცალ ხელში ხმალი ეჭიროს, მეორეში ხელში – კალამი. თუ ქარ-

თველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში მაინც არ უნდა დაუკრას!“... ეს უკვე ნოდარ წულეისკირმა თქვა... „ოცზე მეტი კაცი გამოვიდა სიტყვით, მეც ვთქვი მწერალთა კავშირში სიტყვაო“, — მშვიდად დაამთავრებს მოვონებას აკაკი ბაქრაძეზე... არადა ამ კრებამ ფაქტობრივ დაასრულა ე. წ. „მოსამზადებელი პერიოდი“ 14 აპრილისა... ასე რომ, ცე-ის კრებიდან მოყოლებული მწერალთა კრებამდე ქართულ საზოგადოებრივ აზრს აკაკი ბაქრაძემ უწინამძღვრა... საბედნიეროდ, მრავლად იყვნენ მისი თანამოაზრენიც... სპეცსამსახურებს მძიმე დღეები ედგათ...

ორ დღეში 14 აპრილი გათენდებოდა...

14 აპრილი — „რომლის მნიშვნელობა ვერ შეფასდებაო ასე ადვილად“ — ჩაინიშნავს ორი დღის შემდეგ მწერალი...

ის, ვისაც 1956 წლის მარტის ტრაგიკული დღეები ახ-სოვდა, უბედურების მოლოდინით შესცემროდა მოვლენების განვითარებას და ამიტომაც 14 აპრილს ფაბრიკა-ქარხნები მი-ატოვეს და შვილების გვერდით დადგზნ მშობლები რუსთა-ველზე...

და მოხდა ის, რასაც ბევრი ვერც ინატრებდა: — საბჭო-თა იმპერიამ უკან დაიხია (მგონი პირველად თავის არსებობის მანძილზე)... დღესაც თვალწინ მიდგას რუსთაველზე გაჩერებულ ტროლებუსზე შემომსხდარი პატარა ბიჭები — ხელში ეჭირათ შავი ჩანთები, რომლებზეც ცარცით იყო წაწერილი — „დედაენა“...

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბრძოლის შემდეგ „გმირთა“ რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა... ბევრი ისეთი ვინმეც იძრალებდა „სარდლობას“, 14 აპრილის წინა დღეებში აშკარად თუ ფარულად გულმოლგინედ რომ არწმუნებდა საზოგადოებას, ახალი კონსტიტუცია დიდი სიკეთეაო, ბედნიერებას მოგვიტანსო და მხარი დავუჭიროთო... იმდროინდელმა პრესამაც არაერთი ასეთი სახელი „უკვდავყო“, აღფრთვანებული რომ მოგვიწოდებდა პროექტის მხარდაჭერისაკენ...

მეტიც, დემონსტრაციის დაწყების წინაც კი ცდილობდნენ სტუდენტების გადარწმუნებას... დემონსტრანტებს კოსტავას ქუჩაზე, ბელინსკის კუთხეში, რამდენიმე „მოღვაწე“ დაწვდა და ნუ წახვალთ წინო, სთხოვდნენ, ნუ იღუპავთ თავსო... ბევრი მათგანი მეორე დღეს ხმამაღლა ამაყობდა, ჩვენ რომ არ გვეთავგაცა, ვერ გავიმარჯვებდითო...

\* \* \*

და მოვიდეთ მას პირველსა სიტყვასა ზედა...

14 აპრილი ამიტომ იყო დიდი დღე... სარომანე ამბავი...

ცოტა მოგვიანებით ჩაწერს ო. ჩხეიძე (27. VI-1988), მაგრამ ამ დღესაც მიესადაგება (და ყველა „ომს“ ალბათ...): „ახლა ბევრი თამაშობს გმირის როლსა, წარსული გმირისა, — მე ვიყავიო...“ რას ვიზამთ... ჩემს ბაგშვილაში ქუთაისში გაგონილი მახსენდება: მავანს უთხრეს, რას აკეთებ, სირცხვილიაოდა — მე თუ არ მრცხვენია, მაინც სირცხვილიაო?...

მწერალთა პარტიულ კრებებზე ეს ითქვა — „თამამი, მართალი, ეროვნული, ერის ტკივილისა, ერის განწირულობისა“ და ამიტომაც ჩაინიშნავს მწერალი:

„სხვა ყველა სახის კრებები თუ დისკუსიები აკრძალეს. მწერალთა კავშირში, გააუქმეს და ისე აკრძალეს, ეს ერთიღა დარჩა, პარტიული კრებაღა დარჩა და იქ გადაინაცვლა ყოველგვარმა უკმაყოფილებამ, იქ დაირღვა დადგენილი შტამპი, ამათი პარტიული შტამპი, ბრძა მორჩილების შტამპი და აი, მოშალეს ესეცა“... „გაფანტესო მწერლები“ — ყველა გაამწესეს იმ პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც მსახურობდნენ... განმარტავს მწერალი: „ხოლო სამსახურით ჰო ყველა მსახურობს, უსამსახუროდ ჰო შიმშილით ამოსძვრება სული ქართველ მწერალს“...

და როგორც იტყვის მწერალი, „მე გორს მიკრეს თავიო“...

ესეც იმ „დიდი დღის“ „წყალობაა“...

„ეს ერთი ვარამიც მოიშორეს, გაფანტეს მწერლები, საბოლოოდ გაფანტეს“...

\* \* \*

მთავარი ერთი-ორი აგურის გამოცლა იყო... გაივლის დრო და ამ დაწყებულ საქმეს მერე „დიდებულად“ განაგრძობენ, დაშლიან მწერალთა კავშირს, წაიღებენ მწერალთა სახლს... მაგრამ ამას ოთარ ჩხეიძე ვეღარ მოესწრო (საბედნიეროდ მისდა თუ საუბედუროდ...).

დავუბრუნდეთ ისევ დღიურებს და „იმ დღეს“... 1978 წლის 17 ნოემბრის ჩანაწერი ვრცელია... 14 აპრილიდან მოდის...

14 აპრილმა პრობლემები შეუქმნათ „მაღლა!“ „აქამდე თუ რაიმე ნებავდა ცენტრალურ კომიტეტსა, დარბევა ვისიმე, განადგურება ვისიმე ან რისამე, ამით აკეთებდა, ამის საშვალებითა, და უმტყუნა ამ საუცხოო საშვალებამა, ამ საუცხოო საფარმა ყოველგვარი სიცრუეისა და დანაშაულისა უმტყუნა, შემობრუნდა, გადაიქცა მამხილებლადა — საგულისხმო ესაა, საგულისხმოა და დამაფიქრებელი!...“

ესეც 14 აპრილის თანმდევი ფიქრია დღიურებში: „ამათ თუ რაო?... — ესენი ჰო ბენიერები არიან!... აგერ გამართეს კომედია, საბჭოთა ლიტერატურის დღეების სახელითა, ტრაგიკომედია გამართეს, ანუ იზეიმეს მონობა, იზეიმებენ კიდევ და კიდევა, გამოძღვიან კიდევ და კიდევა, გამოიჩიჩნიან კბილებსა და კიდევ იგივე ზეიმს მოაწყობენ მონობისა“... ამიტომ გაფანტეს მწერლები, რომ ხელი არ შეუშალონო...

\* \* \*

19 ნოემბრის ჩანაწერი:

იტალიიდან მიხეიოლ თამარაშვილის ჩამოსვენების ამბავს ჰყება მწერალი... მოსკოვის გარეშე დაკრძალვის უფლებაც არა გვაქვსო...

„და აი ვერ გადაუწყვეტიათ: ახალციხეში თუ დაკრძალავდნენ... (...) თბილისში დაკრძალვის ეშინიათ...“ „მთაწმინდაო თუ უნივერსიტეტის ეზოო, – ეშინიათ ამ ორივესი!

ისედაც რო ემუქრებიან უნივერსიტეტსა?!

850 სტუდენტი ზედმეტია, 850 სტუდენტი უნდა გაირიცხოსო...

ეს აღბათ აპრილის სია იქნება...“

ისევ 14 აპრილი – დიდი დღე...

„ეს აღბათ უკვე გადაუწყვეტიათ“ – „აპრილის სია“ იგულისხმება; ხოლო ის – თამარაშვილის დაკრძალვა – „ის მაინც ვერა, თამარაშვილის დაკრძალვა ვერ გადაუწყვეტიათო!“...

14 აპრილმა ბევრი საფიქრალი გაუჩინაო ხელისუფლებს: „რამდენი „საბჭოთა ზეიმი“, „საბჭოთა ინტერნაციონალიზმის ზეიმი“ უნდა მოაწყონ ამ ჩვენმა ხელმძღვანელებმა, ანთუ როგანელონ თუ გააბათილონ ეს გამხნევება ქართული სულისა“...

14 აპრილი – „დიდი დღე“, „გამხნევება ქართული სულისა“...

1978 წლის 23 დეკემბერია...

„აი და ჰა, ჩათავდა ეს წელიწადიცა, ბევრი რამ ვეღარც აქ ჩავინიშნე, ვერც ისე მოვასწარი ბევრი ვერაფერი, როგორც ყოველთვისა და ჩვეულებრივ თუ როგორცაა“...

ეს უკვე ბოლო ჩანაწერია 1978 წლისა, „14 აპრილის წლისა“:

„და იწურება ეს წელიწადიცა.... 1978 წელი... დიდი წელიწადი, დიდი წელიწადი!... ისევა ცოცხლობს ქართველი ხალხი, ცოცხალი ეგებება მომავალ საუკუნესა, ვის ეგონა თუ გადაურჩებოდა ამ სიგიჟისა და სიბილწის საუკუნესა, ვის ეგონა?!“

დაიჩივლებს ერთგან: „ჩემი საშველი არ იქნება, სანამ არ იქნება ჩვენი საშველიო“... ქვეყანას თუ ეშველება, მწერალსაც ეშველება!...

\* \* \*

„დიდი დღის“ წლისთავი ახლოვდება... არ ისვენებს, თუ ვერ ისვენებს ის „ვიღაცა“... არ ასვენებს, „14 აპრილი“... დღიურიდან (30 მარტი 1978 წ.):

,ინსტიტუტის საბჭოს სხდომაა...

,„ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობებზე სესერეკას ისტორია რუსულად უნდა იკითხებოდესო“ – რექტორი აცხადებს.

,„რატომაო, – შევძახი ადგილიდანა, – ქართულად ვერ გაიგებენ?!“ რექტორი იძნევა, სხვაგვარი შეკითხვისათვის თუ სხვაგვარი რეაგირებისათვის უება მზადაა, ამისი პასუხი ცოტა ძნელია, – ვერ გაიგებენ ქართულადა?! (...) იძნევა და დადგენილებასა თუ ბრძანებას წამოავლებს ხელსა (...)

,„ბრძანებაა თუ დადგენილება, ერთი კაცი გამოსცემს, ჩვენ ერი ვართ!“ – შევძახი გულმოსული, თვალს მოვავლებ საბჭოს წევრებსა, რამ გააქვავათ, რატომ არავინ ამყვება-მეთქი (...) ყველაფერზე თანხმდებიან, ელიუტინი და ჯიბლაძე რაო, რექტორი რო იტყვის, სიგიჟეც რო თქვას, – რა დაუშლის, – უარს არ არიან არაფერზედა“ (ელიუტინი – განათლების მინისტრია სსრკ-ისა, ჯიბლაძე – საქართველოსი – გ. გ.).

ანდა: „მეტი გამოთაყვანება აღარც შეიძლება“, – მწერალი მაინც ბედიერია, რომ – „მადლობა ღმერთსა, სხვაგან მაინც გადარჩენილა ხალხი, მადლობა ღმერთსა“...

**1979 წ. 14 აპრილი.** „წლისთავია“ – საუბრობს 14 აპრილზე, მაგრამ არ ახსენებს 14 აპრილს – ადვილი ასახსნელია: სხვა რაზე შეიძლება საუბარი ამ პერიოდში, ამ ვითარებაში?...

,ყველაფერი იღონეს, რო წლისთავი არ აღნიშნონ, ხალხი არ გამოვიდეს ქუჩებში, თავიანთი კონსტიტუციისაც ეშინი-

ათ, რა დღეში არიან, რა ყოფაში არიან?... – ანალიზი უნდა ამას თავისი“... – ახლა ჩაინიშნავს ჩასანიშნსა, ანალიზი ჩაფიქრებულ რომანში იქნება... მთავრობა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით გარკვეულ ინიციატივებს იჩენს... მწერალი არ ენდობა, ეჭვის თვალით უფრებებს... „ის ბრძანება თუ დადგენილება ჯიბლაძეს დააბრალეს, თვითნებურად მიიღო ელიუტინის ბრძანების შესაბამისადო“ (როგორც ჩანს, რუსულად სწავლების დადგენილებას გულისხმობს – გ. გ.)... (...) ისიც იღონეს, სასწრაფოდ შეთხიპნეს დადგენილება ქართული ენის განვითარებისათვისო... თვალისახვევაა რაღა თქმა უნდა, კიდევ მეტი სიფრთხილე გვმართებს“.

„ანალიზი უნდა ამას თავისი, ოღონდ ახლა ამის თქმა მინდაო“... მთავარი სათქმელი და ანალიზი შემდეგისათვის გადაიდება... ზემოთაც გავიხსენე, 10 წლისთავზე იტყვის, „14 აპრილიც“ თუ მივაყოლეო“... ფაქტია, 14 აპრილი დიდი საფიქრალია მწერლისა, 14 აპრილი – ანუ ქართული ენა!...“

**14 აპრილზე ფიქრი გასდევს დღიურებს მთელი ათწლეულის მანძილზე და მერეც...**

1988 წელია. 5 თებერვალს დაიჩივლებს – ჩანაფიქრს „14 აპრილიც“ თუ მივაყოლეო...“

9 თებერვალს ამასაც იტყვის – „რა ეშმაკად წამოვიყიდე ამდენი რამა, ანთუ რას დამესია ეს ამდენი სიუჟეტი იმთავიდან აქამომდისა? ძალაც აღარ შემწევს და ძოსვენებაც აღარ მიხერხდება“

და იქვე: „(...) XX საუკუნის რუსეთი, სიგიურისა და აღვირახსნილობის უიშვიათესი ნიმუში“ – ეს მიზეზია, სათავე ჩვენი უბედურებისაო: „ჩვენ რაღას გვერჩოდა ღმერთი, ამას რას მიგვაგდო, ამას რას მიგვანარცხა თუ შეგვანარცხა“...

„იმათ გონებას აწევს უკუნი და ამ უკუნში ვართ ჩათრეულნი. ღმერთო დიდებულო!... ღმერთო დიდებულო!... რა ცოდვა გვქონდა!...“

მაინც იმედოვნება სჯობს უიმედობასა,  
მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ,  
ანთუ რის იმედი?...

**დავაღწევთ თავსა ამ რუსულ უკუნეთსა?...**  
**ღმერთო!... ღმერთო!...“**

ეს 27 ოქტომბერის ჩანაწერია (ძმავე 1988 წლისა)...

ზემოთ 14 აპრილის ამბის მოყოლისას ცრუგმირებზე ვისაუბრეთ (გვ. 38)... ეს თემა ამ ჩანაწერსაც მიჰყვება... აღშფოთებული, კოლეგების ქმედებით აღშფოთებული... ესეც იმ სულისკვეთების გამოვლენა მგონია, 14 აპრილის სულისკვეთებისა... თუმცა 14 აპრილიც და მერეც (მანამდეც) ცრუპატრიოტთა, ცრუგმირთა ასპარეზად იქცა... ეს ღუპავს ენასაც, ერსაც, ქვეყანასაც...

„ახლა ბევრი თამაშობს გმირის როლსა, წარსული გმირისა, — მე ვიყავიო... ეს (ერთ მწერალს გულისხმობს — გ. გ.) ყველაზე მომეტებულადა თამაშობს, შემთხვევას არ უშვებს, ყველგან და ყველაფერში საბაბს ეძიებს, რო იყვიროს: მე ვიყავიო... მე ვიყავიო!... იქით კიდევ სხვები გაჰყვირიან: შენ არაო და მე ვიყავიო... გაჰყვირიან და გაჰყვირიან, ისე და იმ სიმაღლეზე, რო ჩაახშონ სხვანი, ყველანი ჩაახშონ... ყველას უნდა რო ყველა ჩაახშოს და გაისმის ერთი... ანთუ არაფერიც არ გაისმის, —

ჩხავილიდა გაისმის, ჩხავილი, ჩხავილი, ჩახლეწილი ყელის ჩხავილი... ეს ცრუდედები!... ვაგლახ, საქართველო, ვაგლახ ერო დაობლებულო, დაობლებულო და გაჩანაგებულო! ეს ცრუდედები!...

**დაობლებული სკა და ცრუდედები!...**

**აი რომანი...**

**აი რომანი!...“**

გაილია ათწლეული „იმ დიდი დღიდან“...

ამას 1989 წლის 14 მარტს იტყვის: „თუმცა ერთი მაინც არ მინდა დამრჩეს: ეს 14 აპრილიაო“...

, „მევე რო ვიჩქარო, რო მოვასწრო, თუნდაც რო მცირე დროშია; რაც რო ჩემთვის გაუმეტებია, იმ დროშია რაღა თქმა უნდა... და მიჰქრის, მიჰქრის ეს ულმეროთ დროი, მიჰქრის!“...

ეს „14 აპრილზე“ ფიქრმა ათქმევინა...

თუ მოვასწარიო და... ვერ მოასწრო...

არაა გასაკვირი: გახსოვთ, იმ 14 აპრილს რა ჩაიწერა? „დღევანდელი დღის მნიშვნელობა ვერ შეფასდება ასე იოლადაო“... ათწლეული გავიდა და... ოთარ ჩხეიძემაც ვერ შეაფასა... „ასე იოლადა“... ქართული ენის შესახებაა საუბარი და ოთარ ჩხეიძესაც კი მეტი დრო დასჭირდა „ამ დღის მნიშვნელობის შესაფასებლად“... არ ეყო დრო... ვერ მოასწრო...

ვერ შეძლო ქართული ენის დიდმა ჭირისუფალმაც და...

, „დასცინისო ენას“...

## 8. „დავაღწევთ თავს ამ რუსულ უკუნეთსა?“

ვთქვით: სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა; არც კოლეგა-მწერლები „აკლებდნენ ყურადღებას“... ჩაუწერია ერთგან: „მე ჩემი დღენი მწერლები მმტრობდნენ, მწერლები მასმნიდნენ, მწერლები მესხმოდნენ თავსა, გაყიდული მწერლები, სულითხორცამდე გაყიდულები, ისინი მაპირისპირებდნენ ხელისუფლებასთან და მერე მებრძოდნენ ხელისუფლების სახელითა თუ დავალებითა ხელისუფლებისა“...

რა ხდებოდა?

მწერლობაში გადადგმული პირველი ნაბიჯების სითამამე, გაბედულება, ორიგინალურობა თემატიკისა თუ სტილისა – ეუცხოვათ და ეუცნაურათ...

სხვა თვალით დაუწყეს ცქერა...

, „გააფრთხილა“ კიდეც ერთხელ უშიშროების სამსახურის ნაცნობმა თანამშრომელმა: „ისე იცოდეო, შენ ჩვენთან დისიდენტადა გთვლიანო“...

, „რატომო“, – გაუკვირვებია მწერალს...

„აი, ბუნდოვნად რომ წერს, იქ გვაპარებსო“...

ვითომ მხოლოდ სტილი (ენობრივი თავისებურება) იყო  
ამის მიზეზი?...

„ჩანაწერებიდან“:

„ტინის ხიდი“ იბეჭდებოდა (ეს ამბავი ზემოთაც გავიხ-  
სენთ). კორექტორებს (!) აურბენინებიათ დირექტორთან –  
ნახეთ რა წერია: „რაც რო არაბობას არ ჩაუდენია... (...)  
მეცხრამეტე საუკუნეში ის ჩაიდინესო“... ნახეთ რას გულის-  
ხმობსო...

ან უნდა გაჩერდეს წიგნი, ან... დანანებით იტყვის მწერა-  
ლი – „ახლა ეს ადგილი მახინჯდება წიგნში“... დამაინტერე-  
სა ამ „დამახინჯებულმა ადგილმა“ (რა დაათმობინეს... I ვარი-  
ანტი იხ. აქვე გვ. 21)

და ცოტა „გააბუნდოვანა“ ეს ადგილი: „არაბობას რაც  
რო არა, მონღლოლობას რაც რო არა, სპარსობასა და თურქო-  
ბას რაც რო არა, ის ჩაედინა შემდგომსა საუკუნეებსა, სხვა  
საუკუნეებსა...“ (სამტომეული, ტ. I, 1986, 354)...

პირდაპირი მინიშნება რესობაზე ირიბით შეიცვალა...  
„გააბუნდოვანა“ – აი, ამ „ბუნდოვანებას“ უწუნებენ კრიტიკო-  
სებიც, ცენზორებიც, სუკის თანამშრომლებიც – „გვაპარებსო“,  
ვერ ვიგებთო... ასე ყალიბდებოდა „იძულებითი სტილი“ (ნ.  
გელაშვილი)... და ებრძვიან მწერალს...

შინაარსობრივი „ბრძოლა“ არაა იოლი – მეტი ცოდნა,  
გამოცდილება, ლოგიკა საჭირო...

იყო ასეთი ფაქტი: სოციალისტური რეალიზმის პრინცი-  
პებით უნდა წეროო, – ურჩია (თუ გააკრიტიკა) უფროსმა  
კოლეგამ... ირონიულად ჩაეკითხა მწერალი, – რას ნიშნავს  
სოციალისტური რეალიზმით და დაიბნა „კოლეგა-კრიტიკოსი“  
– აი, მე რომ ვწერ, ისეო...

ამიტომ იყო მნელი შინაარსობრივი კრიტიკა...

აი ენა, სტილი – „იოლია“. „არ მომწონსო“, იტყვის მე-  
ორე კოლეგა და დაამთავრებს „კრიტიკას“...

ასე სდებენ ბრალად „ენობრივ ნატურალიზმს“, ათამაშებს ენასო, დასცინისო... და მსგავსი ბრალდებანი „განსჯას არ საჭიროებს“, „არგუმენტაციას არ საჭიროებს“...

ისე წარმოაჩენენ, თითქოს მწერალს ენა არ ადარდებს, ენაზე არ ფიქრობს, ენას არად აგდებს...

არადა, არ მეგულება მეორე მწერალი, თავისთვის, დღიურებში რომ ასე გოდებდეს: „გაი საცოდავო ქართულო ენაო!“...

ენა, ერი და ქვეყანა – „ერთმანეთზე რომ ჰკიდია“, ერთის ბედი მეორისა და მესამის ბედს რომ ჰგავს, რომ განსაზღვრავს, ამის შესახებ ბევრს არც უფიქრია...

ბევრი რომ არ ვისაუბრო და არ გადავლალო მკითხველი, შევეცდები „ჩანაწერების“ მიხედვით ამ კითხვებს გავცე პასუხი (რას გვეუბნება ამის თაობაზე „ჩანაწერები“):

- რა დღეშია ქართული ენა?
- ვინ არის „შემოქმედი“ ამ ბედისა?
- რა ეშველება ქართულ ენას?

### ანუ – საიდან მოდის

მტერობა ენის,

მტერობა ერის,

მტერობა ქვეყნის...

1988 წლის 27 ივნისს ჩაუწერია მწერალს:

„შუქი არ სჩანს. კოპერატივები შუქი არ არის. ჩვენთვის ჰო არა და არა, რუსებისა არ ვიცი, ანთუ რა ცოდნა უნდა: იმათ გონებას აწევს უკუნი და ამ უკუნში ვართ ჩათრეულნი. ღმერთო დიდებულო!... ღმერთო დიდებულო!... რა ცოდვა გვქონდა!... რა ცოდვა გვქონდა!...“

მაინც იმედოვნება სჯობს უიმედობასა,

მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ,

ანთუ რისი იმედი?...

დავაღწევთ თავს ამ რუსულ უკუნეთსა?...

ღმერთო!... ღმერთო!...“

1982 წლის 17 ნოემბერს ჩაუწერია:

„ღმერთო, ღმერთო დიდებულო, რა უბედურებაა მწერ-ლობა რუსის ბატონობის ქვეშა!... რა უბედურებაა!...“

ესეც ჩაძალლდა, — პაპაჩემი ასე იტყოდა ხოლმე. რუსი მოკვდა და რუსი ჩადგაო, — ამასაც პაპაჩემი იტყოდა ხოლმე.

ადრე ამბობდნენ, — თათარი მოკვდა, თათარი ჩადგაო. საშველი არაა...“

გინდა ჯგარს კცევა“...

მიხეილ ჯავახიშვილის ერთი ჩანაწერი გამახსენდა: „ამ ქვეყნად ისლა დაგვრჩა სანუგეშო, რომ „ისინიც“ ჩაძალლდებიან“...

საერთოდ, ოთარ ჩხეიძის ჩანაწერები ბევრი რამით მაგონებს მიხეილ ჯავახიშვილისას...“

\* \* \*

1973 წელია (11 მაისის ჩანაწერი). საბჭოთა იმპერია ახალ გეგმებს აწყობს. ახალ შეტევას ამზადებს ეროვნულ ენებზე, იმპერიაში შემავალ ენებზე... პარტიის პროგრამაში ჩაწერეს: მიზანი — ერებისა და ენების შერწყმაო... საფრთხე რეალურია...“

ოთარ ჩხეიძე ერთი იდეოლოგიური შეკრების ამბავს გვიამბობს, შეუფერადებლად, მაგრამ ფრჩხილებითა და ქვეტექსტებით (თუმცა ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს „თავისთვის ჩანაწერია“ — ზოგჯერ შემდგომში გასახსენებლად ჩანიშნული, ცხადია, ავტორისათვის იოლად გასაშიფრი)...

შეგვარდნამის პერიოდი ახლი დაწყებულია — 1973 წელი. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამბობს სიტყვას. „პერიფრაზია შევარდნამის გამოსვლისაო“ — ო. ჩხეიძე... და შემდგომ:

„საგულისხმო გამოდის: ნოდარ წულეისკირი რუსული ენისა და რუსი ხალხის რასობრივ აღზევებას უკიუნებს, — საგულისხმო გამოდის. ის ამასაც თავშეკავებულად ეგებება,

ცხადია, საბოლოო სიტყვა პო მისია „„ის“ ედუარდ შევარდნაძეა.

და ოთარ ჩხეიძე დაძაბული ნერვებით უსმენს „გაწაფული“ ამხანაგების გამოსვლებს. ერთი მეორეს ასწრებენ... ძუნწად, მაგრამ მკვეთრად აღწერს მწერალი ვითარებას; სახელისა და გვარების დასახელებით (პრინციპით: დე, იცოდეს ისტორიამ...):

„აი ვარლამ თორდუა, — „კომუნისტი“ ვისი ორგანოა, უნდა იცოდეთო! იქ დაბეჭდილი სტატიები ისე კი არააო... (ეს რუსული ენის დიდების სტატიებიაო)...

აი ხუტა ბერულავა, — „ვიდრე ჩემს სიტყვას მოგახსენებთ, ამხანაგ ნოდარს უნდა ვუთხრაო...“

აი გიორგი მერკვილაძე, — „ნოდარ წულეისკირმა და სხვებმაც უნდა იცოდნენო...“

და გაგრძელდებოდა ასე „დიდი კაცის“ წინაშე თავის გამოჩენის სურვილით დანამუშება ნოდარ წულეისკირისა და ხოტბა რუსული ენისა... და ამ დროს: ოთარ ჩხეიძე: — „და მოთმინება აღარც მე მყოფნის და ვყვირი, მართლაცდა ვყვირი, გვეყოფა ამდენი ჭკუის დარიგება-მეთქი. იქით მურმან ლებანიძე დამაწევს ხმასა...“ რა შეცვალა ამ თავგამოდებამ? — „ერთი მაინც გამოვიდა, შემდეგ გამოსულთაგან აღარავინ შეპხებია ნოდარ წულეისკირს, გამოცვალეს ეს თავგამოსაჩენი“:

„ამშვიდებებ“ ნოდარ წულეისკირსა და მის მხარდამჭერებს: „მეცნიერულადაო, ასეო, ისეო, ვიკამათოთო, ქართული ენისათვის საფრთხე არ არისო“...

მსგავს ვითარებაზე მოგვიანებით (14. V. 1982) ჩაინიშნავს: „ესენი რაო, — რუსებზე უფრო რუსები როგორ არიან ეს მამაობრისშვილები!“...

რუსებზე უფრო რუსები არიანო...

\* \* \*

მძიმეა 1976 წლის ჩანაწერებიც... რამდენიმე ფრაგმენტი.

სიმონ ყაუხჩიშვილი შეხვედრია ოთარ ჩხეიძეს „საბჭოთა საქართველოს“ კიბეზე. მოკლე დიალოგი:

„ეხ, ამ ცხოვრებას ჩვენ ვერ შევცვლით, მხოლოდ ესაა, ჩვენი სინდისის წინაშე თუ ვიქნებით მართალნი, – მეტი არა-ფერი მოგვიხერხდება“.

„... ერის წინაშე....“

„ჰო: სინდისი ესაა...“ – მოსჭრის სიმონ ყაუხჩიშვილი და მეტშვიდობება...

და ესეც მითხრა სიმონ ყაუხჩიშვილმაო.:

„– უცებ: ქართულ ლიტერატურაში ხეირიანი მეცნიერები არა გვყავსო, წიგნის წაკითხვაც არ იციანო, ვაგლახ, ქართულიც არ იციანო“...

ეს ოთარ ჩხეიძის დარღიც არის, ამიტომ ასეთ კომენტარს დაადევნებს ს. ყაუხჩიშვილს: „მართლაც და ვაგლახ!“...

\* \* \*

გართულებულ ეროვნულ და ენობრივ სიტუაციაში მწერალი რეპრესიებს არ გამორიცხავს... ეჭვობს, რომ იმუამად მომხდარი რამდენიმე აფეთქება არ ჩანს შემთხვევითიო: „ვაი თუ თვითონ „ჩეკა“ აწყობს ამ აფეთქებებსა, რათა დაასაბუთოს აუცილებლობა პოლიტიკური რეპრესიებისა“... და შემდგომ: „ყველაზედ უფრო ბნელი ადამიანებიც კი მიხვდნენ, რომ ყველაფერი, რასაც გაჯანსაღებას უწოდებენ, ქართული ენისა და ქართველი ერის საბოლოო გაქარწყლებას გვიქადის“... და იწყებს ჩამოთვლას:

„დისერტაციების რუსულად დაცვის დადგენილება... თბილისის უნივერსიტეტში ლექციების რუსულად წაკითხვის ცდები“...

და ძალზე მნიშვნელოვანი და სწორი აქცენტი: „უნივერსიტეტი სხვა თვალია, სხვანაირად ქუჩს“...

და ბოლოს გაფრთხილება მწერლისაგან:

„უბედურების წინაშე ვდგევართ.

**გონიერება გვმართებს, დიდი სიბრძნე თუ გადაგვარ-ჩენს“...**

აი, აქ არის სწორედ საჭირო და აუცილებელი ავტორიტეტის შეძახილი, შეგონება...

ენისა და ერის გადარჩენის გზების ძიებას ეკლესიამდე მივყავართ... კომუნისტებმაო XX საუკუნე „ურწმუნოების საუკუნედ“ აქციეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ „ისევ ეკლესიით რომ უნდა გამოვიჩსნათ ენად ჩვენი ანუ ერი ჩვენი“...

ზემოთ (გვ. 15) რომან „მთაგრეხილში“ ჩართულ „სიტყვის აპოლოგიას“ გაკეთანით

„თეთრ დათვში“ ჩანართია, ქართული ენის სადიდებელი. ენა და ხალხი – ესაა თემა ამ ჩანართისა: „არის ენა და არის ხალხი“... თუმცა მოვისმინოთ სრულად ეს ქადაგება:

„ენა!... არის ენა და არის ხალხი. იშლება ენა და იმღვრევა ხალხი. ენა!... უფრო დიადი ხალხსა არაფერი არ შეუქმნია, უკეთესს რო ვერც შეჰქმნის ვერასოდესა. არ არის ენა და აღარც ხალხია. ბრძოც იქვე გახლავს. უცხო ენისა სიტყბოთი ისურვებ მუსიკოსობასა. ბრძოც იქვე გახლავს. რუსთაველსაც დაანგრევ მოხიბლული სხვისი ენითა, მთაწმინდასაც თან მიაყოლებ, სანეხვეზედაც გადასტყორცნი ვევხისტყაოსანსა, რა დაგაბრკოლებს? გული? გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღვომელიო; ტვინი? ტვინიც კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელიო. ნუ ახირდები, ეგ არ უთქვამსო, იტყოდა, იტყოდა, კარგად დაუკვირდი. გულია თუ ტვინი, ორივე სისხლია, მარად მდუღარი, მარად უცვლელი, მოურიველი, გაუტანელი. ენა ზეგარდმოა. ენა არის სარწმუნოება. ერი ენაა, ენა ერია. ამაოდ დაშვრა ფილოსოფოსი, მოვლენილი საგანგებოდა, ამ მესამე დაპყრობის წინა, ამაოდ დაშვრა, სხვა ფილოსოფოსიც ამაოდ დაშვრებიან, პოლიტიკოსნიცა ნაირფეროვანი, ეშმაკუნებიცა ფერად-ფერადნი, მაიმუნებიცა ყიამყრალნი, თვით ეშმაკიცა, ამაოდ დაშვრება, რადგან რო ენაა ბევრად უმაღლეს, ბევრად ძლიერ, ბევრად ამაღლებულ, ენაი

ქართული: რამეთუ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა და-  
მარხულ არს, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით  
ენითა. ხალხიც აქ უნდა იყოს. ხალხი. ხალხი. ენა, მამული,  
სარწმუნოება!... აქ უნდა თავდებოდეს ბობოი“.

მორალი: „ენავ ჩვენი ანუ ერი ჩვენი!“...  
არის ენა და არის ხალხი!

\* \* \*

1969 წელია. დიდი საბჭოთი ლენინის დაბადების 100  
წლისთავის აღსანიშნავად ემზადება... მწერალთა კავშირში  
კრება ჩატარდა; როგორ ეზეიმათ ეს თარიღი... „მხოლოდ მო-  
მხესენებელმა იღაპარაკა ამაზე, მოკამათენი სულ სხვას ამბობ-  
დნენ. ეს რა არისო, ყველა დაწესებულებაში რუსული ენა გა-  
აძატონესო, ქართული ენა იდევნებაო, ეს ვერმიშევი ვიღაა, ეს  
მაცაკანიანიო... იძაბება, იძაბება ეროვნული სული, ან უება  
სულისლაფვაა...“

... რუსული გააძატონეს... ქართული იდევნება... —  
„ენავ ჩვენი ანუ ერი ჩვენი...“

ეს ეროვნული უბედურებაა; ჩვენს თავს დატეხილი უბე-  
დურება... რუსიაო ყოველივე ამის თავი და თავი....

დასკვნა — დიაგნოზი:

„სახელმწიფომ ხელში ჩაიგდო ყველაფერი და აღარც  
გაუშვებს ხელიდანა რაღა თქმა უნდა. ხელისუფლებაშ საბო-  
ლოოდ მოატყეა ხალხი, დაბნია, გააბრიყვა, გაარეგვენა... წა-  
ჰვლიჯა გონებამ და აღარც აღარასოდეს დაუბრუნებს... კა-  
ცობრიობას გადაგვარების მეტი აღარაფერი უწერია... მაგალი-  
თია XX საუკუნის რუსეთი, სიგიურისა და აღვირახსნილობის  
უიშვიათესი ნიმუში...“

და სასოწარკვეთილი შეძახილი:

„ჩვენ რაღას გვერჩოდა ღმერთი, ამას რას მიგვაგდო,  
ამას რას მიგვანარცხა თუ შეგვანარცხა, ან ახლა რას გვერ-  
ჩოდა, ანთუ საერთოდ რასა, ყოველთვის რო უსაშინელეს

ორომტრიალში მოგვაქცევს ხოლმე დაწყიდაბადებიდან აგერ აქამომდისა...“

ნუ დაგვავიწყდება: ეს ჩანაწერებია „თავისთვის“...

\* \* \*

1982 წლის იანვარია.

„კიდევ ერთი უბედური, ერთი შავი წელიწადი დაიწყო“...

„უბედურებაც სწორედ ესაა, რო აღარცა მალავენ და სწორედ ეს „დიდი“ თუ „დიადი“ სამშობლოა უბედურება და უბედურება უბედურებაზე, თორემ ხარკისთვის გაგვიძლია, კი-დევაც გავუძლებთ ხარგსა, ამ „დიად“ სამშობლოს როგორდა გავუძლებთ?“

ეს ფიქრია მწერლისა... კითხვასაც თავის თავს უსვამს... ნაფიქრია ეს კითხვა და ნაძებნია პასუხი, ერთი მაგალითიც დასჭირდება პასუხამდე:

„კომუნისტის „,იზვესტიიდან“ გადმოუღია ინტერვიუ ნო-დარ დუმბაძესთანა, – წინ შესავალი უძღვის: ნოდარ დუმბაძე საბჭოთა მწერალია და ცხოვრობს თბილისში. – ვითომც ივანოვა და ცხოვრობს კალუგაში... მოშალეს ქართული და მოშალეს საქართველო, საქართველოს „ჩვენი რესპუბლიკა“ დაერქვა.“

და პასუხი ნაფიქრ კითხვაზე – „გავუძლებთ?“

– „მაინც დაიღუპა, ბოლოსდაბოლოს დაიღუპა ყველა ჩვენი დამღუპველი, – დაიღუპა ბოლოსდაბოლოსა.

ამითით თუდა მოვითქვამთ სულსა“...

ესაა პასუხი...

„საბჭოთა უკუნეთია“ სწორედ ის, რომელიც ქართულსა და საქართველოს ამ დღეში აგდებს...

ისევ მკვეთრი შეფასება ამ უკუნეთისა:

საბჭოთა ცენზურაზე საუბრობს, რუსი მწერლის ანატოლი კუჩნეცოვის მაგალითი მოჰყავს და – პოზიცია ქართველი მწერლისა: „და რუსი მწერლისათვის ესოდენ გაუსაძლისია

საბჭოთა კავშირი, რა იქნება ქართველი მწერლისათვის? – (... ) ნიკოლოზის ცენტურა რო სანატრელი იქნება, უსაშინლე-სი ეროვნული ჩაგვრის ცენტურა რო შეღავათიანად მოგეწვენე-ბა, მეხი დაეცეს ისეთ დროსა, მეხი დაეცეს და თან ჩაიტანოს ყველაფერი“...

ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებში ქართულისა და საქართვე-ლოს უბედურების მაგალითები საძებარი არაა... მეორე მსოფ-ლიო ომში წასულთა და დაღუპულთა სტატისტიკით დაინტე-რესებულა მწერალი და კვლავ გმინვა –

,თავზარდამცემია...

და მარტო ეს კმარა, ქართველი ხალხის უბედურება რო წარმოიდგინო“...

\* \* \*

ამ ვითარებაში, ამ პირობებში ეროვნული ერთიანობაა უპირველესი სანატრელი... დიახ, სანატრელი, მაგრამ... მწე-რალს ერთი მაგალითი მოჰყავს...

ისევ 1982 წელი (31 იანვარი). დღიურიდან:

,გარდაიცვალა ეროსი მანჯგალაძე, –

თითქოს ელოდნენო.

ეროვნული თეატრის დროშად აიტაცეს და სტურუას თეატრს დაუპირისპირდნენ...“

საოცარი გულისტკივილით გვიამბობს ოთარ ჩხეიძე:

,როგორც არ უნდა ედავო სტურუას თეატრსა, ავინიო-ნის სცენაზე რო ქართულად ლაპარაკობენ, ლონდონის სცენა-ზე რო ქართულადა ლაპარაკობენ, საქართველო რო არც გაუ-გონიათ და ესმით ქართული კიდევ სხვაგანა და კიდევ ბევ-რგანა, დღესა, დღევანდელ პირობებში, ეს დიდი რამაა, დიდი რამაა და დიდი დაფიქრება უნდა, არ შეიძლება შურსა და შუღლს შეეწიროს ასე, ამგვარი მონაპოვარი!“...

მართალია, რუსი თავისთვის იბრალებს ყველა ქართულ წარმატებას, მაგრამო, – „მოსკოვმა რაც უნდა იღონოს, მაინც ქართული ენა გადის ჩვენი ქვეყნის გარეთა, მაინც ქართველი გადის, არღვევს ამ საშინელ ჯურლმულსა, ამ საშინელ საპყრობილესა, საბჭოთა კავშირი რო დარქმევიაო“...

ჩვენ ისიც უნდა ვიქმაროთ, იმითი უნდა ვიამაყოთ, რომ „როგორც იქნა, ავლაპარაკლით რუსულის გარეშე, – უცხოეთში რუსულის გარეშე და ახლა ამსა ბრძოლა გაუმართო, – სიბრძავეაო, უგუნურობა, თვითმევლელობააო“...

ამ მსჯელობას კომენტარი არ სჭირდება...

ზაზგასმითაა ნათქვამი, რომ თეატრი არის „ქართული ენის პოპულარობის, ქართველი ერის პოპულარობის შესაძლებლობა“ და ამ შესაძლებლობას გაფრთხილება სჭირდებაო... მითუმეტეს რუსული უკუნეთის საუკუნეში; ნუ გავახარებთო მტერს... ესეც უდებურებაა...

\* \* \*

და არ უჩანს ბოლო უბედურებებს რუსულ უკუნეთში...

1988 წელი. ნოემბერი...

„მაურიალებს. მთავრობის სახლთან ბავშვები სხედან და შიმშილობენ. ვიღაცა კიდევ იმაზე ფიქრობს, ფული რო გააკეთოს. მაურიალებს. მაურიალებს. 29-მდე ასე ვიქნებით, მერე ვნახოთ, მოსკოვი რა გადაწყვეტილებას მიიღებსო. გაუძლებელ?... რა ვიღონოთ... სადამდის მიიყვანეს ხალხი...“

და მიიყვანეს 9 აპრილამდე!...

1989 წელი. 9 აპრილი.

„9 აპრილი –

კიდევ ერთი ტრაგიკული დღე დაემატა ჩვენს განწირულ ყოფასა. (...)

დაბრუნდა გორბაჩოვი თავის დედოფლიანადა ქუბასა და ინგლისში ბედნიერი სეირნობიდანა და სასაკლაო მოაწყო

რუსთაველის პროსპექტზედა. (...) შევარდნაძეც ჩამობრინდა. (...) ვაი შე უბედურო სამშობლო, რეწეგატი რო არ დაგელევა! (...)

კიდევ ერთხელ გაიხარა მტერმა ჩვენმა... (...)

ველიკორუსული შოვინიზმი ალბათ რო ზეიმობს, ალბათ რო აღტყინების მწვერვალზეა!...“

ვრცელი ჩანაწერია 9 აპრილისა...

6 მაისს ჩაუწერია: „ეტყობა, დამიბლაგვდა სიტყვაცა, აზრიცა, ველარც ველარაფერსა ვწერ და სასიკეთოსაც ჰო აღარაფერს ველოდება!...“

\* \* \*

გზა ხსნისა?...

1968 წლის 30 აგვისტოს ნატვრა ნატვრად რჩება:

,ნეტავი ჩეხოსლოვაკებსა, პროტესტის გამოთქმა მაინც შეუძლიათ, ძალა კიდევ მოსდევთ, იმედიცა აქვთ, ჩვენ რაღა, აღარცა ძალაო, აღარცა იმედიო, აღარცა ეროვნული თავმოყვარეობა, აღარცა ზნეობრივი სიმაღლენი, რიღათი აღვდგეთ?!“

დიახ, ეს იყო „დიად საბჭოეთში“ მწერლის მარადიული საფიქრალი – „დავაღწევთ თავს რუსულ უკუნეთსა?!“

,გამოვიხსნით ენასა ჩვენსა ანუ ერსა ჩვენსა?!“

\* \* \*

ჩვენ მხოლოდ „ჩანაწერებიდან“ ვცდილობდით ოთარ ჩხეიძის დანახვას... ჩანაწერები მხოლოდ თავისთვის კეთდებოდა; მასალა იყო „მემუარებისთვისა“ – „მემუარებში დაიხვეწებოდა, თუ მომიხერხდება, რო დავწერო მემუარები, – თუ არა, ალბათ ცხარე იქნება ცხელ გულზე ნათქვამი“...

ვერ დაიწერა „მემუარები“...

ვერც – „14 აპრილი“...

,ცხელი ფიქრები“, დარდი, სულისკვეთება კი მოიტანა „ჩანაწერებმა“...

მოიტანა და დაგვიხატა ლინგვისტური პორტრეტი „ჩვენი ენისა და ჩვენი ერის“ ჭირისუფლისა...

\* \* \*

მოგვიანებით, რუსუდან ნიშნიანიძესთან დიალოგში თქვა: „მაინც თავისი შესძლო ნამდვილმა მწერლობამა. გადა-არჩინა ენაი ქართული: ენაი, ენაი, ენაი ქართული – გადაარ-ჩინა. უფრო მეტი ღმერთსაც არ შეეძლო იმ ვითარებაში....  
... მწერალი მწერალია თავისი ენისა და თავისი ქვეყნი-სა!....

(დიალოგი გამოქვეყნდა 2008 წელს „ჩვენს მწერლობა-ში“, 31 იანვარი – 7 თებერვალი).

*1. „ოთარ ჩხეიძის ემფატიკური „ა“*

ქაშვეთის ტაძარში ოთარ ჩხეიძეს ემშვიდობებიან.

„ტაძრის კართან იმდეულობოდა ეთერ თათარაიძე: ოთარ ჩხეიძესთან ერთად მიდის მისი ემფატიკური „ა“-ც, ასე მახლობელი ჩვენთვის, ახლა სანთელივით მოსაფერებელი რომ გაგვიხდებაო“ (აგვ. შვ. 813)

ემფატიკური -ა ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილისათვის. ამიტომაცაა კრიტიკოსთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე სწორედ ეს „-ა“...

მწერალს „ცისკარში“ „ბორიაყი“ ჰქონდა მიტანილი და-საბეჭდად და ამბის გასაგებად მისულა...

ეყო სითამამე ტარიელ ჭანტურიას და თავისებური ირონიულ-სერიოზული კილოთი უკითხავს:

— „ბატონო ოთარ, აღარ უნდა მოეშვათ ამ ემფატიკურ „ა“-ს?

კითხვას კითხვა შეეგება:

- რას გიშლის ტარიელ?
- ნერვებს, ბატონო ოთარ“ (აგვ. შვ. 420).

იცოდა სიტყვის ფასი ოთარ ჩხეიძემ და ამ მოსწორებულ სიტყვას ღიმილით გაატარებს...

მაგრამ ფაქტია: ერთ-ერთი მთავარი „ბრალდება“ ოთარ ჩხეიძისადმი, როცა მწერლის ენაზე საუბრობდნენ, ეხება სწორედ ემფატიკურ „ა“-ს.

ოთარ ჩხეიძის „საკუთრებად იქცა“ ენობრივი ფაქტი – ემფატიკური „ა“... რაც მთავარია, საბრალდებო ფაქტად...

დიახ, ოთარ ჩხეიძის ენის კრიტიკოსთა ერთ-ერთ მთავარი სამიზნე სწორედ ეს „-ა“ იყო...

გვერდზე გადავდოთ ტარიელ ჭანტურიას „მახვილგონივრულად“ შებედული კრიტიკა. ენათმეცნიერ-კრიტიკოსთა შეხედულებები მოვიშველიოთ.

\* \* \*

შოთა ძიძიგური თავის ცნობილ წერილში „ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ მწერლობაში“ („ლიტერატურული საქართველო“, 1958, №37) წერს: „საოცრად გადატვირთულია ავტორის მეტყველება ე. წ. ემფატიკური „ა“-თი, რომელიც არ არის დამახასიათებელი დღვევანდელი სალიტერატურო ენისათვის იმ მასშტაბით, როგორც ეს ო. ჩხეიძეს აქვს წარმოდგენილი. „ა“ გვხვდება როგორც ბრუნვის ფორმებთან, ისე სხვა ვითარებაში: თანდებულებთან, ნაწილაკებთან, უფორმო სიტყვებთან. მაგალითად“... და ა. შ. (ხაზი ყველგან ჩემია – გ. გ.).

მსჯელობა გრძელდება: „გარდა ამისა, ავტორი ხმოვან-ფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშნის ჩამოუცილებლად გვთავაზობს: (...მაგალითები – გ. გ.). ო. ჩხეიძეს უთუოდ მოეხსენება, რომ მის მიერ უხვად გამოყენებული გრამატიკული ფორმები არალიტერატურულია, კუთხური მეტყველების-თვისაა დამახასიათებელი, რომ მათი გაბატონება ჩვენ სალიტერატურო ენაში მიზანშეუწონელი და შეუძლებელია“...

ნოდარ ნათაძე – (ვიმოწმებთ წიგნიდან „აგვისტოს შვილები“) – „თითქოს ავტორი კი არ იყენებს დიალექტს და მის დიდი შესაძლებლობებს, არამედ პირდაპირ დიალექტზე წერს – სრულებით უკონტროლოდ ხმარობს ე. წ. ემფატიკურ ა-ს, სახელობითი ბრუნვის ი-ს და ა. შ. ეს ხერხი დასაშვებია და სასურველია მხოლოდ მაშინ, როცა ავტორი თითქოს ად-

გილობრივი კაცის ნიღაბს იკეთებს, თითქოს ადგილობრივი კაცის სახელით გვესაუბრება. მაგრამ როცა მას სისტემური ხასიათი აქვს, ესეც მონოტონურად იქცევა“ (427-428).

თინა კოპლატაძე, ზურაბ ჭუმბურიძე (წერილი: „ბორიაყი“ – ალმანახი „კრიტიკა“, 1974, №9) – „ოთარ ჩხეიძის სტილის ორიოდე ნიშანი თავიდანვე გამოიკვეთა: გატაცება ემფატიკური „ა“-ს ხმარებით და სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვა ბოლოხმოვნიანი სახელებისათვის. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მწერლის უკანასკნელ რომანში ასეთი სახე მიიღო: (... ვრცელი ამონარიდია რომანიდან მოყვანილი – გ. გ.). იმთავითვე აშკარა გახლდათ, რომ ეს არ იყო სალიტერატურო ქართულის კუთვნილება და კუთხურის ინვენტარიდან ამოედო ავტორს“...

\* \* \*

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ: სამივე შემთხვევაში ფაქტობრივ გაიგივებულია ე. წ. ემფატიკური „ა“- და ხმოვანთუ-მიან სახელობითში გამოყენებული „ი“; რომ ეს „უხვად გამოყენებული გრამატიკული ფორმები არალიტერატურულია“; „გატაცება ემფატიკური „ა“-ს ხმარებით და სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვა ბოლოხმოვნიანი სახელებისათვის“ არ არისო სალიტერატურო ენის კუთვნილება; „პირდაპირ დიალექტზე წერს; სრულიად უკონტროლოდ ხმარობს ემფატიკურ „ა“-ს, სახელობით ბრუნვის „ი“-ს და ა. შ.“

უპირველესად შევნიშნავთ: ემფატიკური „ა“ არ არის არალიტერატურული, დიალექტური მოვლენა. იგი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, განსხვავებით ხმოვანთუ-მიან სახელებთან სახელობითში დადასტურებული „ი“-სა. არ არის მართებული მათი თითქმის ერთნაირი კვალიფიკაცია...

ვისაუბროთ ე. წ. ემფატიკური „ა“-ს თაობაზე:

საგულისხმოა თავად მწერლის აზრი ამ „ა“-ს შესახებ, რომელიც მან ივანე ამირხანაშვილთან დიალოგში გამოოქვა (იხ.: „მწერლობაა პირველი გამომთქმელი“, „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 1 თებერვალი):

„ჩემს ნაწერებში უცხოს ვერიდები. არც ნეოლითიზმებით ვარ გატაცებული, მე მგონი დამეთანხმებით. მაში რა გეჩოთი-რებათმეთქი, აქამდისაც მიკითხავს და ვერაფერი ვერ დაუსახელებიათ ემფატიკური ა-ნის გარდა. მაგრამ ეს განა ისეთი რა ცოდვაა, არაჩვეულებრიობას, სირთულესა და გაუგებრიობას რო ჰქმნიდეს?! არა, ეს არავითარი ცოდვა არ არის. აქ არ მოვყები, თუ რატომ მივმართე, რატომ ვიყენებ, აქ მხოლოდ იმისი განცხადება მინდა, ჩემი სტილი რო არ ემყარება არავითარ ემფატიკურ ა-ნსა, ამას ამხელა შესაძლებლობა არ გააჩნია. არა, არავითარ შემთხვევაში“...

უდავოდ საინტერესო მსჯელობაა. კარგი იქნებოდა, მწერალს იმის შესახებაც ესაუბრა, „თუ რატომ მიმართა ამ ხერხს“...

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალმა იფიქრა, რომ ინტერვიუერი ვერ დაარწმუნა ამ მსჯელობით თავის სიმართლეში და ასეთი „ექსპერიმენტი“ შესთავაზა: „თუ არ გჯერათ, ამოშალეთ ემფატიკური ა-ნი. ამითი სტილი არ შეიცვლება“...

ოთარ ჩხეიძე აქ ხაზგასმით ამბობს, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით ემფატიკური ა-ნის ხმარება „არაა ცოდვა“; არ უნდა იყოს ეს ის არგუმენტი კრიტიკისათვის, რაც „არაჩვეულებრიობას, სირთულესა და გაუგებრიობას რო ჰქმნიდეს“...

უნდა დავეთანხმოთ მწერალს – ემფატიკური ა სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და მისი ხმარება არაა ენის ნორმათა დარღვევა! სანამ იმაზე ვისაუბრებდეთ, რას გულისხმობს

მისი გამოყენება „იმ მასშტაბით“, „უკონტროლოდ“, ჰარბად გამოყენება, კიდევ ერთ საკითხს მინდა მიგაქციო ყურადღება.

კრიტიკოსი ხაზგასმით შენიშნავს: „ა“ გვხვდება როგორც ბრუნვის ფორმებთან, ისე სხვა ვითარებაში: თანდებულებთან, ნაწილაკებთან, უფორმო სიტყვებთან“... თითქოსდა ეს იყოს გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმებიდან. ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემთხვევაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა; მოვიყან ამონარიდს აკადემიური გამოცემიდან („ახალი ქართული ენა“, წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია – ზოგადი, სახელი, თბ., 2016): „თანხმოვნით დაბოლოებულ ბრუნვის ნიშნებს ზოგიერთ პოზიციაში უჩნდება ხმოვანი ა, რომელიც სავრცობის ან ემფატიკური ნიშნის სახელითაა ცნობილი გრამატიკულ ლიტერატურაში... თანამედროვე ქართულში ეს ხმოვანი შეიძლება მივიჩნიოთ ბრუნვის ნიშნის განუყოფელ ელემენტად, რომელიც შესაბამისი ბრუნვის ნიშნის სინტაგმატურ პოზიციაზეა დამოკიდებული. ა ელემენტს დამოუკიდებელი გრამატიკული დისტრიბუცია აქვს“... აქვე პარადიგმაა წარმოდგენილი ზუთივე ბრუნვაში (მოთხობითში, მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში). პარალელური ვარიანტების არსებობა (ემფატიკური ხმოვნითა და მის გარეშე) ბუნებრივი მოვლენაა (154-158).

ფაქტია: ემფატიკური ა არ არის არალიტერატურული ელემენტი!

რაც შეეხება ემფატიკური ა-ს გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებსა და კანონზომიერებებს, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ პირველ წიგნში (1972) გამოქვეყნდა ენათმეცნიერ თამარ ზურაბიშვილის გამოკვლევა „მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ („მავრცობი“ და „ემფატიკური“ სინონიმური ტერმინებია). ეს ნაშრომი იმიტომ არის ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომ ამ გამოცემას აქვს ნორმატიული რეკომენდაციის დანიშ-

ნულება. კრებულის წინასიტყვაში ვკითხულობთ: „იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, სტილისტიკისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგის უნიფიცირებული ნორმების დანერგვა, (...) სადორექტივო ორგანოთა გადაწყვეტილების საფუძველზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“... ფაქტობრივ, ამ კრებულში გამოქვეყნებული არის მასალა ნორმა-თათვის, გარკვეული რეკომენდაცია (ვიმეორებთ: რეკომენდაცია და არა ნორმა!....).

ძალიან რომ არ გადავდალოთ მკითხველი ენათმეცნიერული ექსკურსით, რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან, თითქოსდა პასუხად მწერლისადმი წაყენებული „ბრალდებულზე“...

ემფატიკური ა გვხვდება:

— „როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან, თანაც ისე, რომ არ იცის ის გამონაკლისები, რაც ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი...“

— სამი ბრუნვის გარდა ა წმოვანი გამოვლინდება სხვა ბრუნვებთანაც;

— დასტურდება სახელების გარდა ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვებთანაც, თვით ზმნებთანაც კი“

„ორი შემთხვევა განირჩევა:

ა) ეს ა აუცილებელია, მის გარეშე სიტყვა არ იხმარება და,

ბ) მისი ხმარება ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული“ (გვ. 45).

მაგალითებიც, ცხადია, ახლავს მსჯელობას... განვაგრძობთ:

— „უფრო საინტერესოა ა წმოვნის ხმარების თვალსაზრისით მეორე რიგის შემთხვევები, როდესაც ა არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ მიუხედავად ამი-

სა, გარკვეულ კონტექსტში მისი გამოყენება კანონზომიერია“ (გვ. 46).

მრავლადაა ამის მაგალითიც... ნიმუშები მოყვანილია კლასიკური და თანამედროვე მწერლობიდან...

ამ მონაკვეთის ავტორისეული დასკვნა ასეთია: „განხილული მაგალითები, როგორც ითქვა, ა ხმოვნის ხმარების შემთხვევათა იმ რიგს ეკუთვნის, როდესაც, მართალია, მისი გამოყენება აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ მას მაინც თავისი გარკვეული ადგილი აქვს სიტყვასთან წინადაღებაში, გარკვეულ პირობებში იხმარება“ (გვ. 52). აქ ის პირობებიცაა გააჩნალიზებული და კეთდება დასკვნა, რომ ემფატიკურ ა-ს გამოყენება სტილისტური დანიშნულებისაა: „რადგან მავრცობი ა სტილისტიკური დანიშნულებისაა, ცხადია, მისი ხმარება ინდივიდუალურია და ყველა მწერლის ნაწერებში იგი ერთნაირად ვერ იქნება წარმოდგენილი; ზოგის ნაწერებში ა მეტად ხშირი და ჩვეულებრივია (ეს ითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებზე), ზოგი ავტორი კი მას ნაკლებად იყენებს. მისი ხმარების შემთხვევები განსაკუთრებით იშვიათია თანამედროვე სალიტერატურო ენაში, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ავტორი განგებ არ ხმარობს მას მოჭარბებულად სტილიზაციის მიზნით, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი აქვს ოთარ ჩხეიძის პროზაში“ (გვ. 55).

ამ დასკვნიდან ნათელია: „მოჭარბებული ხმარება“ რომელიმე ავტორის მიერ (აქ ოთარ ჩხეიძეა დასახელებული!) ვერ ჩაითვლება ქართული სალიტერატურო ენის ინტერესთა შელახვად: ეს მისი ინდივიდუალური სტილის თავისებურებაა მხოლოდ!

როცა, „მოჭარბებულ“ ხმარებაზეა მინიშნება, არსად არაა „დაზუსტებული“ რა შემთხვევაში ჩაითვლება ემფატიკური „ა“-ს გამოყენება მოჭარბებულად...

ის ფაქტი, რომ ა- შედარებით ხშირი გამოყენებისაა აღმოსავლეთიდან გამოსულ მწერალთა ენაში, ზეპირმეტყველების სინტაქსისა თუ სტილისტიკის სფეროა და ამაზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას ქვევით...

ასე რომ, ოთარ ჩხეიძის მიერ დასმულ კითხვას – ემფატიკური ა-ნის ხმარება განა ისეთი რა ცოდვააო – ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს:

ემფატიკური ა-ნის ხმარება სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არავითარი ცოდვა არ არის!....

არც არავის დაუდგენია და ვერც ვერავინ დაადგენს, რაოდენობრივი თვალსაზრისით ემფატიკური ა-ნის გამოყენება როდისაა „მოჭარბებული“ და როდის „ზომიერი“...

უამრავი მაგალითის მოყვნა შეიძლება კლასიკური მწერლობიდან თუ ზეპირსიტყვიერებიდან, ამ „ხმოვნის“ „ჭარბი“ გამოყენებისა. ორიოდე მაგალითი ასე ვთქვათ, „ჭარბი“ ხმარებისა:

„ვეფუნისტყოსნიდან“ – „ღმერთსა, შემვედრე, ნუთუ კვლა დამსხნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“...

ხალხური: „ოოფი ხისა და ტყვია წყლისა, ხესა ეცა – ქვა გაიქცა“...

„იხვსა, ბატსა და ქათამსა – ყველას გავგარი კბილია“...

და სხვა... ანუ მაგალითები „ჭარბი“ გამოყენებისა...

კითხვას ნუ დავსვამთ – პირადად მე მომწონს თუ არა... ამას კონკრეტული შემთხვევისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება: მოწონება გემოვნების საქმეა; გემოვნებისთვის ნორმა არავის დაუდგენია (და ვერც დაადგენს); ამიტომ კატეგორიულ დასკვნას – „მე არ მომწონს“ – ვერ გავიზიარებთ...

\* \* \*

ინტერესისთვის, ის „ექსპერიმენტიც“ ჩავატაროთ, მწერალმა რომ შესთავაზა ი. ამირხანაშვილს. ავიღებ შემთხვევით

შერჩეულ 100 სიტყვიან მონაკვეთს („ბორიაყის“ მესამე თავი-დან), მოგმლი ემფატიკურ ხმოვანს და ვნახოთ: „ამით სტილი არ შეიცვლებაო“, ამბობს მწერალი:

### ემფატიკური „ა“ ხმოვნით:

კრინტი აღარ დაუძრავს შალვა ხეთერელს-ა, ისე დაილია დამე, დღეც გაპლია უბრად-ა, უხმოდ-ა, ნაწილიც არ ჩაუდვია პირში, არც საუზმეს გაჰკარებია, არც სადილს-ა. არც გარეთ გასულა, არც წამოუწევია საწოლიდან-ა, წაპირქვავებულიყო, არ უნდა არავის დანახვაი, არც ხმის გაგონება არავისი. არც არავინ ეპასუხებოდა, სტუმარი ვერ გაჰტედავდა, არც რძალი ეპასუხებოდა, ძმა მაინც დაეხმაურებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ არ მოეცლიათ, არ გაეჩერებინათ შინ-ა, დილიდანვე გაეყვანათ, დილიდანვე დაატარებდნენ აღმა-დაღმა, გაღმა-გამოლმა, შორს-ა თუ ახლოს-ა, დაატარებდნენ ავადმყოფებთან-ა თუ დაჭრილ-დაჩეხილებთან-ა, შშობიარებთან-ა თუ ბნედიანებთან-ა, უეცრად გულშემოყრილებთან-ა თუ საიქიოდ გადადებულებთან-ა... ერთს რო უვლიდა, მეორე დასდგომოდა თავს-ა, არიქა, ჩემთან წამოდიო, დაუზარელი იყო და დაატარებდნენ, მუქთი იყო და ეტანებოდნენ, ან ვინ არ მიეტანებოდა, ვინ მოასვენებდა მუქთას-ა, დაუზარელს-ა?

### ემფატიკური „ა“ ხმოვნის გარეშე:

კრინტი აღარ დაუძრავს შალვა ხეთერელს, ისე დაილია დამე, დღეც გაპლია უბრად, უხმოდ, ნაწილიც არ ჩაუდვია პირში, არც საუზმეს გაჰკარებია, არც სადილს. არც გარეთ გასულა, არც წამოუწევია საწოლიდან, წამხობილიყო, წაპირქვავებულიყო, არ უნდა არავის დანახვაი, არც ხმის გაგონება არავისი. არც არავინ ეპასუხებოდა, სტუმარი ვერ გაჰტედავდა, არც რძალი ეპასუხებოდა, ძმა მაინც დაეხმაურებოდა,, რა თქმა უნდა, მაგრამ არ მოეცლიათ, არ გაეჩერებინათ შინ, დი-

ლიდანვე გაეყვანათ, დილიდანვე დაატარებდნენ აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა, შორს თუ ახლოს, დაატარებდნენ ავაღმყოფებთან თუ დაჭრილ-დაჩეხილებთან, მშობიარეებთან თუ ბნედიანებთან, უეცრად გულშემოყრილებთან თუ საიქიოდ გადადებულებთან... ერთს ორ უკლიდა, მეორე დასდგომოდა თაგს, არიქა, ჩემთან წამოდიო, დაუზარელი იყო და დაატარებდნენ, მუქთი იყო და ეტანებოდნენ, ან ვინ არ მიეტანებოდა, ვინ მოასვენებდა მექთას, დაუზარელს?

დასკვნა თავად მკითხველმა გააკეთოს...

**მოკლედ:** ენობრივი თვალსაზრისით (ნორმატიული თვალსაზრისით, სალიტერატურო ენის სიწმინდის თვალსაზრისით) ემფატიკური „ა“-ს ხმარება „არ არის ცოდვა“...

ისიც ფაქტია, რომ ოთარ ჩხეიძესთან ერთსა და იმავე რომანშიც კი, სხვადასხვა ეპიზოდში არ არის ერთგვარი ამ ა-ს გამოყენება; ნებისმიერ მონაკვეთში ყველა მოსალოდნელ შემთხვევაშიც არ გვხვდება „ა“... ეს უკვე სტილისტიკამ უნდა იკვლიოს, რატომ არ არის ერთ შემთხვევაში და რატომაა მეორე შემთხვევაში... ჩემი აზრით, ისეთ მწერალთან, როგორიც ოთარ ჩხეიძეა, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს... ერთი შეხედვით, ერთგვაროვანი ვითარება არაა, ვთქვათ, „ბურუსში“, „ბორიაყსა“ თუ „არტისტულ გადატრიალებაში“... როგორც ჩანს, ყურადღება უნდა მიექცეს ქრონოლოგიასაც, თემატიკასაც, პერსონაჟთა „ვინაობასაც“ და ა. შ. ... ეს უკვე მომავალი პლევის საგანია...

თუ ვიღაცას „ნერვებს უშლის“, ეგ სხვა თემაა...

სხვათა შორის, სილოვონ ხუნდაძემ „კეთილხმოვნების“ პრინციპის შემოტანა სცადა (პ- და ს- პრეფიქსებზე მსჯელობდა...) ვიღაცისათვის ემფატიკურხმოვნიანი ვარიანტი შეიძლება იყოს „კეთილხმოვანი“, ვიღაცისათვის – არა... ესეც სხვა თემაა, სხვა მსჯელობის საგანია...

\* \* \*

როგორც ვნახეთ, კრიტიკოს-რეცეზენტები ემფატიკურ ა-სთან აიგივებენ ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში გამოვლენილ ი ხმოვანს: თანამეცხრედეი, წვეულებაი, სალომე... .

აი, ეს გახლავთ ქართლური დიალექტიდან აღებული გრამატიკული ფორმა. ქართლური დიალექტის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ეს მოვლენაა – სახელობითში -ი სუფიქ-სი დაერთვის როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებს:

, „ა) ქართლურ დიალექტში სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი დაერთვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებსაც: სუფრა-ი, ლობიო-ი, დრო-ი. უპირატესად მაშინ, როცა სახელი წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაშია: „რო გაითოხნება, მიწა სუ უნდა ამოყარო, მიყრილი რო აქ მიწაი“...

ბ) სამხრეთ ქართლურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან -ი დაერთვის, ჩვეულებრივ, საკუთარ ან მათთან გატოლებულ სახელებს: დათა-ი, ილიკო-ი, პავლე-ი... დედა-ი „დედაჩემი“: მამა-ი „მამაჩემი“, ნათლია-ი „ჩემი ნათლია“ (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989, 301).

### გადაწვევა:

ისე, შესწავლის თვალსაზრისით ესეც საინტერესოა: ყველა შემთხვევაში სახელობითში ხმოვნებიანებთან არ შეგვხდება -ი სუფიქსი. მაგალითად, ასეთი წინადადება „ბორიაყში“ – „არა თუ მოჩვენება, არა თუ ფუტურო, ხეი ფუტურო, არა თუ ფიტული...“ ერთსა და იმავე წინადადებაში ორს დაერთვის, ორს – არა... და მრავალი მსგავსი...

ქართლურ დიალექტს სხვაც ბევრი თავისებურება აქვს. ოთარ ჩხეიძე ახდენს მხოლოდ ამ ერთი გრამატიკული ფაქტის სტილიზაციას. ეს არჩევანი (ანუ ეს ფაქტი რომ აიღო თავისი სტილის ერთ-ერთ მახასიათებლად) იმითაც ჩანს საინტერესო ავტორისათვის, რომ ის გარკვეულწილად არქაულო-

ბის იღუზიასაც ქმნის: მოგეხსენებათ, ძველ ქართულში ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები სახელობითში ვ-ს დაირთავდნენ: დედაო, მამაო, წყაროო, ყრუო... თუმცა მხოლოდ საზოგადო სახელებში...

თავისთვად ის ფაქტი, რომ ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენა ასე შთამბეჭდავად იქცა ოთარ ჩხეიძის სტილის მახასიათებლად, არაერთგვაროვან შეფასებას იღებს კრიტიკოსთაგან, მკითხველებისაგან, კოლეგებისაგან; მოსწონთ, აქებენ (ძირითადად ვიმოწმებთ წიგნიდან „აგვისტოს შვილები“):

**მურმან ლებანიძე** – „ქართლურ დიალექტებზე დაფუძნებულსა და ხალხური მეტყველების სტილიზაციით მიღებულ ოთარ ჩხეიძის ენობრივ-სოციალურ ქსოვილს უთუოდ ახლავს თავისი ხიბლი (მით უფრო ამ შემთხვევაში, როცა ცხოვრებისეული მასალა შესატყვისია)“ (423).

**ნაირა გელაშვილი** – „ეს მართლაც ქართლური დიალექტის გარდასახვა იყო მხატვრულ ენად და არა საერთო ქართულის საფუძველზე აგებული ენობრივ სტილური პოზიცია, არამცთუ უაღრესი კოლორიტულობა თუ უნიკალურობა გვეგრძნო, თუნდაც ზედმიწევნით მართებული ანალიზიც ამოვარდნილი იქნებოდა ყალიბიდან და ჰაერში გამოკიდებული“ (468).

**გურამ გვერდწითელი** – „სადა, აღმოსავლურ-ქართლური მეტყველების იერდაკრული ენა“... „ქართლური კოლორიტით სავსე მსუყე ენა“ (422-423).

ამ შეფასებაში ფაქტობრივ მწერლის მიღწევად თვლიან დიალექტური საშუალებების მიგნება-გამოყენებას... მაგრამ **სხვა სხვაგვარად ფიქრობს:**

**ბესარიონ ჟღენტი** – „განა შეიძლება ახლა ამ ენით წერა? რომანის („მეჩეჩი“ – გ. გ.) ენის ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ შეიძლება ენა ყველა მწერალმა კუთხურად მოუქციოს

და დაამახინჯოს ზოგმა ქართლურად, ზოგმა მეგრულად, ზოგმა სვანურად და ა. შ. მაშინ ხომ ხელში გაგვიქრება ჩვენი ერთიანი ქართული ენა! ქართველ ხალხს აქვს ერთიანი ქართული ენა თავისი გრამატიკული სტრუქტურით და მწერალიც ამ ენით უნდა წერდეს“ (433)...

კრიტიკოსი ამ შემთხვევაში იმეორებს იმ „ბრალდებას“, რომელიც თავის დროზე ვაჟა-ფშაველას წაუყენეს; **იპოლიტე ვართაგავა:** „რა იქნებოდა, გ. ჭალადიდელს ეწერა მეგრულის კილოთი, ეგ. ნინოშვილს – გურულის, აკაკის – იმერულის, ალ. ყაზბეგს – მოხვევურის, ირ. ევდოშვილს – ქიზიყურის და სხვა? შეუწყობდა თუ არა ეს ხელს ქართული ენის და ლიტერატურის გაზრდა-განვითარებას?“ თავისთავად ი. ვართაგავა ამ შემთხვევაში აკაკი წერეთელს ბაძავს, თუმცა აკაკის სხვა უფლება ჰქონდა ამის თქმისა... (გ. გოგოლაშვილი, „ერი დედაა ენისა – ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე“, 2020)...

ფაქტია: ბ. უღენტის კრიტიკა კრიტიკისთვისაა დაწერილი, თორემ ქართლურად მოქცევა სათქმელისა გასაგებია, მაგრამ რას ნიშნავს სვანურად მოქცევა ქართული ტექსტისა? ეს ხომ აბსურდია?... როგორც ჩანს, უნდა გაეკრიტიკებინა და თანაც მწვავედ...

**ნოდარ ნათაძე** დაბეჯითებით ამტკიცებს: „თითქოს ავტორი კი არ იყენებს დიალექტს და მის დიდ შესაძლებლობებს, არამედ პირდაპირ დიალექტზე წერს“...

ლინგვისტისაგან (კრიტიკოსი ლინგვისტი იყო...) სრულიად მოულოდნელია ამგვარი დასკვნა: „პირდაპირ დიალექტზე წერს“... შეგვიძლია გავიაზროთ, რას ნიშნავს დიალექტზე წერა? (სხვათაშორის ვაჟა-ფშაველას მიმართ ეს ბრალდება დღემდე გაისმის – ფშავ-ხევსურულ დიალექტზე წერდაო...). ფაქტობრივ, არ უნდა იცნობდე იმ დიალექტს, ეს დასკვნა რომ გააკეთო კაცმა, ან არ უნდა იცოდე, საერთოდ რა არის დიალექტი...

დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს დიალექტურ ქრესტომათიებში წარმოდგენილ ქართლურ ტექსტებს (ასეთები მრავლადაა)...

ბრალდებასავით გაისმის სხვა კრიტიკოსთა შეფასებაც: „იმთავითვე აშკარა გახლდათ, რომ ეს არ იყო სალიტერატურო ქართულის კუთვნილება და კუთხურის ინვენტარიდან ამოედო ავტორს...“

... უეცრივ ქართლური დიალექტის კუთვნილებათა სალიტერატურო ენის სამფლობელოში აყვანა იმთავითვე ოწვევდა ენის ბედით დაინტერესებულთა ერთგვარ შეცბუნებას...

... ოთარ ჩხეიძე აქ არ შეჩერდა. იგი სულ უფრო და უფრო დაშორდა თანამედროვე ქართულის მაგისტრალურ ხაზს“ (თინა კოპლატაძე, ზურაბ ჭუმბურიძე)...

კრიტიკოსები ასკვნიან, რომ „ქართველი მკითხველი მხატვრულ ლიტერატურაზე ფიქრსა და განსჯას მიეჩვია ილიას, აკაკის, ვაჟას, ვ. ბარნოვის, ნ. ლორთქიფანიძის, გალაკტიონის, კ. გამსახურდიას ენით“ და ო. ჩხეიძემ მათი შეცბუნება გამოიწვიაო...

ერთი მხრივ, საუბარია ქართლური დიალექტის სტილიზაციაზე, გარდასახვაზე, ქართლურის ფერდაკრულ სტილზე და

მეორე მხრივ, „პირდაპირ დიალექტზე წერაზე“, ქართლური დიალექტის სალიტერატურო ენის რანგში აყვანაზე... ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზიდან დაშორებაზე...

ზემოთ სიტყვა „ბრალდება“ ვახსენე; ეს მეორე შემთხვევას ეხებოდა...

მე საკითხის სხვაგვარად დასმა მსურს.

როცა ოთარ ჩხეიძის პროზას კითხულობენ, თუ ქართლურ დიალექტსაც იცნობენ, გრძნობენ სიახლოვეს... უნდა

ვენდოთ, ვინც ასე ფიქრობს, მაგრამ კითხვის ნიშანი რჩება მრავლად...

ამ შემთხვევაში მე სწორედ ეს მაინტერესებს: ქართლური დიალექტის იერს რა სძენს ოთარ ჩხეიძის სტილს? მხოლოდ სახელობითის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან ვერ უნდა იყოს იმ ძალის, რომ ეს შთაბეჭდილება შეიქმნეს... აღბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა დიალექტთაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში, უფრო აქტიურად გამოიყენება ემფატიკური „ა“... შეიძლება ვთქვათ, რომ მისი ხშირი გამოყენება სძენს ქართლურის იერს... ვიმეორებთ: ხშირი გამოყენებაა დიალექტური ელფერის მიმცემი და არა თავად ემფატიკური ა!...

ანალოგისათვის მცირე გრამატიკული ექსკურსი: III სერიის ორი მწკრივი – II თურმეობითი (რა ექნა?) და III კავშირებითი (რა ექნა?) ფუნქციურად ხშირად ჩაენაცვლება ერთმანეთს... ორივე ეს მწკრივი დამახასიათებელია ახალი ქართული ენისათვის. ცნობილი ფაქტია დიალექტოლოგიაში: რაჭულში იშვიათია II თურმეობითის ფორმა (დაეთესა, დაეწერა...); მის ნაცვლად ჩვეულებრივ გამოიყენება III კავშირებითი (დაეთესოს, დაეწეროს...); იმერულში – პირიქით... ასე რომ, სხვაობას რაჭულსა და სხვა დიალექტებს შორის მწკრივთა გამოყენების სიხშირე ქმნის...

შესაბამისად, ემფატიკური ა არ არის ქართლური დიალექტური მოვლენა, მისი გამოყენების სიხშირე ახასიათებს ქართლურს სხვაზე მტერად...

როცა ამ თემაზე ვსაუბრობ, ერთი საინტერესო ფაქტი მახსენდება:

მწერალმა თამაზ ბიბილურმა გამოაქვეყნა ერთი საინტერესო დაკვირვება (მოგეხსენებათ თ. ბიბილურ კახეთიდან იყო):

„ერთხელ ჩავატარე ასეთი პატარა ექსპერიმენტი. აივანზე ვიდექი და ქვემოთ მეზობლები ყაყანებდნენ, იცინოდნენ,

ჭორაობდნენ. უცბად მომიარა სურვილმა, რომ ჩამეწერა ეს პროცესი. აღმოვაჩინე ძალზე სასიამოვნო რამ. აქ, ამ საუბარში იყო კოლორიტი, ჩანდა თითოეული პერსონაჟი, ეს დიალოგი იყო აბსოლუტურად იდეალურად გამართული. ეს ჩემთვის ძალზე სასიხარულო მოვლენა იყო, ეს ვარაუდი გამიმართლდა მერეც, როცა დავრწმუნდი, რომ დიალოგი შეიძლება სუფთა ქართულით, მაგრამ კოლორიტი მაინც იყოს, მაინც გმირი მეტყველებდეს. ამის ნიმუშები გვაქვს ჩვენ ილასთან, დავით კლდიაშვილთან. პერსონაჟები თითქოს ლაპარაკობენ ჩვეულებრივად, სუფთა სალიტერატურო ენით, მაგრამ ლაპარაკობს ლუარსაბი, ლაპარაკობს დარეჯანი, ლაპარაკობს პლატონ სამანიშვილი“ (1992 წლის ოქტომბერი. რადიოინტერვიუ. დაბბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, 22 იანვარი, 1993 წ.). ძალიან საგულისხმო დაკვირვებაა: შეიძლება არ გამოიყენოთ არცერთი კახური დიალექტური ფორმა და საუბარი მაინც იყოს კახური (ასევე ითქმის სხვა დიალექტებზეც). აქ არაა საუბარი მხოლოდ ინტონაციაზე (მაგალითად: როცა მსახიობი ქართულად ჰყვება ამბავს მეგრული ინტონაციით....).

სამწუხაროდ, ჩვენი ზეპირმეტყველება – დიალექტური ზეპირმეტყველება – არ არის შესწავლილი ისე, რომ შეგვეძლოს ვისაუბროთ ამ თვალსაზრისით ერთი დიალექტი რით განსხვავდება მეორისაგან... დიალექტური სტილისტიკა – ფაქტობრივ ხელუხლებელი უბანია....

როცა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების აღქმა ხდება ქართლურად („ქართლურ დიალექტზე დაფუძნებული“, „ქართლური დიალექტის გარდასხვა შხატვრულ ენად“, „ქართლური მეტყველების იერდაკრული ენა“...), ვფიქრობთ, ეს არის ის, რაც თ. ბიბილურს მეხობლების საუბარს კახურად აღაქმევინებს...

სწორედ, ხმოვანთურიან სახელებთან გამოვლენილი -ი და ემფატიკური ა-ს ხშირი გამოყენება სბენს ო. ჩხეიძის

სტილს ქართლურ იერს... იქმნება გარკვეული ილუზია ქართლური მეტყველებისა...

ერთი კონკრეტული სინტაქსური ფაქტიც: როცა ასეთი წინადაღები შემხვდა – „თვალში ჩავუვარდე, ხელს არ ამოისმევსო“, „გააცილეს ისე, არც კრინტი დაუძრავთ“ („ბორიაყიდან“) – იაკობ გოგებაშვილის შემთხვევა გამახსენდა; უფრო სწორად, ერთი პასაჟი იოსებ მჭედლიშვილის მოგონებიდან:

„როდესაც ლაპარაკში შევეზიე, ისე წავთამამდი, რომ აქა-იქ ფრთხილად ენაც დავუწუნე მის სახელმძღვანელოებს.

ასე: – ბატონო იაკობ, თქვენ ხალხურ ენას დიდ პატივსა სცემთ, მეც მირჩევთ, ხალხური ენით ვწერო, როგორც ილია, აკაკი და რაფიელ ერისთავი, მაგრამ თქვენს წიგნებში რომ ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილები!

– აბა, სადა, მაჩვენე! – წამოდგა იაკობი და მომიტანა „ბუნების კარი“.

ცოტა არ იყოს შევფიქრდი. (...)

დინჯად გადავშალე წიგნი. (...)

მართლაც მალე წავაწყდი; 145-ე გვერდზე ამბავი „გველი“ ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“... (...)

– აი, ბატონო იაკობ, ავიღოთ, მაგალითად, ამბავი გველზე. ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ხალხი ასე არ იტყვის; ხალხი იტყვის: „ყველამ იცის, გველი შხამიანი ცხოველია“. რა საჭიროა „რომ“... (...). იაკობი დაფიქრდა, დაფიქრდა და გაკვირვებით მითხრა:

– იცი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ალაგას არ უნდა „რომ“...

ოთარ ჩხეიძისა – „თვალში ჩავუვარდე, ხელს არ ამოისმევს“. – ეს სწორედ ის „ხალხური“ ვარიანტია. ზეპირმეტყველებისთვის უფრო უკავშირო ქვეწყობაა დამახასიათებელი, „წიგნიერი“ მეტყველებისთვის – კავშირიანი; მაგალითად – „თვალში რომ ჩავუვარდე, ხელს არ ამოისმევს“...

ოთარ ჩხეიძის სტილზე როცა ვფიქრობ, ქართლური მეტყველების შთაბეჭდილებას ალბათ ამგვარი სინტაქსური ვარიანტიც ქმნის და კიდევ, ალბათ, რამდენი რამ, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით დიალექტური სტილისტიკიდან, რასაც ვერ ვხედავთ... მწერალი კი გრძნობს და სწორედ ქართლურ ენობრივ გარემოში დაგვატარებს სალიტერატურო ქართულით... ქართლური ენობრივი გარემო აისახება ამგვარად ოთარ ჩხეიძის პროზაში...

**შევნიშნავთ:** ამგვარივე თვალსაზრისით შეიძლება ვისაუბროთ – ნოდარ დუმბაძე და გურული დიალექტი; ოტია იოსელიანი და იმერული დიალექტი...

ერთი მხრივ, ქართლური დიალექტის სინტაქსისა და სტილისტიკის შესწავლა და, მეორე მხრივ, ოთარ ჩხეიძის პროზის სინტაქსურ-სტილისტური ანალიზი ალბათ ბევრ კითხვას გასცემს პასუხს...

აი, ეს აზრები გააჩინა „ოთარ ჩხეიძის ემფატიკურ ა-ზე ფიქრმა“...

## 2. ფიქრები „სქოლასტიკური პუნქტუაციის“ შესახებ

ოთარ ჩხეიძის კრიტიკოსები მირითადად მწერლის სტილზე საუბრობენ (ბუნდოვანიაო, მძიმეაო); დიალექტურია ტექსტიო... გრამატიკულ „ლაფსუსებზე“ მიუთითებენ – ნორმათა დარღვევებზე და ა. შ.

ნოდარ ნათაძემ მიაქცია ყურადღება პუნქტუაციასაც (თითქოს სხვები ამ ფაქტს უმნიშვნელოდ მიიჩნევენ...).

ოთარ ჩხეიძის ნოველების წიგნის („ცხადი“) ანალიზისას ნოდარ ნათაძე აკრიტიკებს მწერლის სტილს, თითქოს „ახსნასაც“ დაუძებნის: „ეს სტილი არ არის რევოლუციის მომასწავებელი ქართულ პროზაში. ეს ჩვეულებრივი ქართულია იმ განსხვავებით, რომ წერტილის მაგიერ მძიმე იწერება, ისევე, როგორც „გველის პერანგის“ „უმძიმეებო“ ქართული ჩვეუ-

ლებრივი ქართული იყო იმ განსხვავებით, რომ მძიმის ადგილას ზოგან წერტილი ეწერა და ზოგან არაფერი. ეს თავისებური ორთოგრაფია (ორთოგრაფიის საზღვრებს ეს სიახლე არა სცილდება) მხოლოდ კითხვას აძნელებს, თხრობის რიტმს კი არ ამძაფრებს. იგი წმინდა გარეგანი ეფექტის შთაბეჭდილებას ტოვებს“ (აგვ. შვ., 427).

დავანებოთ თავი იმას, არის თუ არა ეს „ჩვეულებრივი ქართული“, მაგრამ რას ნიშნავს, „წერტილის მაგიერ მძიმე იწერება“, როგორც გრიგოლ რობაქიძესთან მძიმის მაგიერ – ზოგან წერტილი და ზოგანაც არაფერი...

ასე მარტივადაა კითომ საქმე?

ამ შემთხვევაში გრიგოლ რობაქიძესთან შედარება ერთადერთ მიზანს ემსახურება – გააუფასუროს პუნქტუაციური „ინიციატივა“ როგორც ერთი, ისე მეორე მწერლისა. „გველის პერანგში“ მძიმის მაგიერ ზოგან წერტილი ეწერა და ზოგან არაფერია“... არ იყო გრიგოლ რობაქიძე ის მწერალი, რომელიც ასე მარტივად გადაწყვეტდა ასეთ სერიოზულ საკითხს...

ვინც ამ თვალით შეხედავს გრ. რობაქიძის „გველის პერანგს“ თუ პუბლიცისტურ წერილებს, საკმაოდ რთული რეალობის წინაშე აღმოჩნდება: წერტილის, ორი წერტილის, სამი წერტილის, ტირესი, კითხვისა და ძახილის ნიშნების რთული მონაცემება გვაქვს... ორიოდე მაგალითი:

**წერტილი:** „წრიალი. ჩოჩქოლი.

ახმახი ახლა უცხოელს შეუტევს სასიკვდილოთ.

ზრდალი. აურზაური. წამოწევა.

ვამეხ ფეხზეა და რკალს აკეთებს“.

**სამი წერტილი:** – სწეწავს... გლეჯავს... ისვრის ნაკვთა-ნაკვთად... მაგრამ გული არ კვდება მაინც... ფართქალს აგრძელებს საცოდავი... („გველის პერანგი“).

— აკაკი. როგორ გაიშალა? ბნელი ტყე... მდუმარე-  
ბა... მარტოობა... ხე იწვის... ხე დაიძრა... („აკაკის  
ქნარი“)

**ძახილის ნიშანი:** — ქეიფი! ქეიფი!

— ღვინო! ღვინო!

— ტაბაი ხან! ღვინო სპარსეთში არ ვარგა!

**შერეული** (ტირე, ფრჩხილები, მძიმეც კი...): ცეკვა! ცეკვა!  
ცეკვა!

მოშორებით უკრავს საზანდარი — (ახლოვდება).  
ცეკვავენ „ლეკურს“, ეს სახელი შეუსაბამოა:  
ლეგს აქ რა უნდა?! ეს ცეკვა ქართულია და  
გარდა ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერავინ:  
რასსა არ ეყოფა“.

**უსასვენიშნებო მონაკვეთი:** „ჩემი მმა

არყოფილი

ვითარ მიყვარდის

უმეტეს მზისა

და უმეტეს ხმალისა“ („გველის პერანგი“)

გ. რობაქიძესთან ვარიაციები მრავლადაა.

მთავარი ისაა, რომ, როგორც ნ. ნათაძე წერს, „გველის პერანგის“ „უმძიმეებო“ ქართული არაა „ჩვეულებრივი ქართული“... მითუმეტეს შედარება ო. ჩხეიძის „ჩვეულებრივ მძიმეებიან ქართულთან“, ვერ გამართლდება...

საერთოდ კი, სასვენი ნიშნების პრობლემა კლასიკურ მწერლობაში სერიოზული პრობლემაა... მწერალი ამ სასვენ ნიშანში ხედავს გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალო პუნქტუაციის ნიშანს (პირობით ნიშანს გარკვეული გრამატიკული წესის შესაბამისს)...

ეს თემა (სასვენ ნიშანთა სისტემა ქართულ კლასიკურ მწერლობაში) დიდად საინტერესო თემაა. ამის თაობაზე სხვაგანაც გვქონდა საუბარი. ზოგ რამეს გავიმეორებთ:

არსებული პუნქტუაციური სისტემისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას: „დედანს საშინელი სისტრაფით ვწერ. შავში სასვენ ნიშნებს უნდა გადავახტე (მე მგონია: ოცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნაწერის გაგებაში უკეთ გაიწაფებიან, სასვენი ნიშნები უნდა გავაძევოთო. ეს დიდ დროს გვარომევს. ძველებს ხომ ჩვენებური სასვენი ნიშნები არ ჰქონიათ, მაინც კარგად წერდნენ)“...

ჩვენთვის მეტად საგულისხმოა პროფესიონალი ენათმეცნიერის – ანა კალანდაძის – დამოკიდებულება არსებულ პუნქტუაციურ სისტემასთან; საგანგებოდ გვითიქრია ამ საკითხზე (იხ. ჩვენი „ენა – ბედისწერა. ფიქრები ანა კალანდაძეზე“, 2019). ფაქტია: ანა კალანდაძის სათქმელს ვერ აკმაყოფილებს სტანდარტული სისტემა სასვენი ნიშნებისა და ჩნდება ახალი ვარიანტები (კომბინაციები სასვენი ნიშნებისა) – ტრადიციულისაგან განსხვავებული:

.. – ორი წერტილი (პორიზონტალურად განლაგებული);  
... – სამი წერტილი (ტრადიციულისაგან განსხვავებული ფუნქციით);

.... – ოთხი წერტილი;  
... – მძიმე და ორი წერტილი;  
.... – მძიმე და სამი წერტილი;  
!... – ძახილის ნიშანი და სამი წერტილი;  
!.... – ძახილის ნიშანი და ოთხი წერტილი...

და ამათ გვერდით ტრადიციული ნიშნები (ზოგჯერ არატრადიციული ფუნქციით...) (შევნიშნავთ: ეს „სისტემა“ ანა კალანდაძისა გატარებულია მის ხელნაწერ წიგნებში. მე ვიცნობ ასეთ სამ წიგნს...).

ახსნის ცდაც გვქონდა იმ ნაშრომში... ჩვენთვის არსებითი ამ შემთხვევაში ის არის, რომ საყოველთაოდ მიღებული სისტემა სასვენი ნიშნებისა არ აკმაყოფილებს პოეტს – სათქმელის ზუსტად გამოხატვა სხვა ვარიანტებსაც ითხოვს... ეს კი იმსა გულისხმობს, რომ სასვენ ნიშანს პოეტურ ტექსტში მეტი დატვირთვა ეძლევა, ვიდრე ჩვეულებრივ პუნქტუაციურ სიმბოლოს...

ორიგინალურია მუხრან მაჭავარიანის მიღობა სასვენი ნიშნებისადმი. პოეტმა განაცხადა: „პირადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არ ვთქვა, დიდ მნიშვნელობას“. იმასაც გაასწავლის, ლექსი როგორ უნდა წავიკითხოთ და რატომ: „მკითხველი, რომელიც მისთვის საჩოთირო ლექსში, დაიცავს პუნქტუაციას, თავის ადგილზე გააკეთებს პაუზას, ანგარიშს გაუწევს გრძელ და მოკლე სტრიქონთა განლაგებას – ერთი სიტყვით, ლექსს წაიკითხავს ისე, როგორც უნდა წაიკითხოს, და, როგორც ის ავტორს აქვს დაწერილი – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შედეგი გაცილებით უკეთესი იქნება“...

რამდენადაც უცნაურად უნდა მოეჩვენოს კაცს, მუხრან მაჭავარიანის აზრით, შემოქმედის ნიჭი პუნქტუაციაში გამოვლინდება: „არსებობს თუ არა ნიჭის საზომი რაიმე ხელსაწყო? არსებობს! – ეს არის წერტილი! დიახ! წერტილი (აი, ეს – .)“ (უფრო ვრცლად იხ. ჩვენი – „ქართული ქართველთ რწმენაა – ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე“, 2019).

როგორც ჩანს, ამ თემაზე გალაკტიონსაც უფიქრია: მარჯანიშვილის ქუჩაზე, პოეტის სახლ-მუზეუმში ლექსის „მე და დამე“, ხელნაწერია გამოფენილი. ასეთი ვარიანტია პირველი სტროფისა:

„ეხლა როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება;

სიო, სარკმლით, მონაბერი, ველთა ზღაპარს, მეუბნება.

მთვარით, ნაფენს, არემარე, ვერ, იცილებს, ვერცხლის საბანს,

სიო, არხევს, და, ატოკებს, ჩემს, სარკმლის წინ, იასა-მანს“...

ცხადია, ეს ვარიანტი წიგნებში არაა შეტანილი...

რისი თქმა მსურდა ამ მცირე ექსკურსით?

— სასვენ ნიშანთა სისტემაში შეგნებული ჩარევა მწერ-ლისა არაა ჩვეულებრივი ამბავი, „იმ განსხვავებით, რომ წერ-ტილის ადგილზე მძიმე იწერება“...

ოთარ ჩხეიძე ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, რომლის აზრითაც, არსებულ პუნქტუაციურ სისტემაში (უფრო სწო-რად, პუნქტუაციურ წესებში) სერიოზული რეფორმაა გასატა-რებელი.

ჩანაწერებიდან (1967 წლის 8 ოქტომბერს): კვირას ქა-ლაქარეთ, უინგალში, არაგვისპირას „ფიქროთგასართველად“ გასულან ოჯახებით ოთარ ჩხეიძე და ვახტანგ ჭელიძე. ოთარ ჩხეიძე მიმართავს ვახტანგ ჭელიძეს: „თქვენ რომ რედაქტორი დამინიშნეთ „ტინის ზიდისა“ შიშობს, ჩემს პუნქტუაციას არ თანხმდება, — ვეუბნები ვახტანგსა, — დამსჯიანო და შიშობს“.

და მწერალი განუმარტავს კოლეგას, რა პრობლემას ხე-დავს ამ პუნქტუაციაში; რას ნიშნავს „ჩემი პუნქტუაცია“:

,მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაცია, აუა-რებელი და ზედმეტი მძიმებია, უნდა განიტვირთოს“...

კრიტიკოსი კი წერდა ოთარ ჩხეიძეზე, არაფერი უჩვეუ-ლო აქ არაა, ერთადერთი „წერტილის მაგიერ მძიმე იწერე-ბაო“...

არადა ოთარ ჩხეიძე საუბრობს „აუარებელ და ზედმეტ მძიმეზე“...

სხვათაშორის, ეს ტენდენცია („აუარებელი და ზედმეტი მძიმები“) განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართულ პრესაში...

მოგვიანებით ენათმეცნიერებიც შემფოთდნენ. ასეთი საგაზეთო წერილიც გამოქვეყნდა „მძიმეების ნიაღვარმა წალეკა პრესის ფურცლები“ (ზ. ჭუმბურიძე, გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, 1996, № 12)... თუმცა ამ წერილში საუბარი იყო პუნქტუაციის დადგენილი წესების დაცვის აუცილებლობაზე... ავტორის აზრით, „ბოლო დროს მოძალებულ ნაკლოვანებათაგან აღსანიშნავია სრული ქაოსი სასვენი ნიშნების ხმარების მხრივ...“ (...). სასვენი ნიშნებიდან „განსაკუთრებით დიდი ჯაფა ადგას მძიმეს...“ და ავტორი საუბრობს იმის თაობაზე, რომ მძიმე გვხვდება იქ, სადაც არ უნდა იწერებოდეს და პირიქით, არ არის იქ, სადაც წესების მიხედვით უნდა იყოს... ამ შემთხვევაში საუბარი ძირითადად პრესაზეა (აქაა მართლაც ქაოსი), მაგრამ პრინციპში ზოგადია ის მოთხოვნა, რომ პუნქტუაციის წესებია გადასახედი...

ოთარ ჩხეიძეც საუბრობს ამ წესების შეცვლაზე, გადახალისებაზე – „არ მოსწონს სქოლასტიკური პუნქტუაცია“... თუმცა აქ მოტივაცია სხვა არის – ეს წესები ვეღარ ასახავს რეალობას. და ეს შესჩივლა მწერალმა გამომცემლობის დორექტორს... ეთანხმება ვახტანგ ჭელიძე ოთარ ჩხეიძეს: „მეც აგრე მგონია, – ამბობს ვახტანგი. – როგორც გინდოდეს, ოღონდ სჯობს დაიწეროს კიდევა“.

და შეთანხმდნენ: ოთარ ჩხეიძე წერილს დაწერდა „ამ სქოლასტიკურ პუნქტუაციაზე“ და ვახტანგ ჭელიძეც მოაწერდა ხელს: დაწერას „კიდევაც ვაპირებმეთქი, თუ თანახმა ზარ, შენც მოაწერე ხელიმეთქი. კარგიო“ (ჩ. 47)... ამ საუბრის დასასრულ არსებითი ისაა, რომ ვახტანგ ჭელიძე იზიარებს აზრს „სქოლასტიკური პუნქტუაციის“ შესახებ.

სამწუხაროდ, რამდენადაც ვიცი, ასეთი წერილი არ დაწერილა. რედაქტორ-გამომცემლებთან ოთარ ჩხეიძის პოლემიკა კი გრძელდებოდა, როგორც ჩანს, კორექტორებიც კი ითვისებდნენ ცენზორ-რეცენზორებს „ფუნქციებს“...

ფაქტი ის არის, რომ, რასაც ამ შემთხვევაში მწერალი ითხოვს, მნელია მოექცეს სტანდარტული წესების ფარგლებში... უფრო სწორად, მწერლის მოთხოვნის შესაბამისად „გა-სწორდეს“ პუნქტუაციის სტანდარტული წესები...

როგორც ჩანს, კონკრეტულ შემთხვევაში მწერალი სა-სვენ ნიშნებს მხატვრულ ფუნქციას ანიჭებს: სასვენი ნიშნების ორიგინალური გამოყენებით დამატებით ინფორმაციას გვაწვდის, გვიკარნახებს რიტმს, ინტონაციას – ლოგიკურ მახვილზე მიგვანიშნებს...

და ამ დროს სტანდარტული წესები პუნქტუაციის მხოლოდ ხელისშემსლელად გვავლინება... ამიტომაც იჩენს მწერალი სითამამეს და „კორექტივები“ შეაქვს სასვენ ნიშანთა ხმარების სტანდარტულ წესებში.

ამას მწერლის „ენობრივ თავისუფლებასაც“ ეტყვიან. ჩვეულებრივ მწერალს შეიძლება გაუჭირდეს განმარტება, ახსნა, თუ სად რატომ გამოიყენა (ან არ გამოიყენა) ესა თუ ის სასვენი ნიშანი... ანუ ვერ შეძლოს თავისი მწერლური გუმანის სიტყვიერი გამოხატვა...

**საინტერესო ფაქტი:** კონსტანტინე გამსახურდია ზოგჯერ, როცა მისთვის მიუღებელ ენობრივ ფორმაზე საუბრობდა, დასაბუთებას ყოველთვის ვერ ახერხებდა და „დაასკვნიდა“ – „ეს რა ქართულია“... „რა ქართულია“ – არგუმენტი არაა მეცნიერებისთვის, კრიტიკოსებისთვის, ოპონენტებისთვის, მაგრამ თავისი მწერლური გუმანის, რწმენის სხვაგვარად გამოხატვას ვერ ახერხებდა...

ოთარ ჩხეიძემ თქვა, „მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაციაო“ და... მიუხედავად ვახტანგ ჭელიძის შეთავაზებისა, წერილობით არ დაუსაბუთებია; პრაქტიკულად კი – განახორციელა „რეფორმა“ თავის ნაწერებში...

ამ ფაქტს ასე განმარტავენ: „იმშანად თავი ვერ მოება ამ სტატიას და ეტყობა, გაუნელდა მისი დაწერის სურვილი.

იმას მიაღწია, რომ ველარც უხეშად ერეოდა ვერვინ მის პუნქტუაციაში და აღარც დასჯის შიში ჰქონდათ ზემდგომისაგან“ (აგვ. შვ., 449).

სხვათაშორის ამ კომენტარმა ერთი ამბავიც გამახსენა. ვახტანგ ჯავახაძე – ანა კალანდაძის ორტომეულის რედაქტორი – წერს: „ანა კალანდაძის ლექსებში სამი წერტილის სიმრავლე შეინიშნება, ისევე, როგორც მარინე ცვეტაევასთან – ტირესი. ორთავეს გამიზნული ფუნქცია აკისრია... ანას ბოლოდროინდელ ლექსებში გამოყენებულია პუნქტუაციის ორიგინალური სახე: ნაცვლად სამი წერტილისა მძიმე და ორი წერტილი (...), მე გავასწორე სამ წერტილად“... როგორც ჩანს, ანას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ როცა ხელნაწერი წიგნები გამოსცა, ისევ ის (...) იხმარა... თუმცა დასაბუთება არასოდეს უცდია (არც ჩანაწერებში...)... და ბეჭდურ გამოცემებში „სტანდარტულ სისტემას“, წესებს გამოიყენებდა; ხელნაწერში (რამდენიმეა ასეთი) სისტემებრ გაატარებდა თავისებურ ვარიანტს სასვენი ნიშნებისა... იქნებ თთარ ჩხეიძემ აარიდა თავი დასაბუთებას?!”

მაგრამ თთარ ჩხეიძე „იბრძვის“ თავისი პრინციპების შენარჩუნებისათვის, დამკვიდრებისათვის... „აგვისტოს შვილებში“ ვკითხულობთ: „ამასობაში ისე მოხდება, რომ პუნქტუაცია მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მისი (ო. ჩხეიძის – გ. გ.) ენობრივი სტილის გადახალისებაში. ყველაფერი ისევე შენარჩუნდებოდა, როგორც უკვე გამოიმუშავებინა და ერთგულადაც მისდევდა ამდენი ხანია. ეგაა გრძელ პერიოდებს შეკვეცდა – მძიმების ნაცვლად ყველგან წერტილს ჩასვამდა და, არამცუ მძიმების ნაცვლად, ერთი შეხედვით გადამეტებულადაც მოკირწყლავდა ტექსტს წერტილებით – ლამის ყოველი სიტყვის შემდეგ.

„და“ კავშირის მერეც კი.

შიგადაშიგ შესაძლოა ღექვისის სტრიქონივითაც დაეტეხა ფრაზა თუ ფრაზებში – გრაფიკულად აეგო ესა თუ ის პასაჟი, სულის მოსათქმელად თუ მთავარი იდეის გასამკვეთრებლად“ (აგვ. შვ., 450).

საინტერესო კომენტარია, თუმცა საკმაოდ ზოგადი და, ცხადია, არაყოვლისმომცველი...

ეს სიტყვა ალბათ უადგილოცაა: „ყოვლისმომცველი“ ანალიზი „ოთარ ჩხეიძის სასვენ ნიშანთა“ სისტემისა თითქმის შეუძლებლადაც მეჩვენება: ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი: რა პერიოდის ნაწარმოებია, რა ხასიათის, რა უანრის... თვითონ ერთსა და იმავე ნაწარმოებში ეპიზოდთა შორისაცაა სხვაობა პუნქტუაციაში... აქ უკვე ლინგვისტის თვალი ძნელად გაჭრის...

ერთი კი ცხადია და უტყუარი: არაა სწორი, ძალიან მარტივადაა დანახული კრიტიკოსის მიერ ეს სისტემა: არაა ეს ჩვეულებრივი ქართული,... არაა ეს ის ტექსტი, წერტილის მაგიერ მძიმე რომაა ნახმარი...

ქართულ მწერლობაში, რისთვისაც თვალი მიმიდევნებია, სასვენ ნიშანთა გამოყენების ასეთი რთული სისტემა მეორე არ მეგულება... რთული, მაგრამ, თითქოსდა, დალაგებული... გრიგოლ რობაქიძის სისტემასთან შედარება მოვლენის არასწორი შეფასებაა: გ. რობაქიძემ („გველის პერანგი“ მაქს მხედველობაში) საერთოდ უარყო მძიმე (თითო-ოროლა შემთხვევა შეიძლება ბეჭდვის „შეცდომა“ იყოს) და იგი წერტილითა და ორი წერტილით (:) ჩაანაცვლა...

აქ, ოთარ ჩხეიძესთან, წერტილის მაგიერ მძიმე ყოველთვის არ იწერება – წერტილის ადგილზე წერტილია. მრავალთაგან შემთხვევით ვიღებ II ტომს (1987) („ბურუსი“, „მეჩეჩი“ და ეტიუდები). პუნქტუაციის ვარიანტებს ამოვიწერ:

დავიწყოთ იმით, რომ ზოგჯერ წერტილი თავის ადგილ-ზეა, ანუ სტანდარტული წესი მუშაობს:

„— რას ნიშნავს პირუთვნელი და მიუდგომელი?

ისევ აკაკიძ იკითხა.

პროფესორ შუქაძეს ოდნავ მოეჭმუხნა სახეი“. (215)

აქ (და „ახლო-მახლო“) აბზაცის ბოლოს სისტემებრ წერტილია.

თუმცა აქვე დაბჭდილ „ეტიუდებში“ აბზაცის ბოლოს წერტილ-მძიმე დაისმის:

„დავიწყებას მიეცემოდა ავი, უკეთური, აღმოცენდებოდა ნერგი სიკეთისა;“ — დამთავრდა აბზაცი და ასე სისტემებრ...

იქვე:

„(...) ანთუ წარიმართა რა სათქმელია, როცა განმეორდა, იგივე განმეორდა;

გამოიხედა და ისევ ჩამოჰკიდა თავი;

მოფერიანდა და ისევ ჩამოხმა;“ — ეს წერტილ-მძიმის შესახებ... როდის ენაცვლება იგი მძიმეს, როდის — წერტილს, ეს საკვლევია, თუკი მოხერხდება ამის შეცნობა...

ჩვენ მიერ მოყვანილი მონაკვეთი ასე გრძელდება:

„აბწკრიალდა და ჩაითუთქა ისევა, —

ერთხელა,

ორხელა,

დაუთვლელადა,

დაუთვლელადა, —

აღივსებოდა და ჩამოდნებოდა,

გაიფურჩქნებოდა და ჩამოჭკნებოდა;

საცოდაობით აღივსებოდა ყოველი შემყურე, ვერ გაუძლებდა ქვა გულიცა, ვერც თანაუგრძნობდა, ვერას შეეწეოდა ვერავინა, მაგრამ მაინცა გპითხე ექიმსა, რა სჭირსმეთქი, თუ ეშველება, რა ეშველებამეთქი;“ (632)

წერტილ-მძიმით დასრულდა თითქოს ეს პასაჟი... და რა ხდება: რატომ ბოლო „აბზაცი“ ამ სახით და სხვა – სხვაგვარად? რა არის სხვაობა ზედა (ერთსტრიქონიან „აბზაცისა“) და ბოლო „აბზაცის“ შორის? და საერთოდ, „აბზაცი“ ტრადიციული გაგებით ოთარ ჩხეიძესთან აზრს კარგავს... ოთარ ჩხეიძეს თავისი გააზრება აქვს ამ ცნებისა... სხვაგვარად რომ ვთქვათ, „აბზაცის“ თემა ასევე საინტერესოა ოთარ ჩხეიძესთან. გზა-დაგზა ცვლილებას განიცდის, მუშავდება, იხვეწება... „ბურუსის“ სამ გამოცემას შევადარებ ერთმანეთს მაგალითისათვის.

„ბურუსის“ პირველნაბეჭდში („მნათობი“, 1955, №7) პირველი თავის პირველი ექვსი აბზაცი მესამე გამოცემაში (სამტომეულის მეორე ტომში, 1987 წ.) გაერთიანებულია ერთ აბზაცად (თითქმის 6 გვერდზე!), ხოლო 1979 წლის გამოცემაში (სამი რომანი) – 5 აბზაცადაა წარმოდგენილი თუმცა ეს 5 არ ემთხვევა პირველნაბეჭდის შესაბამის 6 აბზაცს რამენაირად...

სხვა მაგალითი: VI თავის დასაწყისი 1987 წლის გამოცემა – I აბზაცი თითქმის 3 გვერდია; 1979 წლის გამოცემაში – ეს მონაკვეთი 2 აბზაცადაა წარმოდგენილი; ხოლო პირველნაბეჭდში (1955 წ.) – სამ აბზაცად...

ერთი მაგალითიც „ეტიუდებიდან“:

ორგვერდიანი „აბზაცის“ ბოლო წინადადება და მისი გაგრძელება:

„(...) დასძლია თავი. დასძლია. შეპბედა ბილიკსაცა. პირველად ჰო აქ შეეფეთა.

აქ შეეფეთა, აქ შეეფეთა პირველადა.

გადაიარა ოლეზედაცა.

შეპბედა იქაცა.

მერე ჰო იქ შეეფეთა.

გადაიარა და გადმოიარა.

მერე ჰო ეზოში.

ეზო ჰო რაო, — იდგა სუნი, სუნი მაინც იდგა ეზოში“. და ამის შემდეგ ერთგვერდიანი „აბზაცი“...

ერთი მონაკვეთი „არტისტული გადატრიალებიდან“,

,,(...) ცოლშვილს იფიცებდა. მამაპაპის საფლავებს იფიცებდა: ბრიოლინი არც ვიცი, არც გამიგონიაო. ვინ დაუკერებდა?!“

ვინა, —

როცა

არავისი

არაფერი

არა სჯეროდა, —

იყო ასეთი დროცაო, იტყვიან. რა სათქმელია!... დროს არც ნამყო აქვს, არცა მყოფადი, დრო მხოლოდ აწმყოა. (...)“

როცა ასეთ ეპიზოდებს ვკითხულობ, ყოველთვის მიჩნდება სურვილი, ეს მონაკვეთი მომესმინა ავტორისეული წაკითხვით: ინტონაცია, პაუზა, ფრაზის მახვილი ალბათ მოგვცემდა „გასაღებს“ იმისას, რატომაა გრძელი და მოკლე აბზაცია ასეთი მონაცვლეობა; მძიმის, წერტილის, ტირესი, წერტილ-მძიმის თუ ორი წერტილის შენაცვლებანი...

დავწერე ერთგან: როცა მუხრან მაჭავარიანის შესახებ ვფიქრობდი, აახილის ნიშანს თითქოს ახსნა ვერ მოვუძენე. მუხრანი საინტერესო დეკლარატორი იყო საკუთარი ლექსებისა და თითქოს „ასეთი წესი“ დავიჭირე: სადაც ხელს აიქნევდა დეკლარატორი, იქ ძახილის ნიშანი იყო ტექსტში... გრამატიკა არაფერ შუაში იყო... მაშინ მივმართე კოლეგა ენათმეცნიერებს: „ნუ შეეცდებით, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში სასვენ ნიშნებს მიუსადაგოთ გრამატიკაში დადგენილი წესები-მეთქი“...

როგორც ასეთი „ოთარ ჩხეიძის სისტემა“ უფრო რთული მგონია... არის თუ არა მწყობრი, შეიძლება თუ არა კანონზომიერების დანახვა? — ეს საკვლევი თემაა... ერთი შე-

ხედვით ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია... არაფერი მი-  
თქვამს ტირეზე. ზემომოყვანილ მაგალითებში (დატეხილ  
სტრიქონებში) ტირესაც თავისი დატვირთვა აქვს...

ფაქტია: ოთარ ჩხეიძისათვის ეს სერიოზული თემაა,  
ვთქვით, აპირებდა კიდეც ამ საკითხის თეორიულად დამუშავე-  
ბას...

ძცირე გადახვევა: როცა ანა კალანდაძეს ვკითხე, რატო-  
მა, რომ „ფშავ-ხევსურული ციკლის“ ლექსებში ფართოდ  
შემოდის დიალექტური ნაკადი, ხოლო „გურული ციკლის“  
ლექსებში – არა-მეთქი, მიპასუხა: „ეს ლექსები (ფშავ-ხევსუ-  
რული ციკლისა – გ. გ.) ასე გახმაურდნენ ჩემში მთიდან და-  
ბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!...“ სხვაგან წერს  
ქალბატონი ანა: „სათქმელი თვითონ მოძებნის გამოხატვის  
ფორმასო“... ყოველივე ამას კი „ჩინებულად აწესრიგებს „ის“,  
რაიც შთაგონებით გვწყალობსო“...

ჩინებული ახსნაა იმისა, თუ რატომ წერს ასე და არა  
სხვაგვარად...

ასე მეწერებოდაო... დ. კლდიაშვილი ამ დროს იტყოდა,  
„ასე იწერებოდაო“...

სათქმელი თავად ეძებსო ფორმას...

ამას აწესრიგებს ის, რაიც შთაგონებით გვწყალობსო...

ამ „ფორმულების“ განზოგადებაა შესაძლებელი (თუ სა-  
ჭირო?); ეს „ფორმულები“ უდავოდ ყველა „ჭეშმარიტი მწერ-  
ლის“ (გ. შატბერაშვილი ხმარობდა ხოლმე ამ შესიტყვებას...)  
სათქმელიცაა...

სხვათაშორის, რუსუდან ნიშნიანიძეს უკითხავს ოთარ  
ჩხეიძისთვის, „როდის დებენ მწერლები კალამს და როდის  
იღებენო.

პასუხი: „მწერალს კალამს ბედისწერა აწვდის, როდის  
თუ როგორა ეს ბედისწერის საქმეა, ხოლო თუ როდისა დებს,  
ისეც ბედისწერის საქმეაო“...

დიახ, ასე ფიქრობს ყველა ჭეშმარიტი მწერალი!

\* \* \*

როცა ოთარ ჩხეიძის სტილზე ვფიქრობ, ტავტოლოგია იქნება ეს, ემფატიგური ა-ნი, სახელობითის ი-ნი, თუ ფორმა-ლური სახე ტექსტისა – აბზაცები, გრაფიკა... მგონია ყველა-ფერს განსაზღვრავს... მუსიკა...

გავიხსენოთ, რა არის მწერლისთვის სიტყვა:

„სიტყვა სიმღერაა, ღალადისია, გალობაა, მუსიკაა, მუსიკა, წარსულის მდელვარება რო მოუტანია და იმედი რო მოაქვს“ მომავლისა, რო უღერს აგერ რო დიდიხანია და რო იუღერებს მარადისა, იუღერებს, იუღერებს, ისე უღერს, რო არ გახუნდება. სიტყვა მუსიკაა, სიტყვა ხმაა და ხმა სიცოცხლეა, მუსიკა ტკბობაა და ტკბობა სიცოცხლეცაა, რაც არ უნდა გაწამებულიყოს ადამიანი, რო არ ეთმობა და რო არც დასთმობს, რომ შეეძლოს რაღა თქმა უნდა“ (სრულად იხ. აქვე გვ. 15).

აი, ამ მუსიკის წყალობით ასე „ეწერება“ მწერალს, მუსიკა ითხოვს ფორმას აზრის გამოხატვისას...

ამგვარი დასკვნა არაა ნარკვევის ავტორისაგან ახსნის სურვილით გამოძენილი გამოსავალი. არა, ეს ისაა, ზემოთ რომ ვთქვი, ანა კალანდაძე წერდა – ასეთ ფორმას ითხოვს სათქმელი ავტორისაგან; ასე ესმის მას სიტყვის, ფრაზის, ტექსტის მუსიკა... გრაფიკისა და სასვენ ნიშანთა ვარიაციებს მუსიკა უკარნახებს მწერალს!...

**კვლავ მუსიკის თემა... ამონარიდი სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან დავით კლდიაშვილზე:**

„– ლა, ლა, ლა, ლა!..

დავითი რაღაც ჰანგს იხსენებს.

– რა მშვენიერებაა! ხომ გახსოვს ეს ადგილი კარმენიდან?

თურმე კარმენიდან მღერის. სმენა კარგი მაქვს, მაგრამ დავითის ნამდერიდან ვერ მივხვდი, რა ადგილია, ყოველ შემთხვევაში „კარმენი“ აქ არ ისმის„... პოდა, დავითს „თავისი მუსიკა“ ჰქონდა, „მუსიკალური სისტემა“...

ცხადია, ანა კალმნდაძეც და დავით კლდიაშვილიც ოთარ ჩხეიძეზე ფიქრმა გამახსენა... სადაც არ ელოდები, იქაც კი – სიტყვაო... მოკლედ, იმდენს ფიქრობს მწერალი სიტყვაზე, მის ხმოვანებაზე, მის ფერზე, დაგწყდება გული, რამე რომ გამოტოვო, მაგრამ ყველაფერს, ცხადია, ვერ შეგწყდები... ეს კი მინდა აქ ჩავსვა, ისევ სიტყვაზე ფიქრი „თეთრი დათვიდან“: „მე მხოლოდ სიტყვებს მივჰყები. სიტყვებია ჩემი ფერები. მელოდიებიც ჩემი სიტყვებია, აზრიც სიტყვებია, რაღა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი ფერი უნდა, ხმოვანებაც თავისი უნდა. მთხოობელს ესა მართებს. მეტი არაფერი. ამისი შეწყობა მართებს. სხვა დანარჩენი მსმენელმა იცოდეს“...

მოდი, მეც გავყვები ჩემს ფიქრებს: ოთარ ჩხეიძეს სიტყვათაგან რომ მუსიკა ესმის, იმ მუსიკას კრებს, აერთებს ხმებს და ქმნის თავის მუსიკას, თავის სტილს... სწორედ „თავისი მუსიკა“ ითხოვს სასვენ ნიშანთა „ჩხეიძისეულ სისტემას“, თუ უცნაურ გრაფიკულ ვარიანტებს...

დავით კლდიაშვილზე როცა ვფიქრობდი, მაშინ გავიხსენე ხულიო კარტასარის ნათქვამი – „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალს“... და ეს მუსიკა სიტყვიერად რეალიზების შემთხვევაში ფორმასაც თვითონ კარნახობს მწერალს (როგორც ჩანს...)...

ასეა, ვითომ?

\* \* \*

და იცელება, მრავლდება ვარიაციები სიტყვათა და ფრაზათა განლაგების გრაფიკული სურათებისა და მისი შეხამებისა პუნქტუაციურ ვარიანტებთან (პუნქტუაციურ-გრაფიკული

რამდენიმე მაგალითი ზემოთაც მოვიყვანე – სასვენ ნიშნებზე საუბრისას)… დინამიკაც საინტერესოა ამ სტილის ჩამოყალიბებისა: გვიანდელ ნაწერებში თითქოს უფრო მრავალფეროვანი ხდება, „იხვეწება“… მგონია, რომ ამ შემთხვევაში არც ნაწარმოების დასახელებას ექნება მნიშვნელობა (ჩვენი მიზნისათვის), თუმცა ზოგჯერ ესეც შეიძლება:

ტიპიური მაგალითები ბოლოდროინდელი რომანებიდან (ვთქვათ, „თეთრი დათვიდან“):

,მეტი სიდინჯე გვმართებს!..“ აფრთხილებს.

,თქვენ ისეთი ვნებიანი ტუჩები გაქვთ...“ (ჰკარგავს სიურთხილესა. გიზო.

,გეჩვენებათ!..“

,არა!..“

,მერწმუნეთ!..“ ქალი. მოახლე გამოჩნდება. „გააცილეთ!..“ მიუძღვის. მოახლეო. გიზოსა. იმავე აივნითა, იმავე სადარბაზოთი. იქვე ტოიოტაცა. გიზოსი. შუქქეშა. მალე იძირება სიბნელეში. მტკვარი გაწოლილა უკუნეთში, არცთუ მიღელავს. დგას. გაწოლილა. ლაფი. ტლაპო. ჭონჭყო. ზინტლი. წუმპეი. ჭუჭყი. შმორი. სიმყრალე. დგას. დგას. დგას. არ იძვრის. შუაქალაქში. სიგრძივა. გაწელილა. გაწოლილა. გაშოტილა. გაუჩეხია ქალაქი. გაუბია. გაუხლეჩია“.

დასრულდა ეს ვრცელი აბზაციც (თუმცა აბზაცი კი ეთქმის?)…

გრამატიკოსის თვალიც დაიბნევა ამ შემთხვევაში! გრამატიკოსობა ამ შემთხვევაში აღარაა „გამოსადევი“…

,მიუძღვის. მოახლეო. გიზოსა. იმავე აივნითა“, – ერთი მარტივი წინადადებაა… ეს ორდინარულ ტექსტში… აქ სხვაა… ოთარ ჩხეიძის პროზა „არ გამოდგება“ სავარჯიშოდ ტრადიციული სინტაქსის სემინარებზე…

რამდენიმე ადგილზე ლექსიცაა ჩართული. ლექსის გრაფიკა და პუნქტუაცია სულ სხვაა (ფაქტობრივ, არაა სასვენი ნიშნები!)... მაგალითად:

„(...) გოგონებმა დაიპყრეს ასპარეზი პოეზიისა:  
„რა წესია  
კაბის ქვეშ ხელის შეცურება  
საძაგელო  
ხომ იცი — არ მიყვარხარ  
არ ველოდი  
შენს თითებს მუხლებზე  
არ ველოდი  
(ომლეტის ჭამისას შტაინერზე საუბრისას)  
ომლეტის ჭამას მაინც მოვრჩე  
ტუჩები მაინც მოვიწმინდო ხელსახოცით —“  
ომლეტი. შტაინერი. აღარსად ხმელი ნატეხი. ნამცეციც  
აღარა... და გრძელდება ასე... (ეს „თეორი დათვიდანა“...)...

ახლა უფრო „ლამაზი“ გრაფიკა:

„და“ კავშირით შეერთებული ორი ზმა:  
სამ სტრიქონად. „მიადევნეო

და  
მიადევნებდა.“

ორ სტრიქონად: „იმეორებდა  
და იმეორებდა.“

ერთ სტრიქონად: „შექანდება და ჩავარდება“.

ბოლო ვარიანტი განმეორებით: „ცივა და ჭკნება. ცივა  
და ცვივა. ცვივა. და. ცვივა. ცვივა“.

წერტილები ამ შემთხვევაში რიტმს, ტემპს, დინამიკას  
განასხვავებს აღბათ:

„უთხრა, და. წავიდა.“

„ადიოდა და აპყავდა.“

ვარიაციები გრაფიკისა და „სინტაქსისა“:

„დაბრუნდესო

და

დაბრუნდა

და იგრძნო უშანგიმა.“

,მისცურავს,

მისცურავს

და აღარ მისცურავს,

არც რას ელოდება

მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სხვაგან?“

,„შერეული გრაფიკა“ დავარქვათ:

,„ხმაც ერთგვარადა და ჭკუაც ერთგვარადა, ყველასა,

ყველასა, რო გადაქცეულიყო.

ეს ჰო ასეო

და

ისედაც ჰო: ქალი დაუფლებოდა თბილის ქალაქსა“.

სრულიად ორიგინალურია „ტინის ხიდის“ დასასრული:

,„დამთავრდა ამგვარადა ამბავი ესე, დამთავრდა და არც

დამთავრდა.

ამგვარად დამთავრდა.

ყელქცეული, 1950-1951

ჰო, —

ოლონდ

მანც

ამასაც

დავსძენ:“

და ამას მოსდევს რომანში „დანართი საფლავი მუსიოსი“

— ჩვეულებრივი ტექსტი.

ოთარ ჩხეიძის პროზაში ამგვარ ვარიაციებს, ცხადია, ვერ ამოვწურავთ... რამდენიმე მაგალითს „ჩანაწერებიდანაც“ მოვიყვან — „არამხატვრული ნაწარმოებიდან“: ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარ გრაფიკას მხოლოდ მხატვრული დატვირთვა არა აქვს...

,ეს ცრუდედები!.. ვაგლახ საქართველო,

ვაგლას ერო დაობლებულო, დაობლებულო  
და გაჩანაგებულო!.... ეს ცრუდედები!....  
დაობლებული სკა და ცრუდედები!....

აი რომანი...

აი რომანი!..“

„მურმანი მაინც მაიმედებს...

იმედიც რომ აღარ იყოს...

ვაი უიმედოთა!..“

„მაინც იმედოვნება სჯობს უიმედობასა,

მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ,

ანთუ რის იმედი?..

დავაღწევთ თავს ამ რუსულ უკუნეთსა?..

ღმერთო!.. ღმერთო!..“

,წამოგვეწია ხანი თუ გაგვისწრო კიდევაცა ხანმა. ყო-  
ველშემთხვევაში სისუსტემ უპვე დაგვრია ხელი, დაგვრია ხე-  
ლი ავადმყოფობამა და შიშმა, უცებ არ დავეცეთო...

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა...

თოვს. თოვს. თოვს.

ათოვდა სასაფლაოსა. გვათოვდა, მოგვდევდა თოვლი.“

ზემოთ გრამატიკა ვახსენეთ. მცირე გრამატიკული ექ-  
სექტრსიც:

სასვენ ნიშნებზე როცა ვსაუბროთ, ძირითადად მძიმეების  
სიჭარბეზე მიუთითებდა მწერალი: „აუარებელი და ზედმეტი  
მძიმეებია, უნდა განიტვირთოსო... და ერთი საინტერესო ინი-  
ციატივა: ე. წ. განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან  
მძიმეს თითქმის არ ხმარობს. ყოველ შემთხვევაში ორივე  
მხრიდან – არა, როგორც ამას სახელმძღვანელოებში გვასწავ-  
ლიან...“

ოთარ ჩხეიძის პროზაში ამ მხრივაც სხვაობა გვაქვს  
ქრონოლოგიური თვალსაზრისით. თემაზე ჩვენი მსჯელობა ძი-  
რითად გვიანდელი პერიოდის შემოქმედებას ემყარება. თუმცა

თავში ვთქვი, რომ მწერლის ნაწარმოებთა ენობრივ ანალიზს არ ვაპირებ... ერთს კი ვიტყვი მაინც იმის გასაგონად, ვინც შემდგომში დააპირებს სასვენ ნიშანთა საკითხების კვლევას ოთარ ჩხეიძის პროზაში, ამ კუთხითაც გაამახვილოს ყურა-დღება...

\* \* \*

ცხადია, როცა მწერალი ფიქრობს პუნქტუაციის თეორიულ საკითხებზე, წერს – „მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაციაო“ და წერილის დაწერასაც აპირებს ამ თემაზე, ხოლო შემდეგ ქმნის ასეთ პუნქტუაციურ-გრაფიკულ ვარიაციებს, თითოეული ვარიანტი ნაფიქრია და აქვს თავისი დანიშნულება, აზრი, სათქმელი...

რევაზ ინანიშვილი თავისი ერთ-ერთი მინიატურის განმარტებისას წერდა, „ეს ხომ ყველამ უნდა იცოდესო და ალბათ იცის კიდევაცო“...

ასე ფიქრობდა, ალბათ, ოთარ ჩხეიძეც: მისმა ამ პუნქტუაციურმა „თავისუფლებამ“ მკითხველს უნდა გაუიოლოს მწერლის სათქმელის აღქმა, უნდა დაეხმაროს მას, ჩასწვდეს, გაიაზროს ის ნიუანსები, რომლებისთვისაც იქმნება თითოეული პუნქტუაციურ-გრაფიკული ვარიანტი... რამდენადაა მიღწეული ეს მიზანი მწერლისა, ძნელი სათქმელია...

\* \* \*

საერთოდ კი, სტანდარტული პუნქტუაციური წესებისა და „ენობრივი თავისუფლების“ ფარგლებში შექმნილი ინოვაციები პუნქტუაციის სფეროში როგორ უნდა შეეგუოს ერთმანეთს... ანა კალანდაძისა, მუხრან მაჭავარიანისა, ოთარ ჩხეიძისა... კი მაგრამ...

დიახ, მე ასე მგონია, ასე ვფიქრობ...

## 2. სტილი – მთავარი სამიზნე

ვაჟა-ფშაველა თავისი ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილ-ში კითხვებს დასვამს:

- ვინ არის ნიჭიერი მწერალი?
- ვის დაერქმის ღირსეულად ეს სახელი?
- რა ნიშნები ეტყობა უტყუარ ნიჭისა? („ნიჭიერი მწერალი“)

კრიტიკოსებისაგან თავგაბეზრებულმა დაწერა ეს წერილი პოეტმა. მთავარ სათქმელს დავიმოწმებ ამ წერილიდან:

„მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსოდეთ, – მწერლის სულია; ენაში იმა-ლება მწერლის ინდივიდუალურობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ „შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის“...

ამჯერად კიდევ ერთ მომენტს მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას ამ წერილიდან: „ენა არის მწერლის ნიჭის გარე-განი გამოხატულება, ხოლო მწერლის ნიჭის შინაგანი ღირსება ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად და რა ღირებულებისაა ეს მოვლენანი“...

ანუ: ვაჟას აზრით – დიდოსტატური შერწყმა ამ შინაგანი და გარეგანი ნიჭიერებისა ქმნის სახეს მწერლისას.

ოთარ ჩხეიძეზე საუბარმა გაგვაჩსენა ვაჟა-ფშაველას ეს შეგონება...

მწერლის „ნიჭის შინაგან ღირსებაზე“ ჩვენ, ცხადია, არ ვაპირებთ საუბარს – ეს სხვისი საქმეა...

ჩვენ ოთარ ჩხეიძის „ნიჭის გარეგანი გამოხატულება“ გვაინტერესებს – ანუ „მწერლის ენა და სტილი“...

მწერლის ენა და სტილი ხშირად სინონიმურ ტერმინებად განიხილება; საუბრობენ „ენობრივ სტილზე“, „ენობრივ-სტილურ თავისებურებებზე“...

ოთარ ჩხეიძის „ნიჭის გარეგანი გამოხატულების“ შემფასებელ-დამფასებელნი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს –

რომელთაც: – „არ მოსწონთ“ და რომელთაც: „მოსწონთ“...

კრიტიკოსთაგან უმრავლესობა პირველ ჯგუფში შედის; მეორენი – უმცირესობაა...

მივყვეთ მოვლენათა სვლას...

ეპითეტების სიუხვით პირველი ჯგუფი გამოირჩევა, მეორე ჯგუფში არა გვაქვს სიმრავლე შეგავსი სახოტბო-საქებარი სიტყვებისა, მაგრამ მსჯელობაა ძალიან საინტერესო და ბოლოსთვის მოვიტოვებ... მაშ ასე, ახასიათებენ ოთარ ჩხეიძის ენასა და სტილს... ეპითეტები:

**სტილი** – ბუნდოვანი,

მძიმე,

მნელად გასაგები,

გართულებული,

ხელოვნური,

დახლართული,

სიტყვაჭარბი,

მიუღებელი,

გულუბრყვილო...

**ენა** – უფერული,

მხატვრულობას მოკლებული

დამახინჯებული;

თავისუფალი ბუნებრივი კანონზომიერებისაგან,  
ენას – აწვალებს,  
ათამაშებს,  
დასცინის

საერთო ჯამში საუბრობენ – ენობრივ ნატურალიზმზე,  
რომელიც დასაგმობია... (არ გვაქვს პრეტენზია ეპითეტების  
სრულად მოხმობისა...)

ჩვენი ნარკვევის სათქმელსაც ორად დავალაგებთ –  
„არ მოსწონთ“. – „მოსწონთ“...

\* \* \*

ოთარ ჩხეიძე სამოღვაწეო ასპარეზზე XX საუკუნის 40-იან წლებში გამოდის. იგი ერთადერთია მისი თაობის მწერალთა შორის, რომელიც სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე კრიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა უპირველესად თავისი ენობრივი პოზიციის გამო – აკრიტიკებენ მის სტილს, არ მოსწონთ მისი ენა...

ვაჟასეული ტერმინები რომ მოვიშველიოთ, მისი „ნიჭის შინაგანი ღირსების“ გამოხატვაც არანაკლებ „უშლის ნერვებს“ ვიღაცას, მაგრამ აქცენტს უფრო მწერლის „ნიჭის გარეგან გამოხატულებაზე“ ამახვილებენ... მოსწორებულად შენიშნავს სოსო სიგუა: „ოთარ ჩხეიძის ენა გამიზნულია გაბედული ქვეტექსტებისა და ტექსტების გადასარჩენადო“ და ამიტომაც ენაა მირითადი სამიზნე...

სრულიად ახალგაზრდა პროზაიკოსს, 27 წლისას, ცნობილი მწერალი კონსტანტინე ჭიჭინაძე საკმაოდ მოზომილად, მაგრამ კრიტიკულად შეაფასებს: „იგი უეჭველად ზრდისა და საკუთარი სტილის გამომუშავების პროცესში იმყოფება. როგორც ვიცით, საკუთარი სტილის შექმნა მეტად ძნელი საქმეა მწერლისთვის და ამ სიძნელით აიხსნება ის ოდნავ ზელოვნურობის იერი, რომელიც გადაჰკრავს ჯერჯერობით მის მხატ-

ვრულ მეტყველებას“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, 7 ნოემბერი)... ასე იწყებოდა ოთარ ჩხეიძის სტილის შეფასება...

„ქვეტექსტებისა და ტექსტების გადასარჩენად“ – ახსნის კრიტიკისი თავისებურ სტილს; მეორე – „იძულებით სტილზე“ ისაუბრებს მოგვიანებით...

ამ მიგნებებმა ერთი ეპიზოდი გამახსენა ნატო ჩხეიძის წიგნიდან („ის ოთხი წელი“):

„ერთხელ იყო და მამაჩემს ვკითხე:

– რომ არ გეწერა ისე, როგორც წერდი და რასაც წერდი, რა იქნებოდა-მეთქი, და:

– არც არაფერი, ასე კი სამაგიერო გადავუხადე მამა-ბიძებისათვის! – მითხარი და შენებურად თბილად შემომხედე“...

ოთარ ჩხეიძის მამა-ბიძანი 20-იანი წლების საქართველოს მნელბედობას შეეწირნენ... ბოლშევიკურ ხელისუფლებას... საგულისხმო მინიშნებაა (თუმცა გააზრება შეიძლება გაჭირდეს შურისძიების არსისა...).

თანდათან უფრო მკაცრდება ტონი... პოლიტიკური აქცენტებიც კეთდება... „დაუნდობელი“ ხდება კრიტიკა: 1951 წელს „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (4 ნოემბერი) იბეჭდება ანდრო ლომიძის წერილი – „როცა მწერალი ცხოვრებას არ იცნობს“... „კრიტიკოსი“ კომუნისტური ხელისუფლების პირველი პირის – კანდიდ ჩარკვიანის – აზრსაც მოიშველიებს: „ახალმა ენამ სავსებით განდევნა დრომოჭმული არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატორებიო“ და ასეთ ლიტერატორად ოთარ ჩხეიძეს მიიჩნევს ანდრო ლომიძე... ერთი ამონარიდიც ამ წერილიდან: „ტინის ხიდში“ ავტორი დაშორდა სოციალისტურ რეალიზმს და რომანის ფურცლებზე მიმობნეულია რეაქციული შეხედულებებიო“... „დრომოჭმული ენის“ გამოყენების

გამო ჩნდება ეს ბრალდება (დიახ, უკვე ბრალდებები წამოვიდა...).

ესეც ვთქვათ: კანდიდ ჩარკვიანის „გააქტიურება ლიტერატურულ ასპარეზზე“ პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი. 1950 წელს კანდიდ ჩარკვიანი ოსებ სტალინის მითითებით (თუ მინიშნებით, როგორც თავად იგონებს) უმაღლეს პარტიულ შეკრებაზე „დაამუშავებს ვაუა-ფშაველას“ (ფაქტობრივ აიკრძალა...). ამ დროს ჩნდება ტერმინები – „ენობრივი პარტიკულარიზმი“, „კუთხური კარჩაკეტილობის ქადაგება“, და ა. შ. სწორედ ამ ტალღის გაგრძელებაა ტერმინის – „ენობრივი ნატურალიზმი“ – გავრცელება რამდენიმე ხნის შემდეგ...

და ოთარ ჩხეიძე მოჰყვა ამ ტალღაში... იგი ხდება მთავარი სამიზნე ამგვარი კრიტიკისა... და არა მხოლოდ კრიტიკისა... მოგვიანებით ეტყვის გრიგოლ აბაშიძე – „შენი საქმე სხვა არის, შენ ამომიზნებული ჰყავხართ“ (ჩ. 48)... ხელი-სუფლება იგულისხმება – უშიშროების სამსახური იგულისხმება...

ამ საკითხთან დაკავშირებით ბარემ ერთი ჩანაწერიც გავიხსენოთ (1977 წლის 7 აგვისტო).

მთავლიტში პრობლემა შეიქმნა ოთარ ჩხეიძის პიესის („დედა“) გამო... მწერალს თავისი ახლობლისთვის, უშიშროების სამსახურის მუშაკისთვის უთხოვა, გაერკვია, რა ხდებოდა... „დადგმის უფლება მინდათ“ – უთქვაშს მწერალს... ამ საუბარში, თითქოსდა გასაფრთხილებლად სუკის თანამშრომელს უთქვაშს,

„ისე იცოდეო, შენ ჩვენთან დისიდენტადა გთვლიანო.

რატომთქო, არავისთან ახლოს არა ვარ, მარტოდმარტო ვარმეთქი...

მაგას რა მნიშვნელობა აქვსო, აი ბუნდოვნად რო წერს, იქ გვაპარებსო.

ეგ სტილია და არა შეხედულებებიმეთქი.

ვიციო, მე ვიციო, მაგრამ იქ არა სჯერათო“.

როგორც ჩანს, ეს აზრი შემუშავდა: „ბუნდოვანი სტილით“ წერს „გაბედული ქვეტექსტებისა და ტექსტების გადასარჩევად“ ... „იქ გვაპარებსო“ ...

იმასაც მივაქციოთ ყურადღება: ოთარ ჩხეიძის სტილზე საუბრისას ხშირად ხმარობენ ეპითეტს, „ბუნდოვანი“. მოგეხსენებათ, ბუნდოვანი გაუგებარს, გაურკვეველს გულისხმობს... ეს უფრო ჰგავს კრიტიკას კრიტიკისათვის, კონკრეტული საბაბი არ ჩანს დაწუნებისაა...“

რ. ნიშნიანიძესთან დიალოგი რამდენიმეგზის ვახსენეთ. ბევრ საგულისხმო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას მწერალი... ასეთი ფაქტიც: 1968 წელს ერთდროულად ორი რომანი გამოქვეყნდა „აღმართ-დაღმართი“ („ცისკარში“) და „ლანდები“ („მნათობში“).

„...იმართებოდა პლენუმი მწერალთა კავშირისა გასული ლიტერატურული პროდუქციის შესაჯამებლადა. რიგი იდგა ტრიბუნასთანა ალესილი მწერლებისა. გაპქონდათ და გამოპქონდათ. გაპქონდათ და გამოპქონდათ თუ რამ გამორჩენოდა ცენზურასა, კრიტიკოსებსაც თუ რამ გამორჩენოდათ“... ორიოდე სიტყვა უთქვამს ბ. უღენტს, ისე, სხვათაშორის და... მადლობელია მწერალი: „იმისი ტაქტისა, თავდაჭერილობისა, იმისი მეტი რო არაფერი თქვა, ცოტა მეტი“...

კარგს არ ელოდება, ცუდი რომ არ თქვა, იმისი მადლობელია...

ფრაგმენტი ამავე დიალოგიდან: „რიგში ჩამდგარ კრიტიკოსების მიმართ“ – „წაკითხვაც რო არ შეუძლიან?! არც ის შეუძლიან რო არ გამოსთქვას საკუთარი აზრი: ჩხეიძე!... ახ – ემფატიკური ა!“...

ამ კრიტიკოსების შემყურე გიორგი შატბერაშვილმა ერთხელ ასეთი სადღეგრძელო მითხრაო: „მადლობელი უნდა იყ-

ვე შენი კრიტიკოსებისაო. მტერსა და ავსაო, ოღონდაო ახლა  
რო სიკვდილმა გიწიოსო, უყოფმანოდ ჩაეწერები უკვდავი  
მწერლების სიაშიო“...

ოთარ ჩხეიძის სტილზე საუბრისას მწერალმა ნაირა გე-  
ლაშვილმა ასეთი ტერმინი იხმარა – „იძულებითი სტილი“.  
ცხადია, იგულისხმება იძულება „ქვეტექსტებისა და ტექსტე-  
ბის გადასარჩენად“... „ტრაგიკულმა მოვლენებმა, ცენზურამ,  
განსაკუთრებით ქვეცნობიერში გადასულმა, ყველანაირ შემო-  
ქმედებას რომ ასვამს დაღს“ – განსახლვრა ეს იძულებითი  
სტილიო (ნ. გელაშვილის თვალსაზრისზე ქვემოთ ვრცლად  
ვისაუბრებთ)...

ხშირად კრიტიკის მიზეზი სწორედ „ქვეტექსტები და  
ტექსტებია“, მწერლის „ნიჭის შინაგანი ღირსება“, მაგრამ  
ამის თაობაზე სიტყვასაც არ სძრავენ და მწერლის „ნიჭის გა-  
რეგან გამოხატულებას“ ხდიან კრიტიკის საგნად; მაგალითად,  
იმ წერილებში, სადაც „მეჩეჩი“ და „ბორიაყი“ მიწასთანაა გა-  
სწორებული (ქვევით ვიტყვით უფრო კონკრეტულადაც) სი-  
ტყვა არ არის თქმული შინაარსობრივ მხარეზე... საბაბი მიზე-  
ზადაა წარმოჩენილი...

\* \* \*

ვთქვით, ოთარ ჩხეიძის სტილი „არ მოსწონთ“ (ჩვეუ-  
ლებრივ) ან „მოსწონთ“ (იშვაითად)... არმოწონება უმეტესად  
დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

„არმოწონების“ შემთხვევაში ტიპიურია ასეთი მიდგომა:  
„ჩემს დამოკიდებულებაში დანანების გრძნობა ჭარბობს, რად-  
გან უაღრესად ნიჭიერი პროზაიკოსის სულიერი სიმდიდრე მე-  
ტწილად სტილის დახლართულ ქსოვილში იკარგება“ – და  
თითქოს დანანებაც, – „იმატა და იმატა ფრაზის ხელოვნურმა  
გართულებამ... თითქოს მწერალი თავის განძს იმ ხრამში ყრი-  
დეს, სადაც ვერასოდეს ვერავინ ვერ ჩავა რამეს ამოსატანად“  
(ჯანსუდ ღვინჯვილია).

აღიარებენ მწერლის ნიჭიერებას და პრინციპულად მიუღებლად მიაჩნიათ სტილი... (თუმცა ზოგჯერ შეიძლება ნიჭიერებაზე ყურადღებაც არ გაამახვილონ):

— „ოთარ ჩხეიძის მხატვრული ნაწარმოებების ენა არ მომწონს“ (რევაზ მიშველაძე);

— „პირადად ჩემთვის ეს სტილი, უფრო ზუსტად ამ სტილის მთავარი კომპონენტი (ტავტოლოგია) მიუღებელია“ (გურამ ასათიანი);

და აქვე: ასე ვთქვათ, „ირიბი კრიტიკა“ — „ჩემდა სა- მწუხაროდ, თქვენი რომანი რუსულად წავიკითხეო“...

— „ენობრივი ექსპერიმენტის ეს გზა, რომელსაც განზრახ დადგა ოთარ ჩხეიძე, ჩემი აზრით, გაუმართლებელია“ (გრიგოლ აბაშიძე);

— „ოთარ ჩხეიძის სტილი მკითხველმა ენობრივ ნატურალიზმად აღიქვა“ (თინა კოპლატაძე, ზურაბ ჭუმბურიძე);

— „უფერული და მხატვრულობას მოკლებულია ნაწარმოებების ენა... განა შეიძლება ახლა ამ ენით წერა?“ (ბესარიონ ჟლენტი);

— „არ შეიძლება ქართული ენის ასეთი თვითნებური და- მახინჯება“ (სერგი ჭილაძა);

— „ამ სტილით ოთარ ჩხეიძემ უარყო სოციალისტური რეალიზმი“ (ალექსანდრე კალანდაძე);

— „სტილი უნდა იყოს ერთი — სოციალისტური რეა- ლიზმისა, ყოველგვარი გადახვევა დაუშვებელია, როგორც კლასობრივი მოვლენა. ეს ყველამ უნდა შეიგნოს, ვისაც ნე- ბავს მწერლობაში ყოფნა“ (კონსტანტინე ლორთქიფანიძე. — ამას კიდევ გავიხსენებთ...);

— „ოთარ ჩხეიძე ხშირად თითქოს საგანგებოდ აფ- რთხობს მკითხველს“ (ჯუმბერ თითბერია);

— „მან (ო. ჩხეიძემ) ვერ მონახა ზომა სინტაქსისა და მორფოლოგიის სფეროში რომანის სტილიზაციის დროს, ეს

ამნელებს რომანის ნათელ და სწორ აღქმასაც“ (გიორგი მარგველაშვილი);

— „თვითონვე სპობს საკომუნიკაციო ფუნქციებს. მკითხველს უჭირს მის სამყაროში შეღწევა... ავტორი ამ ტრაგედიას ხელოვნურად ქმნის“ (სოსო სიგუა);

— ოთარ ჩხეიძე სულ უფრო და უფრო დაშორდა თანამედროვე ქართულის მაგისტრალურ ხახს და სტილის გაბუნდოვანება ძალიან შორს წავიდა“ (თინა კოპლატაძე, ზურაბ ჭუმბურიძე)...

ჩამონათვალის გაგრძელება შეიძლება. აქ შევწყვეტ ამ-ჯერად... ერთს ვიტყვი მხოლოდ: იყო მწერლისადმი „თანაგრძნობის“ გამოხატვაც და „თანადგომის“ სურვილის გამჟღავნებაც.

თურმე: „ცისკრის“ წლიური ნომრების განხილვა იყო მწერალთა კავშირში. პოეტი იზა ორჯონიკიძე გამოსულა სიტყვით. უთქვამს: „მეც ძალიან მიჭირს ოთარ ჩხეიძის, ძია ოთარის კითხვა, უახლოესი ნათესავები ვართ და მის მხრებზე გავიზარდე, რომ იცოდეთ, მაგრამ ძალიან ხლართავს სათქმელს... თუმცა ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა — გაბედული ქვეტექსტების შეფარვა ამ ხლართებში, მაგრამ წასაკითხავად მძიმეა“...

და აქვე საინტერესო ინიციატივა: „აი, მე განზრახული მაქვს რედაქცია გავუქეთო მის ნაწერებს, ტავტოლოგიები ამოვყარო, ემფატიკური „ა“-საგან გავათავისუფლო, და ნახავთ, მაშინ როგორ დაიქუხებს ოთარ ჩხეიძის პროზა“... მე არ ვიცი, როგორი რეაქცია ჰქონდა ოთარ ჩხეიძეს ამ „შეთავაზებაზე“, მაგრამ როსტომ ჩხეიძის კომენტარი ასეთია: „თავზარი დაგეცემა, უეცრად რომ წარმოიდგენ იზა ორჯონიკიძის მიერ ადაპტირებულ ოთარ ჩხეიძეს... სხვისი ადაპტირებული იყოს თუ გნებავთ“ (აგვ. შვ.).

სხვათა შორის, მსგავსი შემოთავაზება – „დახმარების სურვილი“ – კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც გამოუთქამს: ოთარ ჩხეიძეს „მნათობში“ „ტინის ხილი“ მიუტანია. უურნალში პროზის განყოფილებას კონსტანტინე ლორთქიფანიძე განაგებდა. ამბის საკითხავად მისული ავტორისათვის განყოფილების გამგეს მიუხარება: „სტილურად ვასწორებ აღაგ-აღაგ, ხომ იცი, ჩემი ჩასწორებული სულ სხვა რამეა, ერთ კვირაში გამოიარე და მაშინ შევთანხმდეთ ყველაფერზეო...“

– სტილურად ვასწორებ, რას ნიშნავს? – შეცბუნებულა ოთარ ჩხეიძე.

– სტილი უნდა იყოს ერთი, – სოციალისტური რეალიზმის, ყოველგვარი გადახვევა დაუშვებელია, როგორც კლასობრივი მოვლენა. ეს ყველაზე უნდა შეიგნოს, ვისაც ნებავს მწერლობაში ყოფნა“... არადა, ოთარ ჩხეიძეზე ამბობდნენ, „უარყო სოციალისტური რეალიზმიო“... მცირე დიალოგის შემდეგ ოთარ ჩხეიძეს უთქვაშ:

– არ დაველოდები ერთ კვირას, ხვალ მოვალ და წავიღებ დედანსო; თუ რაიმე ჩასწორე, ამოშალეო“ („აგვისტოს შვილები“)....

კ. ლორთქიფანიძე ალბათ „უმაღურობას“ დაუწუნებდა ო. ჩხეიძეს...

ორჯონიკიძე-ლორთქიფანიძის „დახმარებაზე“ უარი ითქვა და რჩება „ჩხეიძის სტილი“, „ჩხეიძის სტილად“...

დღიურში ჩაუწერია ერთხელ – „მთავარიც ეს არის კრიტიკა უფრო მეტად დამბეზღებლის როლში გამოდიოდეს, ისევე, სტალინის დროს რომ იყოო“...

ეს ალბათ ასეთმა შემთხვევებმა ათქმევინა, ზემოთ რომ „ცისკრის“ ეპიზოდი გავიხსენე. ის ეპიზოდი ასე გრძელდება:

ოთარ ჩხეიძე შეაწყვეტინებს კ. ლორთქიფანიძეს და ჩაუკითხება:

— სოციალისტური რეალიზმის სტილი რას გულის-ხმობს?

არ ელოდება ასეთ „გაბედულ“ შეკითხვას სოცრეალიზმის გულშემატკივარი და იბნევა თითქოს:

— რას და... თუნდაც მე როგორც ვწერ. „კოლხეთის ცისკარი“ ამ მხრივ...

— ქრესტომათულია. — „წაეხმარება“ ო. ჩხეიძე.

— დიახ, დიახ. — გაუხარდებოდა კ. ლორთქიფანიძეს...  
(აგვ. შვ.)

„კრიტიკა დამბეჭდებლის როლში“ — მძიმე შეფასებაა...

„საეტაპო მნიშვნელობის“ კრიტიკულ წერილს გავიხსენებ. 1958 წელია. მზადდება მწერალთა ყრილობა. „ლიტერატურული საქართველოს“ 12 სექტემბრის ნომერში იბეჭდება შოთა ძიძიგურის წერილი „ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ მწერლობაში“. წერილი იბეჭდება გაზეთის პირველ გვერდზე რუბრიკით: „წინასაყრილობო ტრიბუნა“. ამ გვერდზე კიდევ ორი ინფორმაცია იბეჭდება: სკპ ცკ-ის პლენურის შესახებ და სკპ რიგგარეშე XXI ყრილობის შესახებ. გასაგებია, რა დატვირთვაც ეძლევა წინასაყრილობო წერილს. ისიც საინტერესოა: წერილს „ილუსტრაციაც“ ახლავს თბილისის უნივერსიტეტის სურათი...

შეკვეთილი წერილია, ცხადია... სათაურიდანვე ჩანდა, მაგრამ... ამ წერილს კიდევ გავიხსენებთ. ახლა დასკვნით აბზაცს მოვიყვან:

,ჩვენი ბელეტრისტის (ო. ჩხეიძის – გ. გ.) მზატვრულენობრივი მეთოდი ლოგიკური აუცილებლობით ასეთ კვალიფიკაციას იმსახურებს: ესაა ენობრივი ნატურალიზმის (ხაზი ავტორისაა – გ. გ.) ტიპიური ნიმუში; ენობრივი ნატურალიზმი კი დასაგმობია მწერლობაში და იგი შორსაა ენობრივი რეალიზმის იმ საღი ტრადიციებისაგან, რომლებიც დაამკვიდრეს

ჩვენმა დიდმა სტილისტებმა – კლასიკოსებმა და საბჭოთა მწერლობის სახელოვანმა წარმომადგენლებმა“.

ზემოთაც ვთქვი, მსგავსი დასკვნები განაჩენსა ჰგავს. ამიტომ იყო, 1974 წელს „პრიტიკაში“ გამოქვეყნებულ კოლექტიურ რეცენზიაში წერდნენ ო. ჩხეიძის სტილზე – „მკითხველმა იგი ენობრივ ნატურალიზმად აღიქვაო“ . 16 წლის წინათ გამოთქმული აზრი მკითხველთა საერთო აზრად იქნა წარმოდგენილი...

სოციალისტური რეალიზმის უარყოფა...

ენობრივი ნატურალიზმის ქადაგება...

აღარაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ 60-იან წლებში გამოსაცემად წარმოდგენილ ო. ჩხეიძის რომანზე „აღმართ-დაღმართი“ რეცენზიას შ. ძიძიგურს უკვეთავს – რომანი არ უნდა გამოიცეს... ენათმეცნიერი ალბათ იმიტომ შეირჩა, რომ მას შეუძლია არგუმენტირებულად გააკრიტიკოს რომანი ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით და, რაც მთავარია, იდეოლოგიურად „სანდოა“; რეცენზიამ ო. ჩხეიძეს ამ რომანის გამოცემის სურვილი უნდა გაუქროს... გამომცემლობას რეკომენდაცია მისცა – „წიგნის გამოცემა მიზანშეუწონელია“; აი, ამ დასკვნის საფუძველზე: „მისი ნაკლოვანებანი ძირითადად ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტური ხასიათიდან გამომდინარეობს. ჩვენი აზრით, იგი ბუნდოვანია, უმიზნოდ სიტყვა ჭარბი... იქნებ ეს ცდა ნაწილობრივ მაინც გამართლებულია. ამაზე ჩვენ უარყოფითად ვუპასუხებთ... საერთოდ ნაწარმოების ენა მეტის-მეტად თავისუფალია ბუნებრივი კანონზომიერებებისაგან. ზოგჯერ ისიც კი გვეჩვენება, რომ ავტორი ამ სატირაში არა მარტო უარყოფით ტიპებს დასცინის, არამედ თავის ნებაზე ათა-მაშებს და დასცინის ენასაც“ (ხაზი ჩემია – გ. გ.).

ამ ბოლო ფრაზას არაერთგზის გავიმეორებ:

„ათამაშებს და დასცინის ენასაც“...

ეს ყველაზე მკაცრი და შეურაცხმყოფელი შეფასებაა, რაც კი თქმულა ოთარ ჩხეიძის შესახებ...  
არგუმენტები?... რა მოგახსენოთ...

კიდევ რამდენიმე საგულისხმო შენიშვნა:

1974 წელს ალმანახ „კრიტიკაში“ გამოქვეყნებული წერილი ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია. (ზევით შეკვეთილი წერილი ვახსენე. მოგვიანებით „კრიტიკის“ რედაქტორს როსტომ ჩხეიძისათვის უთქვამს, „სურვილი მქონდა ბატონი ოთარის შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩამეხედა და ამისათვის გამოვიწვით შეგნებულად, წინასწარაც ამიტომ წავაქეზე ისინი დასაწერად, არც უჩემოდაც არ აკლდათ წამქეზებელიო“...)

ქვევით უფრო დაწვრილებით მოგვიწევს საუბარი ამ წერილში გამოთქმულ კონკრეტულ შენიშვნებზე. ზოგადი ბრალდებები ასეთია:

დაუმძიმდა ავტორს სტილი;

დაიხლართა ტექსტი წიაღსვლებით;

უკანმოუხედავად მივყავართ გლახა ჭრიაშვილისაკენ... და ყოველივე ამის გამო „დამოუკიდებლად ნაწარმოების აღქმის პირველი საფეხურიც ვერ დავძლიერ“, – წერენ რეცეზენტები... და იქვე მადლობას უხდიან მურმან ლებანიძეს, „რომელმაც „ლიტერატურული საქართველოს“ საშუალებით გაგვაგებინა ნაწარმოების შინაარსი“...

საუბარია „ბორიაყზე“... ბოლო პასაუი იმის არგუმენტია, რომ ბუნდოვანია და გაუგებარი სტილი მწერლისა... თუმცა კი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ მურმან ლებანიძეს ვინ გააგებინა(!)...

ცხადია, ხელოვნურია ასეთი „არგუმენტი“...

ერთი საინტერესო ჩანაწერიც (1965 წლის 16 დეკემბრისა) მწერალთა კავშირში ოთარ ჩხეიძის ახალი რომანის – „პვერნანქის“ განხილვაა. ავტორი საკმაოდ ვრცლად აღწერს

იმდღევანდელ სხდომას. ნიშანდობლივი სხდომაა... რამდენიმე პასაჟს დავიმოწმებ:

როგორც იქნა, დაიწყო სხდომა. თავმჯდომარე საუბრობს. „ძალიან ზოგადად სიტყვას ამბობს სერგო კლდიაშვილი, ამბობს ნელ-ნელა, ენის ძოკილებით, დუნეთა, სიძერის ბრალიცაა, იმისიცა „კვერნანქი“ არ წაუკითხავს, ეტყობა არ წაუკითხავს, რა ვუყოთ მერე, თავმჯდომარე მაინც იოლად გავა, სხვებს რა ეშველებათ, საკითხავი ეს არის“...

ირონიით ჰყვება „უცნაური“ განხილვის ამბავს ახალგაზრდა მწერალი...

სიტყვას მომხსენებელი ამბობს... ისევ ავტორის ღიმილი და ირონია: „მომხსენებლი დუნედ იწყებს, ამას რაღა დაემართა, ეს მაინც ახალგაზრდაა, ახალგაზრდა მწერლების ერთი ჯგუფის დიდ ქომაგად მოაქვს თავი და როცა იმათზეა ლაპარაკი თავგამოლებულიც არის“ (მწერალი მომხსენებლის გვარს არ ასახელებს...) და – „მომხსენებელი (დაწერილის) წაკითხვას არჩევს, გულწრფელობას ახსენებს, გულწრფელ მწერლად მაცხადებს, მერე მძიმეაო, ბუნდოვანიაო, გულუბრყვილოა და სხვა“...

მწერლისთვის ეს ეპითეტები – „მძიმე, ბუნდოვანი, გულუბრყვილო“ – ვერ გეტყვით მოულოდნელი იყო თუ არა, მაგრამ უსიამოვნო რომ არის, ფაქტია... თუმცა მოთმინებით უსმერს. გრძელდება თხრობა: „ვნახოთ როგორ დაასაბუთებს“... მწერლის პოზიცია გასაგებია: სერიოზულ ბრალს სდებენ (მძიმეა, ბუნდოვანია, გულუბრყვილოა...) და აინტერესებს, რატომ... „ვნახოთ როგორ დაასაბუთებს, მაგრამ ძალა აღარა ჰყოფნის თუ მეტი არ დაუწერია, დაწერილი უთავდება, უეცრად უთავდება, თქვენ წარმოიდგინეთ, შუა წინადადებაზე უთავდება და იმდენსაც გერ ახერხებს, ის წინადადება მაინც მოათავს“...

მართლაც მძიმე და ბუნდოვანი სიტუაციაა, მაგრამ არა გულუბრყვილო...

მერე ცნობილი მწერალი... ხმადაბლა იწყებს: „არ წამი-კითხავსო, დავიწყეო, პირველ თავებს გადავხედეო, მაინც შე-იძლებაო ვიკამათოთო სტილზეო, კომპოზიციაზეო, მომხსენე-ბელს ვეთანხმებიო, მძიმეაო, ბუნდოვანიაო“...

შემდეგ სხვა აიღებს სიტყვას: „კვერნანქი“ მეც არ წამი-კითხავსო, მაგრამ აქ საკითხები წამოიჭრა და იმაზე ვიღაპა-რაკებო“...

მერე სხვა გამოშვლელი: „მეც არ წამიკითხავს... მაგრამ ახლა მაინც ვიღაპარაკებო და იღაპარაკა“...

და ასე გაგრძელდა არწაკითხული რომანის შეფასება – რაც მთავარია, კრიტიკა: „ბუნდოვანია... მძიმეა...“

ენა დაუწუნეს! რატომ? მწერალი ვერ იგებს – რატომ... არც „კრიტიკოსებს“ ეცოდინებათ, რადგანაც წიგნი არ წაუკი-თხავთ...

დიახ, დარბაზში საერთო აზრი „ჩამოყალიბდა“ ბუნდოვა-ნი და მძიმე ენის შესახებ...

კინოფილმი „ცისფერი მთები“ გახსოვთ? აქ განსხვავება ისაა, რომ ფაქტობრივ უარყოფითად შეაფასეს რომანი... წაუ-კითხავი რომანი... არადა, ეს ის რომანია, მიხეილ ქვლივიძეს რომ უთქვამს: „კვერნანქი“ წავიკითხეო, ძალიან მომეწონაო, ძალიანო, ძალიანო, – მსოფლიო მასშტაბის რომანიაო... მოს-კოვურ გამომცემლობას ვურჩიე მისი გამოცემაო... ჩეხებსაც გავუგზავნეო, იმათ ადრევე მითხრეს, თუ რამეს კარგს გადაე-ყარო, მოგვაწოდეო“... მაგრამ ეს მერე უთქვამს მიხეილ ქვლი-ვიძეს...

განხილვისას კი...

არ იყო ეს პირველი შემთხვევა ოთარ ჩხეიძის შემოქმე-დებისადმი ამგვარი დამოკიდებულებისა. ისევ ჩანაწერებიდან:

„ექვსი-შვიდი წლის წინათ „მეჩეჩი“ განიხილეს ამავე დარბაზში, მძიმე რამ იყო ჩემთვის ის განხილვა“...

ამიტომ შეაფასა როსტომ ჩხეიძემ ოთარ ჩხეიძის ცხოვ-  
რება ასე: „სტილის გვემის მრავალწლიანი გზაო“...

როცა ამგვარ საკითხებზე საუბრობს ოთარ ჩხეიძე, აშკა-  
რად იგრძნობა, რომ მწარედ განიცდის „ენის დაწუნებას“... ეს  
ტრადიციული დამოკიდებულებაა: გავისტენოთ, იაკობს რომ  
დაუწუნა ენა აკაკიმ, როგორი მასშტაბური პოლემიკა მოჰყვა  
ამას XIX საუკუნის ბოლოს...

ამ თემაზე განვაგრძობთ საუბარს...

## 2. რეაქცია კრიტიკაზე

როგორც ითქვა, კრიტიკაც იყო და კრიტიკაც, ხშირად  
ეს ბრალდება უფრო იყო...

ოთარ ჩხეიძე არც პირველი იყო და არც უკანასკნელი  
ალბათ, მისი შემოქმედებისადმი ასეთ ინტერესს რომ იჩენ-  
დნენ... როგორ რეაგირებს მწერალი ამგვარ კრიტიკაზე?

საინტერესო მაგალითები გვაქვს ქართულ ლიტერატურა-  
ში კრიტიკისადმი მწერლის დამოკიდებულებისა. არ იყო ერ-  
თგვაროვანი ეს რეაქციები.

დავარქვათ მას პირობით, ერთი მხრივ, „ვაჟა-ფშაველას  
გაქვეთილი“ და, მეორე მხრივ, „დავით კლდიაშვილის გაქვე-  
თილი“.

\* \* \*

გვახსოვს – ვაჟა-ფშაველას შემოსვლა სამწერლო ასპა-  
რეზზე უაღრესად შთამბეჭდავი იყო: ერთი მხრივ, აღტაცებას  
იწვევს (ვაჟასავე სიტყვებით რომ ვთქვათ) „მწერლის ნიჭის  
შინაგანი ღირსებანი“ და, მეორე მხრივ, კრიტიკის საგანი  
ხდება „მწერლის ნიჭის გარეგანი გამოხატულება“...

1888 წელს პეტრე მირიანაშვილმა გაზეთ „ივერიაში“  
გამოაქვეყნა წერილი „საერო ენა და სათემო კილო“. ეს იყო

პირველი საჯარო გალაშქრება ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ; მისი ენის წინააღმდეგ. კრიტიკოსი წერდა:

,„ენა მეტად აჭრელდა... ფშაური პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი; ჰლამის დაპბადოს მწვალებლობა მეტად საზარი“... საერთოდ, უფრო მწვავეც ყოფილა ეს რეაქციები ვაჟას ენის მიმართ (ვრცლად იხ.: ჩვენი „ერი დედაა ენისა – ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე“, 2020). გერონტი ქიქოძე წერს: „ყოველი მისი (ვაჟა-ფშაველას – გ. გ.) ახალი თხზულება აღტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილი და მოწინავე ლიტერატორების წრეში, მაგრამ იმავე დროს გაზეთ „ივერიაში“, სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოდის ერთპიროვნული ან კოლექტური მუქარის წერილები: შეწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების ბეჭდვა, თორემ გაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო“... და ბოლოს აკაკი წერეთლის ლექსი – „ენას გიწუნებ, ფშაველო!“...

საყოველთაოდაა ცნობილი, თუ როგორი მძაფრი რეაქციები ჰქონდა ვაჟა-ფშაველას: წერილებს წერილებით, ლექსი – ლექსით უპასუხა... სხვაა, არგუმენტები რამდენად დამაჯერებელია, მაგრამ კრიტიკისადმი დამოკიდებულებაა ჩვენთვის ამჯერად არსებითი – თუ მიაჩნია ლირსად პასუხობს, არ ტოვებს უპასუხოდ!...

ესაა „ვაჟა-ფშაველას გაკვეთილი“...

სხვაა დავით კლდიაშვილის შემთხვევა: პეტრე უმიკაშვილს „ქამუშაძის გაჭირვება“ წაუკითხავს, მოსწონებია; შეუქია ავტორი, თუმცა საყვედურიც გაურევია – ენა დაუწუნებია მწერლისათვის. დავითი ჩვეული თავმდაბლობით მადლობას უხდის უფროს მეგობარს, „ქამუშაძის გაჭირვება“ რომ მოგწონებიაო და, რამდენადაც უცნაურია, იმაშიც ეთანხმება ოპონენტს, ენა რომ დაუწუნა მწერალს: „ემდურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო ამ ენითაო“... მადლობა

გვერდზე გადაგდოთ და ყურადღება იმას მივაქციოთ, რომ არ ცდილობს თავისი ენის დაცვას, გამართლებას თავისი პოზიციისა და ისევ ისე განაგრძობს წერას... აი, ესაა „დავით კლდი-აშვილის გაკვეთილი“...

რატომ გავიხსნეთ ეს „ორი გაკვეთილი“? – ოთარ ჩხეიძის ენას აკრიტიკებენ დღიდან სალიტერატურო ასპარეზზე მწერლის გამოსვლისა... ოთარ ჩხეიძე, მართალია, მადლობას არ უხდის კრიტიკოსს ამის გამო, მაგრამ საპასუხო წერილები მაინც არ იწერება... „დავით კლდიაშვილის გაკვეთილს“ ირჩევს...

როცა ალმანახ „კრიტიკაში“ „ბორიაყი“ „მიწასთან გაასწორეს“ უმძიმესი „ბრალდებებით“ (იხ. აქვე გვ. 107), მწერალს ეს პირადი წერილი მიუწერია „კრიტიკის“ რედაქტორისათვის (ამ წერილის ფრაგმენტებს „აგვისტოს შვილებში“ გავეცანი): „თქვენი კრიტიკოსები – თინა კოპლატაძე და ზურაბ ჭუმბურიძე – დიდი ხნის ნაფიქრს გამოსთქვამენ ნაჩქარევადა, ჰაიპარადა და, ცოტა უკაცრავად თუ არ ვიქნები, ზერელედა, სხვანაირად არც იქნებოდა, – ეს მათი სტილი გახლავთ. ღმერთმა მიუტევოთ!...“

...სხვაფრივ კეთილად ბრძანდებოდეთ, ბატონო რედაქტორო, როგორცა ჩანს, ამ გაუთავებელი დითირამბების შემდეგ, ისევ ჩემ ზურგზე აპირებთ კრიტიკის გაცოცხლებასა. ჩვენში იტყვიან, – ისემც მოგემართოთ ხელი, როგორც მე მემართლებოდეთ. მაინც კეთილად ბრძანდებოდეთ ბატონო რედაქტორო!...“

როგორც ვხედავთ, მწერლისთვის პრინციპულად მიუღებელია კრიტიკოსებისა თუ რედაქციის პოზიცია (მოგვიანებით რედაქტორს როსტომ ჩხეიძესთან პირად საუბარში უღიარებია, რომ რედაქციის შეკვეთით დაიწერა ეს წერილიო... – იხ. აქვე გვ. 107).

1948 წელს გამოქვეყნდა ოთარ ჩხეიძის პირველი წიგნი „ხელეური“. იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთში ანდრო თევზაბის

„კრიტიკული შენიშვნები“ (სათაურშივე კრიტიკაზე იყო აქ-ცენტი გაკეთებული)… რ. ჩხეიძე შენიშნავს: „ოთარ ჩხეიძე არც შეეცდებოდა ამის ახსნას უკვე ცნობილი პოეტისათვის...“ (აგვ. შვ.).

სათქმელი რომ ბევრი აქვს და არ ამბობს, არა მარტო იმ პირად ბარათში, სხვაგანაც დაიჩივლებს... რომან „ცხრაწყაროს“ ფინალურ მონაკვეთში პოლემიკურ პასაუდე ჩაურთავს: „ვერ გავიგეთო, ამხირებიან კრიტიკოსები და ავხირებულვარ მეც ჩემი მხრითა, ჩაიკითხეთ და გაიგებომეთქი; უკეთ რო ითქვას, ისინია რო ახირებულან, თორემ მე ჰო მართალი გახლავარ, მართალი ცამდისა: თუ ტრაბახობენ, რო გაიგეს ვაუაი, ჯოისი გაიგეს, ელიოტი გაიგეს, გალაკტიონი გაიგეს, კაფკა გაიგეს, — მერე როგორ ტრაბახობენ! — სხვა ვინ დარჩებათ გაუგებარი, თვალს თუ გაახელენ, კარგად თუ გაახელენ თვალსა?...“ (აგვ. შვ.).

მწერალს აკრიტიკებენ სტილის გამო, ასწავლიან, რა არის სტორი და მართებული... რა არის სტილი...

როგორც ჩანს, შემთხვევით არაფერი ხდება... ოთარ ჩხეიძეს შეუძლია ლექცია ჩაგვიტაროს სტილის თემაზე... გვასწავლოს, რა არის სტილი... მოდით, განვაგრძოთ მსჯელობა...

\* \* \*

სტილზე ფიქრი, საუბარი, პასუხისგება თუ მსჯელობა თან სდევს ოთარ ჩხეიძის ყოველდღიურობას...

გვახსოვს, როცა ოთარ ჩხეიძეს უშიშროების სამსახურის თანამშრომელმა გაანდო, რომ „მათთან“ მწერალს „დისიდენტად თვლიან“, განუმარტა — „აი, ბუნდოვნად რო წერს, იქ გვაპარებსო“; დიალოგი ასე აეწყო,

— ეგ სტილია და არა შეხედულებებიმეთქი“ (მწერალი მიანიშნებს, რომ დისიდენტობა შეხედულებებთან უნდა იყოს დაკავშირებული...).

— ვიციო, მე ვიციო, მაგრამ იქ არა სჯერათო.

— რა ვუყოთ მეთქი, სტილი სტილია, ადამიანი სტილია და გერაფერს „შევცვლიმეთქი“ (ჩ. 160)...

**სტილი სტილია! ადამიანი სტილია!** — დაესესხება ოთარ ჩხეიძე ბიუფონს...

ის, რასაც ვაჟა-ფშაველა ამბობს ნიჭიერ მწერალზე — სტილია... მე, ცხადია, არ ვაპირებ ამ ურთულესი ფილოლო-გიური პრობლემის (როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი, ისე ენათმეცნიერული თვალსაზრისით) გადაწყვეტას... მნელია ერთგვარ შეხედულებამდე დაყვანა არსებული თვალსაზრისები-სა... მე მაინც უფრო მწერლის თვალით დანახული ეს პრობ-ლემა მაინტერესებს... („ნიჭიერ მწერალში“ რომ ჩამოაყალიბა).

ვაჟა-ფშაველას ზემომოყვანილ თვალსაზრისს პრინციპუ-ლად ეწინააღმდეგება სტენდალის განმარტება — „საუკეთესო სტილი ის არის, რომელსაც ვერ ამჩნევთო“... გარკვეულწი-ლად სტენდალს ეთანხმება მიხეილ ჯავახიშვილი და გრიგოლ რობაქიძეს აკრიტიკებს: „რობაქიძის სტილი კი მკითხველს თევზის ძვალივით აქვს სულში გახირული“...

სხვათაშორის სტილის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა გამსახურდია-ჯავახიშვილის პოლემიკაშიც იჩენს თავს — პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯახება; მ. ჯა-ვახიშვილი წერდა:

„კონსტანტინე გამსახურდია მირჩევს, სიტყვა მოკლედ მოჰკვეცე, ძუნწად გამოიყენო. ვერ დავუჯერებ. მე გაშლილი, სავსე, ფერადოვანი სიტყვა მიყვარს და ხელს ვერ ავიღებ“...

აქაც იგივე აზრია: სტილი მწერლის ის მახასიათებელია, რომელიც ამგვარი რჩევებით ვერ შეიცვლება...

ერთსაც დავიმოწმებ მ. ჯავახიშვილიდან:

„ოდნავ თვალსაზრის მწერალი არ არსებობს, რომ სტი-ლი არა ჰქონდეს“

ეს მთავარი პრინციპი ჩანს კლასიკურ მწერლობაში...

სტილი იმდენად ზოგადია და იმდენად მრავალფეროვანია მისი გაგება, ზოგჯერ ჭირს კიდეც გააზრება იმისა, თუ რას გულისხმობს კრიტიკოსი, როცა მწერლის სტილს აკრიტიკებს:

„სტილის ძიებაში ოთარ ჩხეიძე სულ უფრო და უფრო დაშორდა თანამედროვე ქართულის მაგისტრალურ ხაზს“...

ამ შემთხვევაში როგორაა გაგებული სტილი, რა იგულისხმება — მიჭირს თქმა... უფრო სწორად, წარმოდგენა იმისა, რა არის სტილური თავისებურება, მახასიათებლები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, რომელსაც ასცდა მწერალი? — ვერ გეტყვით...

მანც ითქვა... და ითქვა უარყოფითი აზრის მთავარ არგუმენტად!....

\* \* \*

ოთარ ჩხეიძე, როგორც ვთქვით, თავის კრიტიკოსებს არ ეპაექრება, კონკრეტული კრიტიკული შეხედულებების გამო. მაგრამ როცა ეძლევა შესაძლებლობა, მსჯელობს სტილზე, „გვიხსნის“ რა არის სტილი და ეს ხდება იმათ გასაგონადაც, ვინც მწერალს „ასწავლის“, რა არის სტილი, ამუნათებს და უკიუინებს ქართული ენის მაგისტრალური ხაზიდან აცდენას — სტილის გაბუნდოვნებით!...

### 3. ოთარ ჩხეიძე — „სტილი ბედისწერაა“...

რა არის სტილი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხზე საუბრისას, რასაც ჩვენ შევძლით.

სტილზე ყველა საუბრობს, მაგრამ მისი არსის გარკვევაზე ნაკლებად ფიქრობენ.

ტიპიური მაგალითია: როცა კ. ლორთქიფანიძემ ითარ ჩხეიძეს სტილური ჩასწორება შესთავაზა სოციალისტური რეალიზმის სტილის შესაბამისად, ჩაეკითხა მწერალი — რას

ნიშნავს სოცრეალიზმის სტილით (იხ. აქვე გვ. 105)... ცოტა დაიბნა, მაგრამ იპოვა გამოსავალი: აი, მე რომ ვწერ, ისაა სოცრეალიზმის სტილით...

ცხადია, ეს არ არის განმარტება, ეს არასერიოზულობაა...

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იყო ვაჟა-ფშაველას მსჯელობა; ვაჟა მწერლის ენაზე საუბრობს, (სტილს – ტერმინს – არ ხმარობს). ჩვენი აზრით, მწერალთაგან ყველაზე უკეთ ვაჟამ აუხსნა მკითხველს, რას ნიშნავს მწერლის სტილი, ანუ მწერლის ენა, ანუ: ვინ არის ნიჭიერი მწერალი (იხ.: აქვე, გვ. 95). ნათელია პასუხი კითხვაზე – რა ქმნის მწერლის სახეს? – მისი შინაგანი ღირსება და გარეგანი ნიჭიერება... ანუ მერე რომ იტყვიან, შინაარსი და ფორმა...

დაზუსტებულიც არ არის და არც გამიჯნული ტერმინოლოგიური თვალსაზრისით: მწერლის ენა, მწერლის სტილი, მწერლის ენობრივი სტილი...

რას ფიქრობს ამ თემაზე ოთარ ჩხეიძე?...

მითუმეტეს, მასთან სადაცო კრიტიკოს-რეცენზენტებს უმთავრესად სტალის გამო აქვთ...

მოვუსმინოთ:

რა არის სტილი? – გავიხსენოთ ო. ჩხეიძის დიალოგი ლ. გოთუასთან: „იქნებ ეს სტილია“... ანდა – სუკის თანამშრომელთან: „ეს სტილია“... და სხვა... როგორც ჩანს, ოთარ ჩხეიძემ იცის... და ეს ჩანს არა მხოლოდ ამგვარი კომენტარებიდან, და არა მხოლოდ მისი მხატვრული შემოქმედებიდან, პუბლიცისტიკიდანაც.

მე ამჯერად კრიტიკოს ივანე ამირხანაშვილთან დიალოგი მაქვს მხედველობაში („მწერლობაა პირველი გამომთქმელი“ – „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 1 თებერვალი).

სამი საქმე გააკეთა ივანე ამირხანაშვილმა ამ ინიციატივით:

- უფრო ღრმად ჩაგვაზედა ოთარ ჩხეიძის მწერლურ სამყაროში;
- დიდი ცოდნა შეგვძინა სტილის შესახებ და
- ლიტერატურის თეორია გაამდიდრა ამ თემაზე საინტერესო მსჯელობით...

ამჯერად მე შევეცდები მხოლოდ სტილის ზოგად საკითხებზე გავაკეთო აქცენტი (მწერლის ინდივიდუალური სტილის ისეთ კონკრეტულ მახასიათებელზე, როგორიცაა „ემფატიკური ა“, სხვაგან ვისაუბრეთ (იხ. აქვე, გვ: 57 და შემდ.... ამონარიდთა შერჩევა და დალაგება-გადალაგება ჩემეულია და მეპატიონ... ისე, დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევდი ეს დიალოგი მოეძებნა და წაეკითხა...))...

\* \* \*

რა არის სტილი, შეიძლება ვისწავლოთ, თუ სტილი იმ-თავითვე გვეძლევა, როგორც ნიჭი, შესაძლებლობა?

– „სტილი თვისებაა ადამიანური, სტილი რო ადამიანური მთლიანობაა და სამწერლო სტილიც, თუ ადამიანი მწერლობას მოეკიდება, უფრო აქვდან მომდინარეობს“

ანუ: „სამწერლო სტილი“ „ადამიანური სტილის“ ნაწილია. თუ ადამიანს თვითმყოფადი სახე – სტილი არა აქვს, იგი ვერც ინდივიდუალურ მწერლურ სტილს ჩამოაყალიბებსო (ამგვარ კომენტარებში უფრო იმის თქმა მინდა, თუ მე როგორ გავიგე ნათქვამი...).

– „ეს სტილია“... იტყოდა ხოლმე პავლე ინგოროვა. თუ ვინმე მოეწონებოდა“, – იხსენებს ო. ჩხეიძე და დასძენს: – „სტილი მართლაც სანთლით საძებარი გახდებოდა ჩვენში; სტილი როგორც ადამიანური მთლიანობა, სტილი როგორც მხატვრული თავისებურება. საძებარი იქნებოდა. გადარჩა. თუ

ვინმეზე ითქმოდა, თვით პავლე ინგოროვაზე ითქმოდა... ეს სტილია!...

და აქ ოთარ ჩხეიძე სიცხადისათვის კიდევ რამდენიმე პიროვნებას ასახელებს „ადამიანური“ და „მწერლური სტილის“ მაგალითად: „პავლე ინგოროვაზე და კიდევ რამდენზე, თუნდაც იმ უბედურ 20-იან და 30-იან წლებში: ვასილ ბარნოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ბასილ მელიქიშვილი... ეს სტილია!... სტილია!... სტილია!... სტილია!...“

და ისევ განმარტავს: „ეს ყველანი თავისებური პიროვნებანი გახლდნენ, თავთავისებურნი და მთლიანი თავისებურადა. თავისებური სტილიც დაამკიდრეს ჩვენ ლიტერატურაში, რაღა თქმა უნდა, თავთავისებური და შესაბამისი თავიანთი ბუნებისა“...

\* \* \*

— „სტილი უფრო ფართო ცნებაა. სტილი ადვილად არ ისწავლება, ანთუ შესაძლოა რო სულაც არ ისწავლება... სტილი მაინც უნდა ისწავლებოდეს, არა იმიტომ, რომ მიჰმაძო, უფრო იმიტომ რო დახვეწო საკუთარი სტილი“...

და იმიტომ რომ, იცოდე, რა არის სტილი...

მაინც, რა არის სტილი?

— „სტილი აქაა საძიებელი, სიტყვათა განლაგების სიღრმეშია საძიებელი. ამიტომ ის უფრო იღუმალია, ვიდრე გვეჩვენება ერთი შეხედვით“...

— „სტილი უფრო ვრცელი კამათის თემაა, სამწუხაროა, ცოტას რო ლაპარაკობენ ამაზე. ეს კარგი არ უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურული აზროვნებისათვის“.

— „ეს თემა, ეს მოტივი ეროვნული განუშორებელია ქართული მწერლობისათვისა. მოტივი ერთია, სტილის თავისებურება ბევრი. მოტივი ნაწილია მხატვრული მთლიანობისა.

**სტილი მთლიანობაა. სტილი მთლიანობაა და ნაწარმოები რო მოგეწონებათ, შეიძლება თქვათ, – ეს სტილია!...“**

საერთოდ პრობლემაა: მწერლის ენისა და სალიტერატურო ენის ნორმათა მიმართება, ენობრივი სტილი და მხატვრული სტილი... ო. ჩხეიძე: „მხატვრული სტილისათვის გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მწერლური სტილი მაინც უფრო ფარული მოვლენაა, ის სიტყვათა განლაგების უკანა იდგას, ლექსიკურ თავისებურებათა უკანა დგას და ჰქმის იმგვარ სახეებს, ნაწარმოების არსის, ძირითადი აზრის გამოკვეთისათვის რო აუცილებელია“.

და აქ ძალიან საინტერესო შეგონება ჩვენთვის, გრამატიკისთათვის, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ენის სიწმინდისათვის მზრუნველთათვის – გრამატიკული ნორმების ზედმიწევნით დაცვის მქადაგებელთათვის:

„სრულყოფილება ყველაფერსა სჯობს, მაგრამ თუ გრამატიკას ცოტა დაუდევრად მოეკიდები, – გრამატიკაო, ასე წერს ბალზაკი, – სტედნალი მაინც უნდა იყვე, ყაზბეგი მაინც უნდა იყვე“...

ბალზაკისა და სტენდალის მოშველიება „ენობრივ-სტილისტურ დაუდევრობაზე“ საუბრისას დასჭირდა:

– ბალზაკმა თქვა სტენდალზეო – განცდის სიღრმე და აზრის სიღიადე ყველაფერს გვავიწყებს. სტილის ამოსავალიც სწორედ ეს გახლავთ, განცდა და აზრი, გამოთქმის ფორმაც სტილისეულია რაღა თქმა უნდა, რო არ გაირჩევა, თუ რომელია აქ უმთავრესი, მაგრამ შესაძლოა, გამოთქმის ნაკლი, მცირედი ნაკლი რაღა თქმა უნდა, განცდამ გადაპფაროს, აზრმა გადაპფაროს, ხოლო გრამატიკული დახვეწილობა ვერაფერს უშველის განცდის უმწეობასა, სიღატაკესა აზრისასა, ვერაფერს უშველის, ვერ იხსნის ცხადია!“...

კომენტარს ვერ შევბედავ... უბრალოდ, შევისვენებ, რომ  
კარგად გავიაზრო...

\* \* \*

ივანე ამირხანაშვილმა პკითხა ოთარ ჩხეიძეს: – „შეიძ-  
ლება რომ დროის დინებამ, ცხოვრების ცვალებადობამ, იდეო-  
ლოგიის მეტამორფოზებმა მწერალს სტილი შეაცვლევინოს?“

ოთარ ჩხეიძე: „სტილი სიცოცხლეა: ისახება, იზრდება,  
მწიფდება, სიბერეს იწყებს და მერე თავისი ბუნებრივი შედეგი  
მოსდევს თუ შემოქმედის ცხოვრება ხანგრძლივია და შემოქმე-  
დების უნარიც თუ შერჩება ბოლომდისა. არამედ ცვალებადო-  
ბაც ბუნებრივი იქნება, მაგრამ არცთუ ისე მკვეთრი, რამდენა-  
დაც არ უნდა შეიცვალოს, ძირითადი, თვისობრივი, ნიშანდობ-  
ლივი მაინც შეიმჩნევა, მაინც გამოირჩევა სხვათა სტილისაგან,  
მაინც თავისთავს მიესადაგება“...

ესეც ითქვა, რამ შეიძლება იმოქმედოს, რა უწყობს  
ხელს სტილის ცვლილებას:

„საზოგადოებრივი ვითარებაცა მოქმედებს სტილზე რაღა  
თქმა უნდა, შეიძლება გაამწვაოს, მოადუნოს, შეიძლება,  
ოღონდ ვერ გარდაქმნის შინაგან ბუნებასა, როგორც ვერ  
გარდაქმნის ხმასა, რაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს ადამიანი“...

რა იცვლება და რა რჩება უცვლელი – გამოცდილი პე-  
დაგოგი კონკრეტული მაგალითებით, შედარებით უფრო საცნა-  
ურს ხდის ამ საკითხს:

„სტილი ხმისმიერია, სიმღერისმიერია სტილი. ოპერაში  
ჰო ყველა თავის ხმაზე მღერის, თუმცა ყველა მათგანი ერთ  
კონფლიქტშია ჩათრეული?... კონფლიქტიც რო შეიცვალოს,  
ხმები მაინც არ იცვლება, არა?“...

და „ისიც უნდა ითქვას: ავადმყოფობა სტილსაც გადა-  
ჰქრავს, როგორც რო ცოცხალ ორგანიზმს. ცოტა ავადმყოფუ-  
რიც დასტყობია ალექსანდრე ყაზბეგის სტილსა“...

თუ რას ნიშნავს „საზოგადოებრივი ვითარების ზემოქმედება სტილზე“ და როგორ შეიძლება ამან, ვთქვათ, „გაამწვავოს“ სტილი, ვფიქრობთ, ამის კარგი მაგალითია ოთარ ჩხეიძის ბოლოდროინდელი რომანები,... სტილის თვალსაზრისით მათი შედარება პირველ რომანებთან თუ შემდეგდროინდელ ნაწარმოებებთან ამას ნათელყოფს, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად: ოთარ ჩხეიძის სტილი რჩება ოთარ ჩხეიძის სტილად...

ეს, რა თქმა უნდა, თვალის ერთი გადავლებით. კონკრეტულად „ტინის ხიდს“, „მეჩეჩისა“ და „ბურუსს“ სტილის თვალსაზრისით რა აქვთ ისეთი საერთო, რითაც ისინი სხვაობას ავლენენ, ვთქვით, „ბორიაყისაგან“, ერთი მხრივ, და „არტისტული გადატრიალებისაგან“ ან „ბერმუდის სამკუთხედისაგან“, მეორე მხრივ, ასე იოლი სათქმელი არაა... ამას კვლევა სჭირდება, სტილის რაობის მცოდნე და სტილის „შეგრძების“ მქონე მკვლევართაგან... განვმარტავ: გრამატიკის ცოდნა (თუნდაც ძალიან კარგი) არ ნიშნავს იმას, რომ ჩავწედეთ სტილის სიღრმეს, რაობას... ერთგან ანა კალინდაძის ნათქვამი გავიხსენე „სისხლის ჯგუფზე რომ საუბრობდა“... რაღაც მსგავსი აქაც ხდება, მე მგონია... ცხადია, არაა ეს იოლი საქმე...

ოთარ ჩხეიძე უფრო ჩაუღრმავდება და ქართული მწერლობის მაგალითზე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: „არიან მწერლები, ხანგრძლივი ცხოვრება რო არ უწევთ, ან-თუ შემოქმედება არ უწევთ ხანგრძლივად, მაშინ სტილის ცვალებადობა ან შეუმჩნეველია, ანთუ მკრთალია, განსაკუთრებული ძიებით თუ გამოირჩევა; ვასილ ბარნოვის სტილი მთელი ცხოვრებაა, ალექსანდრე ყაზბეგისა ეპიზოდია, ერთბაშად შეიქმნა მისი რომანები და ერთ სტილში მოექცა“... და სხვა...

(სტილის ცვლილების საკითხს პარაგრაფის ბოლოს პვლავ დავუბრუნდები).

სტილი ინდივიდუალური მოვლენაა... მიბაძვა? — „მიბაძვა მავნეა ლიტერატურაში, სტილური მიბაძვა მარცხია, ვეღარა-ფერი ვეღარ გადაარჩენს ასეთ ლიტერატურასა. მიბაძვა ხე-ლოგნურობაა. ხელოვნებასა და ხელოვნურობას შორის დიდი მზღვარია“... „სტილის წარმოქმა რო არ შეიძლება ხელოვნუ-რადა, სტილი საგანი არ არის, სტილი არსებაა მთლიანობი-სა!“

თავის ჩანაწერებში ოთარ ჩხეიძე მძიმედ განიცდის იმას, რომ მას ბაძავენ, ჰპარავენ, ძარცვავენ... თუმცა ამის თაობაზე მხოლოდ დღიურებში ჩივის...

ეს დასკვნაც საგულისხმოა: „სტილი სამწერლობო ტრა-დიციებისაგანაც მომდინარეობს და ძიების შედეგიც არის, გან-ვითარების შედეგიც გახლავთ სტილი“...

ანუ: **სტილი ნიჭია, გვეძლევა,** მაგრამ ძიება და განვითა-რება სჭირდება; საბოლოო სახეს სწორედ ძიებისა და განვი-თარების შედეგად იღებს...

ახლა ერთი კონკრეტული საკითხი:

დიალოგში ოთარ ჩხეიძე საუბრობს იმის თაობაზე, რომ **სტილი ცვალებადი ფენომენია.** თავად მისი სტილი მუდამ გადახალისებას განიცდის. „აგვისტოს შვილებში“ ვკითხუ-ლობთ: „70-80-იანი წლების მიჯნაზე მკვეთრად დაეტყობოდა ცვლილება ოთარ ჩხეიძის ენობრივ სტილს... ეს ბუნებრივია. არ უკვირს, მაგრამ განმარტავს, რატომ არ განიცადა ცვლი-ლება ლევან გოთუას სტილმა (მიუხედავად იმისა, რომ საკმა-ოდ ხანგრძლივი სიცოცხლე ერგო):

„ლევან გოთუას უფრო მეტი სიცოცხლე არგუნა ღმერთ-მა, მაგრამ შემოქმედების საშუალება ბევრჯერ შეუწყვიტეს. დაიჭირეს, გადაასახლეს, ყოველ დაბრუნებისას იქიდან დაი-წყო, სადაც შეაწყვეტინეს. იმავე სტილითა და იმავე უტეხი ნებისყოფითა, შემოქმედებითი ცხოვრება მაინც ხანმოკლე

აღმოჩნდა, სტილური ცვალებადობაც არ გახლავთ ისე შესამჩნევი“.

თუ რას მიიჩნევს ოთარ ჩხეიძე შესამჩნევ სტილურ ცვლილებად და როგორ „მისდევს“ ამ ცვლილებას, კარგი მაგალითია ადრე გამოცემული ნაწარმოებების ხელახალი გამოცემები.

თავად წერს დღიურში: „1986, ოთხშაბათს, 1 იანვარს. ის წელიწადიც წავიდა. ისე წავიდა რო ბევრი არაფერი გამიკეთებია. არც რო ბევრი და თითქმის რო არც არაფერი გამიკეთებია“. არაფერი. გადავიკითხე, ჩავასწორე და გამომცემლობას გადავეცი „ტინის ზიდი“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „მეჩეჩი“ და ეტიუდების მცირე ნაწილი... (ჩ. 250). თუ რას ნიშნავს „გადავიკითხე და ჩავასწორე“, შეგვიძლია ვნახოთ „ბურუსის“ მაგალითზე. ესაა იმის ნიმუშიც, თუ როგორ იცვლებოდა სტილი. ხელთა მაქვს „ბურუსის“ სამი ვარიანტი:

1. პირველნაბეჭდი – „მნათობი“, 1955 წელი.
2. „ბურუსი“ – (ერთტომეული; სამი რომანი), 1979 წ.
3. „ბურუსი“ – (სამტომეულის II ტომი), 1987 წ.

შესადარებლად ვიღებ რომანის დასაწყისს პირველნაბეჭდიდან დაახლოებით 100 სიტყვიან მონაკვეთს (103 სიტყვაა);

შესაბამის მონაკვეთს მეორე ნაბეჭდიდან (99 სიტყვაა; არის ენობრივ-სტილისტური სხვაობა მცირე) და

იგივე პასაჟი მესამე ნაბეჭდიდან: 108 სიტყვაა. საკმაოდაა ენობრივ-სტილისტური სხვაობა;

ეს არის სტილის ცვლილება ოთარ ჩხეიძისებურად...

(არადა ერთ წელიწადში ხუთი წიგნი ჩაუსწორებია ასე და არაფერი გამიკეთებიაო...)

ვნახოთ ეს შესადარებელი მონაკვეთებიც:

„ბურუსის“ სამი ვარიანტი...

I. „მნათობი“ 1955. 7. ივლისი

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, სალომემ დასკვნა, რომ უკვე გადაიარა ქარტეხილმა, დრო იყო გაეღო სახლის კარები, დრო იყო, კვლავ გამოჩენილიყო ასპარეზზე მისი მეუღლე, დაასკვნა და ბრძანა, მოემზადებინათ წვეულება თხეოთ-მეტი დეკემბრისათვის.

სალომეს ღირსეული თანამეცხედრე, აპოლონ კორკოტაძე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა: რატომ მაინცდამაინც თხეოთმეტი დეკემბრისათვის ან რა საბაბითო?! თუმცა საბაბი არაფერია, რა თქმა უნდა, არაფერია, საქმე ის არის, ნაადრევი ხომ არაა, ან გაუძლებს თუ არა ჩვენი ბიუჯეტი დიდ წვეულებასო?! ეს კითხვები სალომესათვის არ შეუბედავს აპოლონს, არც თანხმობა, არც უარი წამოსცდენია, განმარტოვდა ცალკე ოთახში, თავის კაბინეტს რომ უწოდებდა, ჩაეშვა ლურჯ, ღრმა სავარძელში, დიდი გრძელი თითები თავში შემოირტყა და შეფიქრიანდა: ნაადრევი ხომ არაა, გაუძლებს თუ არა ბიუჯეტი?

## II. „ბურუსი“ (ერთტომეული, სამი რომანი, 1979)

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, სალომემ დასკვნა, რომ უკვე გადაიარა ქარტეხილმა, დრო იყო გაეღო სახლის კარები, დრო იყო, კვლავ გამოჩენილიყო ასპარეზზე მისი მეუღლე, დაასკვნა და ბრძანა, მოემზადებინათ წვეულება თხეოთ-მეტი დეკემბრისათვისა.

სალომეს ღირსეული თანამეცხედრე, აპოლონ კორკოტაძე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა: რატომ მაინცდამაინც თხეოთმეტი დეკემბრისათვის ან რა საბაბითო?! თუმცა საბაბი არაფერია, რა თქმა უნდა, არაფერია, საქმე ის არის, ნაადრევი ხომ არაა, ან გაუძლებს თუ არა ჩვენი ბიუჯეტი დიდ წვეულებასო?! ეს კითხვები სალომესათვის არ შეუბედავს აპოლონსა, არც თანხმობის, არც საუარო სიტყვა წამოსცდენია, განმარტოვდა ცალკე ოთახში, თავის კაბინეტს რომ უწოდებდა, ჩაეშვა ლურჯ, ღრმა სავარძელში, დიდი გრძელი თითები თავში შემოირტყა და შეფიქრიანდა: ნაადრევი ხომ არაა, გაუძლებს

ჩაეშვა ლურჯ, ღრმა საგარძელების ორთქლის მილების მახ-ლობლად, დიდი გრძელი თითები თავზე შემოირტყა და შე-ფიქრიანდა: ნაადრევი ხომ არაა, გაუძლებს თუ არა ბიუჯეტი?

III. ბურუსი, სამტომეული, ტ. II, 1987

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა სალომემა, დაასკვნა ბოლოსა, რო გადაიარა ქარტეხილმა, გადაიარა, დრო იყო, გა-ედო სახლის კარები, დრო იყო, კვლავაც რო გამოჩენილიყო ასპარეზზედა თანამეცხედრეი ამისი, — ბატონი აპოლონი, და-ასკვნა და ბრძანა, მოემზადებინათ წვეულებაი ოცდახუთი დე-კემბრისათვისა. ბრძანა და შეჩქვიფდა ბატონი აპოლონი, შე-ჩქვიფდა, ცოტა შეფიქრიანდა, ვითომ და რატომ ოცდახუთის-თვისაო. ვითომ და მაინც რო რა საბაბითო, ანთუ დროა თუ ჯერ კიდევ ადრეაო, ანთუ გაუძლებს ჩემი ბიუჯეტი, საბრუნა-ვი ბიუჯეტი, დიდ წვეულებასაო, შეეჭვდა ცოტა, ცოტა შე-ყოფანდა, სიტყვა ვერ ჰყადრა ძვირფას მეუღლესა, მხოლოდ განმარტოვდა თავის კაბინეტში, ჩაეშვა მოლისფერ სავარძელ-ში, ჩაეშვა, ჩაჯდა, გადაესვენა, თავზე თითები შემოისალტა, გრძელი თითები, რატომდაც გრძელი, რო არღვევდა თანაფარ-დობას ამისი სხეულის ნაწილებისა, ცოტა არღვევდა, ანთუ რაც იყო, შემოისალტა, და ფიქრს მიეცა...

ცხადია, შედარებას არ მოვახდენთ (თუ: ვერ?!) ამ ვარი-ანტებისას (რა შეიცვალა და როგორ)... სტილის ცვლილების გასააზრებლად, ვფიქრობთ, საკმარისია...

#### 4. ნაირა გელაშვილი — „სემინარი“ თემაზე — „როგორ წავიკითხოთ ოთარ ჩხეიძე“

ერთ რამეზე ყველა თანხმდება: ოთარ ჩხეიძის სტილი არის ორიგინალური, თავისებური...

აზრთა სხვადასხვაობა ამ ორიგინალური, თავისებური სტილის შეფასებაშია. უმეტეს შემთხვევაში უარყოფითად ფას-დება...

საუბრობენ ოთარ ჩეეიძის „სტილის გადალახვის ამაო მცდელობაზეც“... ზოგი რუსულად წაკითხვასაც ამჯობინებსო... „ჩანაწერებიდან“: „ჩემდა სამარცხვინოდ თქვენი რომანი რუსუ-ლად წავიკითხე (საუბარია „ბორიაყზე“ – გ. გ.), გურამ ასა-თიანი მეუბნება, მის კაბინეტში ვსხედვართ, „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორის კაბინეტში“ – ფაქტობრივ ეგ საყვე-ლური იყო სტილის სირთულის გამო... ცხადია, ხვდება ო. ჩეე-იძე და ორონიული ღიმილი შეაგება: „მე და ევროპელ მწერ-ლებს რუსულად გვეცნობითმეთქი, – ვხუმრობ, – არ ამდევს, ვითომ ვერ გაიგონა“...

მწერალი ნაირა გელაშვილი მოიგონებს:

ერთხელ საუბარში ოტია პაჭკორიაშ სახის, ხელებისა და მხრების (მისთვის ჩვეული) ენერგიული მოძრაობით წამო-იძახა: „ოცი წელიწადი მოვანდომე ოთარ ჩეეიძის წაკითხვას! ოცი წელიწადი დამჭირდა იმისათვის, რომ მისი სტილი გადა-მელახა, შევჩვეოდი და ეს ბრწყინვალე მწერალი აღმომეჩი-ნაო“...

ამ ამბის გახსნებას თვითაღიარებას მოაყოლებს ნაირა გელაშვილი: „მე კი მაშინ წენებული „სტილის“ გადალახვის ამაო მცდელობაში ვიყავი. დავიწყებდი და პირველსავე გვერდ-ზე ჩამეფუშებოდა ხოლმე მოწადინება-შემართება. გამოხდებო-და ხანი, ისევ დავწვდებოდი ჟურნალსა თუ გაზეთს და გაღი-ზიანებულ-გაწბილებული მალევე მივდებდი გვერდზე. ბოლოს შევვეუ იმ აზრს, რომ ასე ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ (თუ-კი დამაცდიდა) ჩემთვისაც გაიხსნებოდა ამ ჯერჯერობით მტკიცედ ჩარაზული საუფლოს კარი“...

აქ ნაირა გელაშვილი იმ „საუფლოს“ ახასიათებს: „საუფლოსი, აინუწმიაც რომ არ აგდებდა დროს და ნაკლებად ანალვლებდა, ამ ხანმოკლე, სწრაფმავალი წუთისოფლის მავან სტუმარს ათი წელი დასჭირდებოდა თუ ოცი იქ შესაღწევად“...

და შეაღწია... როგორ? – მოვუსმინოთ:

„და მოულოდნელად გაიხსნა კარი: როდესაც ბატონ ოთარ ჩხეიძის სამტომეული აღმოჩნდა ჩემს ხელთ და ეს ამ-ბავი, როგორც ჩანს, ჩემს შინაგან მზადყოფნას დაემთხვა“...

სხვათაშორის, ამ „თვითაღიარებასთან“ კიდევ ერთი კარგი ლიტერატორის, ჯანსულ „ვინჯილიას, მიერ „ჩხეიძის სტილის გადალახვის“ ფაქტია დაკავშირებული: როდესაც ნაირა გელაშვილს ოთარ ჩხეიძის შესახებ წერილი (...უნდა ენდოთ მემატიანესა“...) მიუტანია „ცისკარში“, ჟურნალის რედაქტორს მაშინვე სტამბაში გაუგზავნია დედანი და ქ-ნი ნაირა კაბინეტში მიუწვევია მადლობის სათქმელად: „მე თვითონ ბევრი მიფიქრია ამ სტილზე, მის თავისებურებათა ახსნაც მიცდია, მისი შექმნის საწყისში გარკვევაც და მაიც გაურკვეველი რჩებოდა ჩემთვის არაერთი რამ, შენმა წერილმა სულ სხვაგვარად რომ დამანახვა და ბუნდოვანებაც გამიფანტაო“ (აგვ. შვ.)...

ხოლო თუ რას ფიქრობდა ჯ. ღვინჯილია ოთარ ჩხეიძის სტილზე, ზემოთ მოვიყვანე (გვ. 101); აქ დასკვნას გავიმეორებ: „თითქოს მწერალი თავის განძს იმ ხრამში ყრიდეს, სადაც ვერასოდეს ვერავინ ვერ ჩავა რაიმეს ამოსატანად“...

ოთარ ჩხეიძის „საუფლოში“ შეღწევის თავის „მეთოდს“ გვიზიარებს ქართული მწერლობის მოყვარული და პოპულარიზატორი მსახიობი გიორგი ხარაბაძე: „უბრალოდ გავბრაზდი, თავს ძალა დავატანე და წავიკითხე! ესაა ცხოვრების სიბრძნით დატვირთული პროზა. ბატონი ოთარის ყველა წიგნი გაიძულებს დახურო იგი და არ წაიკითხო. ვინც ჩემსავით

„იჯიუტებს“ და წაიკითხავს, სტილის ბარიერს მაღე გადალა-  
ხავს და მშვენიერ სამყაროში აღმოჩნდება“ (აგვ. შვ. 474).

რეჟისორ რეზო ესაძეს უთქვამს: „ოთარ ჩხეიძის სიტყვა  
ძაფის მორგვია, რომელიც გაგორდება და გაიხლართება, თუ  
მიჰყევი და გაიკვლიე, მაშინ პო, გაიგებ, სხვისთვის ნათქვამი  
არა და, შენთვის გასაგონი ყოფილა“ (აგვ. შვ. 474).

ოთარ ჩხეიძის „სტილის ჯებირის გადალახვის“ თავის  
გამოცდილებას გვთავაზობს ლიტერატურათმცოდნე გიორგი  
გაჩეჩილაძე. დამაჯერებლობა რომ შემატოს, „ანალოგიის მე-  
თოდს მიმართავს“... ასეთ ამბავს გვიყვება:

(„აგვისტოს შვილებიდან“) — გიორგი გაჩეჩილაძე გორ-  
ში მიუწვევიათ ლხინში; წინასწარ გაუფრთხილებიათ — ისეთ  
ატენურს დაგალევინეთ, ღვინის უნახავს გაგხდისო... არ მო-  
სწონებია ღვინო პირველივე ჭიქაზე სტუმარს; უფიქრია, არაა  
ეს დაპირებული ატენური; ეტყობა აერიათო და სმისთვის თა-  
ვის არიდება მოუსურვებია... მასპინძელს შეუტყვია უგუნებობა  
და უთხოვია, ხათრით სამი ჭიქა შესვით... მერე თუ აღარ მო-  
გინდეს შენი ნებააო... სამი ჭიქის შემდეგ სტუმარს ღვინის  
დაძლება აღარ დასჭირვებია; პირიქით... და შემდეგ შეგონება:  
„შეჩვევა სდომებია, გათავისება, რათა მისი მადლი და ბრწყინ-  
ვალება სრულყოფილად შეიცნო და შესაფერისადაც დააგემოვ-  
ნოო“... ქართული სუფრის მადლის მცოდნე და „ღვინის ფი-  
ლოსოფიაში“ გარკვეული კაცი არ შეიძლება არ დაეთანხმოს  
ამ „შეგონების“ ავტორს... ეს ამბავი იმისთვის დასჭირვებია,  
რომ ეთქვა: „ოთარ ჩხეიძის სტილსაც შეჩვევა უნდა და მერე  
მორაკრაკებს ღვინოსავითაო“... და თურმე, ვინც ეტყოდა, ვერ  
კვითხულობ, მაღიზიანებსო, სთხოვდა: ჩემი ხათრით, ხუთი  
გვერდი წაიკითხე და თავად წაგაკითხებს თავსო“...

გაგვიგრძელდა შესავალი.

და სწორედ იმათთვის, „ვინც ჯერ კიდევ ამაოდ ელექტრის მწერლის ენობრივ ზღუდე-გალავანს“, ნაირა გელაშვილი წერს ამ დიდებულ წერილს!... ცხადია, არაა იოლი და არც ყველას ხელეწიფება ჩასწოდეს სიღრმეს მწერლის ნააზრევისა.

სანამ უშუალო სათქმელზე გადავალ, ერთსაც ვატყვი: უსამართლო კრიტიკით გულდაწყვეტილი ანა კალანდაძე წერდა: „კრიტიკულ წერილში, ალბათ ისე, როგორც ყველას, მეც სიმართლე მხიბლავს, რაც ამავე დროს, კრიტიკოსის უტყუარი ალლოს მაჩვენებელიცაა. ამ დროს ხდება ხოლმე კრიტიკოსისა და ავტორის აზრთა ბეჭინიერი დამთხვევა“, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევა არის; როცა ავტორს საკუთარ ნაფიქრსა და წარმოსახულს მიაწერ, ეს უკვე სიცრუეა (ნებსითი თუ უწებლივ). ოთარ ჩხეიძე ამგვარი კრიტიკით „განებივრებული“ იყო... ანა კალანდაძის მსჯელობა ასე გრძელდება:

„მურმან ლებანიძე ერთ-ერთ წერილში უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ერთი წლის განმავლობაში დაბეჭდილ ლექსებს მიმოიხილავს: შემძრა ჩემი ერთი ლექსის მურმანისეულმა უცდომელმა წაკითხვამ“...

ანა კალანდაძის ეს ჩანაწერი გამახსენდა, როცა ნაირა გელაშვილის წერილს ვკითხულობდი...

ჭეშმარიტი პოეტის ნააზრევის შეცნობა ჭეშმარიტად პოეტს შეუძლიაო... სხვა სიტუაციის გამო ანა კალანდაძისეული ერთი გამოთქმაც შეიძლება მოვიშველით ამ შემთხვევაში: მკითხველმა რომ მწერალს გაუგოს, „სისხლი ერთი ჯგუფისა უნდა იყოს“...

მაშ ასე, ჩანს, ნაირა გელაშვილის „სისხლი“ ოთარ ჩხეიძის „სისხლის ჯგუფთან ახლოსაა“...

\* \* \*

ოთარ ჩხეიძის სტილის საუფლოში „დაგვატარებს“ ნაირა გელაშვილი...

„მტკიცედ ჩარაზული საუფლოს კარს“ მიღმა „დაიწყო  
საოცარი დღესასწაული:

თხრობის ზეიმი,

დიდებული ეპიკური სანახაობა,

ბრწყინვალე არტისტიზმით,

უაღრესად თანამედროვე მწერლური „თამაშითა“ და

იუმორით აღბეჭდილი,

სიღრმისეული, ტრაგიკული სერიოზულობა;

მაშასადამე: ისეთი დიდოსტატობა ეპიური აღქმისა, რომ-  
ლის ცეცხლშიაც სხივოსნობს ჭეშმარიტი პროზის ოქრო –  
სიბრძნისა და უკვდავების ქვა“.

ნაირა გელაშვილი მწერლის მოწამეობრივ გზად, გმირო-  
ბად მიიჩნევს მწერლის არჩევანს, „ვერდით ედგეს ნიადაგ  
დევნილ სიმართლეს“... და იქვე განმარტავს: „და აյ მარტოო-  
დენ ნათქვამის, სათქმელის სიმართლე როდი იგულისხმება,  
ანუ ე. წ. სოციალურ-მორალურ მანკიერებათა მხილებანი,  
არამედ სიმართლე ფორმისა ანუ სტილისა“...

ანუ: ერთი მხრივ, „ნათქვამის, სათქმელის სიმართლე“

მეორე მხრით, „ფორმის, სტილის სიმართლე“...

ეს არ არის ორი სიმართლე – ეს დიდი სიმართლის  
ორი მხარეა... ეს ვაჟასეული გაზრებაა გარეგანი და შინაგანი  
ნიჭიერების შერწყმისა... დიდი სიმართლე – მძიმე ტვირთია  
(მისია) მწერლისა... პასუხისმგებლობაა...

6. გელაშვილი განმარტავს: „შინაარსობრივი სიმართლე  
ასე თუ ისე ადვილი შესამოწმებელია, რადგან მეტ-ნაკლებად  
ექვემდებარება ხილულ ლოგიკას და სინამდვილესაც, რომელ-  
საც ნაწარმოები ასახავს, შედეგის სახით მაინც ყველა ხე-  
დავს...“

მაგრამ ვის შეუძლია სტილის ნამდვილობის შემოწმება,  
როდესაც მწერალი ამ აზრს უაღრესად უცნაური მანერით –  
„ახირებული“ სტილით ასხამს ხორცი? ვის შეუძლია ჩა-

სწორების სტილის მთელ საიდუმლოს – იგი ხომ მწერლის შინაგანი სამყაროდან, მთელი მისი სულიერი კანონზომიერებიდან აღმოცენდება და მისი ფსიქიურ-აზრობრივი აღნაგობის ენობრივი ასლია?...“

როგორც ვხედავთ, ეს კითხვები გზამკვლევია, მეგზურია ო. ჩხეიძის სამყაროში შესვლის მსურველთათვის... კიდევ ერთი კითხვა მწერალი ქალბატონისაგან: „და განა უსაზღვროდ განსაცვიფრებელი არ არის ხოლმე იმ მწერალ-პოეტთა არნახული მდგრადობა, სიჯიუტე და შეუვალობა, ვისაც ამდენ ქოქოლას აყრიდნენ უცნაურობის, ახირებულობის, მანერულობის გამო, რომელთაც ასე ურთულებდათ ცხოვრებას მათივე „სტილი“ და ისინი კი წარბშეუხრელად განაგრძობდნენ იმავე ყაიდაზე თხზვასა და გალობას?“

ეს რიტორიკული კითხვაა. ქართულ მწერლობაში უპირველესად და უმთავრესად ოთარ ჩხეიძეს მიემართება!... და ამ მსჯელობის გაგრძელებაც ოთარ ჩხეიძეს ეკუთვნის: „განა ეს არ მოწმობს, რომ სტილი ბედისწერაა?“

დიახ, ოთარ ჩხეიძისათვის სტილი ბედისწერაა!

კვლავ მწერალ ქალბატონს მოვუსმინოთ: „და ასე ბედისწერულად უპირისპირდება ხელოვანი მარადისობას დაპირისპირებულ ანუ წარმავალ ღირებულებათა აღმზევებელ დროს“...

ეს ოთარ ჩხეიძეა...

ოთარ ჩხეიძის საუფლოში შესული ქალბატონი მწერალი მკითხველის პრობლემაზე დაფიქრდა: „ქანცგაწყვეტილი დღის ბოლოს“ წიგნის „სიძნელე“ გვძაბავს, გვანერვიულებს და ვერ პატიობენ ამ „სიძნელეს“ მწერალს (ქართველ მწერალს, თორემ უცხოელს ადვილად მიუტევებენ) და „უმაღ უაზრობად ჩავთვლით მათ სტილურ-აზრობრივ „პერმეტულობას“, ვიდრე რაიმე მხატვრულ თავისებურებად“...

ამ „პრინციპს“ ეწირება ოთარ ჩხეიძეც... „და მოვითხოვთ: ზედაპირზე მოზიმზიმე ნერვიული ცხოვრების დონეზე ჩამოქვეეთდეს ხელოვნება (ანუ მაშინვე გასაგები იყოს თვით ყველაზე ღუხჭირი ტვინისთვისაც კი. ის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩვენ გვეგალება მის სიმაღლეზე ასკლა – ხშირად აზრადაც აღარ მოგვდის“ (!)

და ისევ უმნიშვნელოვანესი დასკვნა და შეგონება მკითხველისადმი ისევ ჩხეიძის საუფლოში გაჩენილი: მკითხველმა ლიტერატურისაგან გართობა არ უნდა მოითხოვოს; არ უნდა აქციოს „იმ ჰამაკად, სადაც ნასაღილევს ტანდამძიმებული ობივატელი ჩაესვენება“...

ყოველ შემთხვევაში ოთარ ჩხეიძის წიგნი არ გამოდგება საამისოდ...

ეს ფიქრიც ოთარ ჩხეიძის სტილმა გაუჩინა ნაირა გელაშვილს: „კარგი მწერალი უფრო ბევრია, ვიდრე კარგი მკითხველი... ჩვენ ყველანი უფრო ხშირად ცუდი მკითხველები ვართ“...

გახსოვთ? – ოთარ ჩხეიძეს ბრალს სდებდნენ სტილის გაბუნდოვანებაში, დამძიმებაში, გართულებაში და ა. შ. ფაქტია, ასეთი კითხვები ნაირა გელაშვილსაც გაუჩნდებოდა, სანამ ოთარ ჩხეიძის „ენობრივ ზღუდე-გალავანს გადალახავდა“ და აი, რა დასკვნამდე მისულა: წიგნიდან ვინც გართობას ითხოვს (ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილის საიდუმლოთი დაინტერესებულთათვის ეს ძალიან საინტერესოა!) –

„და როცა ასეთი ზერელე ცნობისწადილით, გართობისა და პასიური ტკბობის სურვილით მივდივართ წიგნთან, როცა გონების შემართება კი არ გვინდა, არამედ – მოშვება-მოდუნება, როცა მხოლოდ ის გვიზიდავს, მოგვწონს, რაც ნაცნობია, დატკეპნილი, შეჩვეული, რის აღქმასაც ტვინის რამდენიმე (უკვე ათვისებული) უჯრედის ამოძრავებაც კი არა სჭირდება

(აუთვისებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ), მაშინ მწერლებსა და პოეტებს ხშირად ასეთი სურვილი უჩნდებათ: მათ შემოქმედებასთან ასე ზერელე ინტერესით მიხეტებულ მკითხველს წინ ისეთი ბარიერი დაუხვედრონ, რომ სწრაფადგვე დაუკარგონ სურვილი იქ აუზრო ხეტიალისა და მხოლოდ ის შეუშვან თავიანთ სულის კარმილამოში, ვინც მართლა ღირსია, ვისაც მთელი გულისყური და მაძიებელი აზრი მოუკრებია... (აქ გერმანელი პოეტის შტეფან გეორგეს მაგალითი მოჰყავს – გ. გ.)“...

მაშასადამე, ასეთი „ახირების“ ერთ-ერთი იმპულსი თავ-დაცვა ყოფილა – დაცვა საკუთარი სულისა და სიტყვის საკრალურობისა. „მნელი სტილიც“ (მხატვრული ჰერმეტიზაციის ერთ-ერთი მოძენტი) ხშირად ყველაზე სათუთის, ყველაზე გა-საფრთხილებლის ირგვლივ შემოვლებული ზღუდეა ხოლმე“...

დღიურების ის ჩანაწერი გახსოვთ, ნაცნობი ჩეკისტი რომ აფრთხილებს ოთარ ჩხეიძეს, „ჩვენთან შენ დისიდენტადა გთვლიანო? ბუნდოვნად რომ წერს, იქ გვაპარებსო?“...

ახლა ნაირა გელაშვილს მოვუსმინოთ და „ახირებული“ სტილის აზრსაც ჩავხვდებით:

„ამავე დროს პრაქტიკულად თავდაცვის იმპულსითაც უნდა იყოს ნასაზრდოები თხრიბის ხსენებული, „ახირებული“ მანერა – ვგულისხმობთ თავდაცვას იმ მოთვალთვალე ფუნქციონერთა კირკიტისაგან, რომელიც მამხილებელ აზრებსა და უკოპრომისობას ჩასაფრებიან. ასეთი დამცველი ზღუდე დიახაც, სჭირდებოდა ო. ჩხეიძეს, რომელიც იმ წლებში დაღადებდა მწარე სიმართლეს, როცა ამისაკენ არათუ არავინ მოუწოდებდა, არამედ პირიქით: როცა ირგვლივ პატიოსანი აზრის ჩასაქოლად ქვაჩაბღუჯული ხელების ტყე აღმართულიყო“...

როცა ნაირა გელაშვილის წერილზე გსაუბრობ და ამონარიდების შემოთავაზებას ვაპირებ, გველისმჭამელის დღეში

აღმოვჩნდები ხოლმე – „არა, მე მომჭერ, მინდიავ, ნუ მტოვებ, შენი კვნესამეო“...

ცხადია, ჩემს საუბარს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს: როგორ წავიკითხოთ ოთარ ჩხეიძე, როგორ შევხსნათ მისი სტილის საუფლის კარი, როგორ გადავლახოთ მწერლის ენობრივი ზღუდე-გალავანი, როგორ გავიაზროთ „ახირებული“ სტილის შექმნის აუცილებლობა და ა. შ. თანაც ეს ჩემი თვალსაზრისიდან... სხვა აღბათ სხვას გამოარჩევდა... ყველაზე იოლი (და ალბათ სწორიც) ასეთი მოკლე რეკომენდაცია იქნებოდა: წაიკითხეთ ნაირა გელაშვილის წერილი „...უნდა ენდოთ მემატიანეს“... მანამდე შეიძლება საჭაშნიკო ამონარიდებს გაეცნოთ...

ზემოთ თქვენა, რომ თხრობის „ახირებული“ მანერა თავდაცვის იმპულსით უნდა იყოს ნასაზრდოებიო. ასე გრძელდება მსჯელობა: „და ვინ იცის, იმ ქვათა გატყორცნას თუ ვერ აიცდებდა, დააგვიანებდა მაინც ო. ჩხეიძის „ახირებული“ ძნელი სტილის გალავანი: რადგან თავად განსაჯეთ, თუ შესანიშნავ ლიტერატორს ოცი წელი დასჭირდა მის გადასალახად, იგი ფუნქციონერი – სამას წელს ხომ არ იცოცხლებდა!... ადვილი წარმოსადგენია, ამ ზვავრიელი ენის ზვეულ ტევრებში ჩაკარგულს როგორ უღონდებოდა გული, ვიდრე უამრავი სტილური განმეორება-დაზუსტებებით, თემატური გადახვევ-გადმოხვევებით გზააბნეული „სათქმელამდე“ ჩააღწევდა და გაბრუებული იმ სათქმელს თავს დაადგამდა. დიახ, ადვილი წარმოსადგენია, რა ქოქოლას აყრიდა (გზისაბნევაში ასე დაოსტატებული) მწერლის ამ „არანორმალურ“ სტილს“...

ეძებდნენ და პოულობდნენ იოლ გზას – არქმევდნენ ამ მოვლენას „გადმონაშთს“, საუბრობდნენ „სოცრეალიზმის“ უარყოფაზე, დისიდენტობაზე და ა. შ.

კონკრეტული მაგალითები: 1947 წელი... 1950 წელი... როგორ ეწირება „მეჩეჩისა“ და „ბურუსის“ დაბეჭდვას სიმონ ჩიქოვანი...

და „ფორმით მწირი (ანუ უსახეო) და იდეურად – სახოტბო რეალიზმის“ ეპოქაში“ „ტრაგიკულმა იმპულსებმა“ „თავიდან აღბათ იძულებითი, მაგრამ სხვამხრივ დიდებული სტილი ჩამოაყალიბა: სტილი ორიგინალური, არტისტულ-მაღალმხატვრული“...

და ქალბატონი მწერალი ვეღარ „ჩერდება“, ბოლომდე უნდა ჩაჰვეს ოთარ ჩხეიძის სტილის საიდუმლოს, ბოლომდე უნდა გახსნას, გაიცნობიეროს და გაუცნობიეროს ო. ჩხეიძის მომავალ მკითხველს: „ეს გახლდათ ღვთაებრივი სიჯიუტე (ხომ უკიუინებდნენ კიდეც: „ჯიუტად განაგრძობს მცდარი გზით სიარულსო“), ბედისწერული გაჯიუტება-გაკერპება, რომელშიც შედუღაბებული იყო მთელი აღმოსავლეთ საქართველოს სიჯიუტე, დაუთმობლობა, ის ქვადქცევა – რამაც ამპარტახებელთა ოკეანეში მას თავი ანუ ერთჯერადობა შეანარჩუნებინა“...

და ამ მონაკვეთის დასკვნა-შეჯამება:

ოთარ ჩხეიძის შემოქმედება (ფორმა შინაარსიანად) –  
გამოწვევაა – (დროის ნიაღვარში ამჩატებული სულ-სწრაფი მკითხველისა)

სასინჯი ქვა (ჩვენი დასუსტებული ნერვებისა, ესთეტიური ტყბობის უნარისა)

და ბოლოს:

რისკია – რადგან დიდი ხნით გადაივადებს აღიარებას...

\* \* \*

ახლა უშუალოდ თავად ოთარ ჩხეიძის სტილის დახასიათება...

„ოთარ ჩხეიძის სტილი ეს თამაშისეული, არტისტული სტილია, რომლის „თამაში“ იმით ვლინდება, რომ ხასიათობრივად ცალკე გამოკვეთილი, უაღრესად ინდივიდუალური, თავისებური, კოლორიტული მთხრობელი ყველა თავის უცნაურ პერსონაჟზე უფრო უცნაურად იქცევა. იგი (როგორც მთხრობელი) ბავშვურ სიანცე (თამაშ)-შერჩენილი ბრძენი, ფხიზელი, მოუსყიდავი კაცია, ამავე დროს უსაზღვროდ წრთელი და სათუთი, რომელსაც ჯერ ერთი, ეს ქართლური დიალექტი „აუჩემებია“ და ისე „აუჩემებია“, რომ მარტო თვითონ კი არა, მისი ყველა პერსონაჟიც იმ დიალექტით მეტყველებს...“

ამ შემთხვევაში ვაუა-ფშაველას პოემების ენა გვახსენდება – „ავტორიც რომ პერსონაჟია“ მეტყველების მიხედვით (იხ. ჩვ.: ერი დედაა ენისა, 2020)...

და ყოველივე ეს არის რა? – „ეს გახლავთ მწერლური „თაგნებობა“, „ახირება“, გნებავთ... სიჯიუტე. საბოლოოდ კი – თამაში, იუმორი, თავისუფლება, კლასიკურად „სწორი არტა-ხების დაწყვეტა“.

უფრო კონკრეტულად:

ოთარ ჩხეიძე „ჯერ დაალაგებს წინადადებას, მერე დაშლის, შეაბრუნ-შემოაბრუნებს, განავრცობს, და თვითონვე „უკვირს“ სათქმელს რომ ასცდება:

„ოუმცა რას ვყვები...

აქ ჰო მთავარი ეს არც არის,

არა, ცხადია!...“

თემას თითქოს თავიდანვე და პირდაპირ შეუდგება ხოლმე, მერე შეწყვეტს, მიუვლ-მოუვლის, ხანდახან თითქოს გლახა ჭრიაშვილსაც ედარება, ვითომ ათადან-ბაბადან იწყებდეს, გადაუხვ-გადმოუხვევს, უკან დაბრუნდება, დაუბრუნდება ვითომ შეწყვეტილ თემას, საკუთარ თავსაც „უსწორებს“ სტილს და ა. შ.“.

ეს არის ქალბატონი მწერლის მიერ დანახული ბატონი მწერლის წერის მანერა... და ამ უცნაური მანერით შედეგად რას ვიღებთ? — აი, ისევ მწერალი ქალბატონის დიდებული ანალიზი:

„ეს ყველაფერი ქმნის საოცარ იუმორით აღბეჭდილ ეპიურ სანახაობას — ფორმის ზეიმს... და მთელ ამ ზეიმს ბრწყინვალე გირლიანდად ჩასწენია დიდებული ქართული, რომელიც ვეება ნაკადად მიზვირთება, იერთებს რა გზადაგზა მთელი ენის ხვავსა და ბარაქას: რა ფრთიან თუ სხარტულა თქმებს, რა იდიომებს, ანდაზებს და ობოლ მარგალიტებს! რა სინტაქსური და მორფოლოგიური თავისუფლება! რა სითამამე: ჰო, აქ ენობრივ-სტილურ სივრცეში ხდება არარსებული თავისუფლების კომპენსაცია!“

და ერთი ნიშანდობლივი დეტალიც:

„ეს მთხრობელი მკითხველსაც ხშირად ჩართავს ხოლმე თხრობის ძნელ საქმეში, დემოკრატიულად „ათანხმებს“ მასთან, თუ საიდან დაიწყონ თხრობა ან როგორ დაამთავრონ, ამიტომ — „მე“-ს ხშირად ენაცვლება „ჩვენ“...

„... ერთი სიტყვით, ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟისა და მკითხველის დაახლოება — ბოლომდე მიჰყავს“...

მერე კონკრეტული ნაწარმოებებიდან კონკრეტული ეპიზოდები, პასაჟები და ისევ დიდებული წვდომა მწერლის ჩანაფიქრისა... მერე პროფესიონალური რჩევა მკითხველს:

„საკმარისია სიჩქარე შეგვიჯდეს, რომ ვერაფერსაც ვერ გავიგებთ, რადგან იშვიათია ასეთი **ჯიუტი ტექსტი**, ტექსტი, რომელიც, საკმარისია ოდნავ აჩქარდე, და არაფრით აღარ წაგაკითხებს თავს: უცებ დახვავდება „ზედმეტი“ სიტყვები და რაც უფრო იჩქარებთ, მით უფრო ვეღარ წადგამ ნაბიჯს: ტექსტი აიბურდ-დაიბურდება და თხრობის გულისშემაღონებელ ხვიარებში გაიხლართები. მაგრამ თუ ნელა, გულისყურიანად

გაპყვები, მიპყვები, — სამუდამოდ ამოიტვიფრება შენს ხსოვნა-გონიერებაში ენის (თხოობის) ხუროთმოძღვრება... და გაიგებ „ამბავსაც“, რომელიც ისეა ჩაგვირისტებულ-განზავებული ფორმაში, რომ ერთი წამითაც არ რჩება შიშვლად“...

მე რომ მკითხოს კაცმა, ამ ამონარიდს ოთარ ჩხეიძის ყველა გამოცემას დავურთავდი, როგორც „ინსტრუქციას“, რჩევას ოთარ ჩხეიძის მკითხველთავის!...

წერილის ბოლოსკენ მწერალი ქალბატონი წერს: „და, აი, უკეე მივაღწიე იმ კონდიციას, რომ უსაშველოდ ზედმეტი მეჩვენება ჩემი ნათქვამი ყოველი სიტყვა, უხერხულად ზედმეტი; როცა მეძალება სურვილი, რაც შეიძლება ვრცელი ციტატები ამოვწერო ტექსტიდან, და ბოლოს: სულაც ერთგული გადამწერივით გადმოვწერო მთელი მოთხოვნა; როცა მწყურდება მხოლოდ სიჩუმე და მთხოვბელისათვის ასე გარინდებით ფურის მიგდება“...

რა დაგიმალოთ და, როცა ნაირა გელაშვილის წერილს ვკუთხულობდი, მეც ეს სურვილი მიპყობდა... თუმცა მე შევასრულე კიდევ ნაწილობრივ ეს გულისწადილი: საკმაოდ ვრცელი ციტატები შევთავაზე მკითხველს... და თავად მე, ოთარ ჩხეიძის სტილით „ნატანჯ-ნაფიქრმა“ — სული მოვითქვი, თავისუფლად მიმოვიზედე „ჩხეიძის სტილის საუფლოში“... ძალიან კარგად მესმის ჯანსულ ღვინჯილიას მადლიერებისა ნაირა გელაშვილის მიმართ...

ხოლო იმას, რაც ნაირა გელაშვილმა დასკვნის სახით შემოგვთავაზე, ოთარ ჩხეიძის ყველა თაყვანისმცემელი თუ პატივისმცემელი მოაწერს ხელს:

„ოთ. ჩხეიძის უნიკალური სტილი ბედისწერულად აძლიერებს მისი როგორც მწერლის მარტოსულობას: ამავე დროს იგი დამცველი ზღუდე-გალავანია საკუთარი მარტოობისა და ჯავრის, მათი საკრალურობის ირგვლივ“.

**რამდენიმე შენიშვნა ოთარ ჩხეიძის  
ენობრივი თავისებურების  
შესახებ**

**1. „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები“**

ოთარ ჩხეიძეზე წერდნენ: ამაზინჯებს ენასო, უკონტროლოდ წერსო, დიალექტზე წერსო, დამორდაო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალურ ხაზსო...

არადა, ივანე ამირხანაშვილთან დიალოგში მწერალი განმარტავს: „ვერ დავეთანხმებით, რომ არაჩვეულებრივადა ვწერდე. არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები, არ შეიძლება მივმართო რაიმე ისეთ ექსპერიმენტსა, ქართული ენის ბუნებიდან რო არ მომდინარეობდეს“. ანდა: „მხატვრული სტილისათვის „გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია“.

როცა მწერალი ასეთ განცხადებებს აკეთებს, სალიტერატურო ენისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას ვერ დავწამებთ; მას შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში ჰქონდეს სუბიექტური შეხედულება, პოზიცია, რომელსაც არ დავეთანხმოთ, მაგრამ უნდა ვენდოთ: მას მიაჩნია, რომ ესაა სწორი ქართული.

იყო ასეთი შემთხვევა: აკაკი წერეთელს შენიშვნა მისცეს – „ყოლიფერი“ არააო სწორი ფორმა (ეს სიტყვა იმ ლექსშიც გამოიყენა, ვაჟა-ფშაველას ენას რომ უწუნებდა: „მე თავად მივწვდი ყოლიფერს“). აკაკიმ განმარტა: სწორია „ყოლიფერი“ და არა „ყველაფერი“; ამოსავალი „ყოველია“ და არა „ყველაო“... ამ შემთხვევაში ცდება პოეტი, მაგრამ ასე სჯეროდა...

როცა მწერალი ასე მსჯელობს, ასე ფიქრობს, დიახ, უნდა ვენდოთ — იგი ფიქრისა და განსჯის გარეშე არ ქმნის ენობრივ ფორმებს. მიაჩნია, რომ ესაა სწორი ქართული... თუმცა...

საერთოდ, ეგ სერიოზული პრობლემაა — **მწერალი** და **ენობრივი ნორმა**. ჩვენ იმის მოწმეც ვართ, კონსტანტინე გამსახურდია არა თუ ემორჩილება დადგენილ ნორმებს, პირიქით, ზოგჯერ პრინციპულად უარყოფს: განსაკუთრებით ეს ეხება ზმნური პრეფიქსების ჰაესა და სანის ხმარებას. წერს: „მე გაოცებული ვარ, რამ შეაძლა ჩვენს ენათმეცნიერებს ჰაე?“ ჰყვავის, ჰქონდა, მიჰერის მაგალითები მოჰყავს... იქვე: „სავსებით გაუგებარია, რად შეიძულეს ასონიშანი სანი. ჩანს — რა ქართულია; უცილოდ დაიწეროს სჩანს“... ამას წერს მწერალი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოწოდებაა: „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა“...

ვრცელი თემაა, სხვაც შეიძლება თქმულიყო და არაერთიც ქართული მწერლობის სინამდვილიდან, მაგრამ ამჯერად დავუბრუნდებით ისევ ოთარ ჩხეიძეს.

ამ თემას საინტერესოდ განიხილავს აკაკი მინდიაშვილი: „ცნობილია, მრავალი ცნობილი მწერლის ენა ზშირად საყოველთაო სალიტერატურო ენის ნორმებს და წესებს არ შეესატყვისებოდა...“ და შთამბეჭდავი უცხოური მაგალითების შემდეგ იმოწმებს ფოსლერის თვალსაზრისს:

„ის რაც შეცდომაა საყოველთაო ენის თვალსაზრისით, შესაძლოა, მხატვრული ღირებულებისა აღმოჩნდეს, თუ იგი თვითმყოფადი პიროვნებიდან მოდის. ხელოვნებაში ბატონობს პიროვნების უფლება, გრამატიკაში — კოლექტივისა“... (ა. მინდიაშვილი, სტილი და მწერალი, ლიტ. საქართველო, 1984, 8 იქნისი).

ამას მოსდევს ა. მინდიაშვილის დასკვნა: „ჩემი აზრით: ოთარ ჩხეიძის მიერაც ქართული სალიტერატურო ენის, მისი წესებისა და კანონების „დარღვევა“, მათი მარკირება მხატვრული თვალსაზრისით ესთეტიკურად მოტივირებული და გამართლებულია“...

ალბათ ისიც უნდა გვეთქვა, რომ სანამ კრიტიკოსი ამ დასკვნას გააკეთებს, „განმარტავს“ – „რომ ეს „ურჩი მწერლები კრიტიკოსთა, ლიტერატურათმცოდნეთა თუ გრამატიკოსთა მრავალგზისი შეტევებისა და თავდასხმების, განქიქებისა თუ დაცინვის, რჩევისა თუ რეკომენდაციების მიუხედავად, არასდროს არ ავლენდნენ სურვილს – მონურად დამორჩილებოდნენ სალიტერატურო ენის ყველა ნორმას, სასკოლო გრამატიკის ყველა წესსა და კანონს“...

მსჯელობა საინტერესოა, მაგრამ კითხვის ნიშნებს აჩენს მრავლად...

რა არის „პიროვნების თვითმყოფადობის საზომი, კრიტერიუმები?“

დარღვევის გამართლება მხატვრული თვალსაზრისით ესთეტიკურად მოტივირებულიაო – მეტ სიცხადესა და კონკრეტულობას საჭიროებს...

ამ საკითხებზე მსჯელობისას (კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ენაზე საუბრისას), კ. გამსახურდიამ აფორიზმი მოიშველია, „რაც იუპიტერს მიეტევება, ის ხარს არ ეპატიება“. ამ საკითხებზე მსჯელობისას (კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ენაზე საუბრისას), კ. გამსახურდიამ აფორიზმი მოიშველია, „რაც იუპიტერს მიეტევება, ის ხარს არ ეპატიება“.

ეს ყოველივე კარგი, მაგრამ ვინ განსაზღვრავს მწერლობაში ვინაა იუპიტერი?... (ალბათ დრო და მკითხველი... მანამდე?... „იუპიტერად“ ხომ არ იძალებიან...)

ძალიან მნელი და საჩოთირო საქმე მგონია ამაზე საუბარი...

აქ კატეგორიული ტონიც სადავოა: ერთი კონკრეტული მწერლის შემთხვევაში „სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევა გამართლებულიაო“...

როცა არსებობს საყოველთაოდ მიღებული ენობრივი ნორმა, „მომწონს“ – „არ მომწონს“, ანდა „რა ქართულია!“ – კრიტერიუმებად აღბათ არ გამოდგება... მაგრამ „პოეტური ლიცენცია?“ „მწერლის ენობრივი თავისუფლება?“...

როგორც ჩანს, რაღაც სხვა გზაა საძებნი ამგვარი ქმედების ასახსნელად...

ქართულ მწერლობაში მიხეილ ჯავახიშვილი იყო ის მწერალი, რომელიც პრინციპულად ითხოვდა სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვას... ნორმათა დადგენის საქმეშიც აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ... მაგრამ იმავე ზმნური პრეფიქსების – ჰაესა და სანის – ხმარების წესებს არ იცავდა... გამართლებაც ჰქონდა თავისებური...

როცა ოთარ ჩხეიძეზე ვსაუბრობ, მთავარი და არსებითი ჩემთვის ისაა, რომ მწერალთან შემთხვევით არაფერი ხდება; გათვლილი და გააზრებულია ყველა ფორმა... სხვაა, დავეთან-ხმებით თუ არა...

არ ვეცდები ოთარ ჩხეიძის ენის ლინგვისტურ ანალიზს. ეს არაერთი ნაშრომის თემა შეიძლება გახდეს მომავალში...

მაინტერესებს, ექვემდებარება თუ არა ახსნას ის შემთხვევები, რომლებიც „ნორმიდან გადახვევად“ მიიჩნევა... დაეძებნება თუ არა მას საფუძველი... და საერთოდ, უნდა ჩაითვალოს თუ არა „დარღვევად“ ფორმა, თუ იგი არ ემთხვევა ორთოგრაფიულ ცნობარებში წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

დარწმუნებული ვარ, არც ჩემი მსჯელობა იქნება უდავო და მისაღები ყველასათვის... მანც ვთქვათ... ეს ის საკითხებია, რომლებიც სალიტერატურო ენის თვალსაზრისითაც და მწერლის ენის თვალსაზრისითაც ფასეული მგონია და მათზე მსჯელობაც – დროული... ამ საკითხებზე დისკუსიასაც ვისურვებდი...

\* \* \*

ოთარ ჩხეიძემ თქვა: „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესებიო“.

როცა გრამატიკულ წესებზე, ნორმებზე ვსაუბრობთ, ორ მომქნებზე ვამსახვილებთ ყურადღებას – არსებობს ნორმა და არსებობს ნორმატული რეკომენდაცია. ნორმაა მაგალითად ზმნური პრეფიქსების ჰაესა და სანის ხმარების წესი; ანუ იზრუნეს და ჩამოაყალიბეს, დაადგინეს წესი მათი გამოყენებისა...

ნორმატიული რეკომენდაციაა, მაგალითად, ორთოგრაფიული ლექსიკონის მოთხოვნა – ცალცალკე დაიწეროს „მით უმეტეს“... ერთად დაწერა ამ გამოთქმისა – „მითუმეტეს“ რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობაა...

ამგვარ დარღვევებზე, რეკომენდაციათა გაუთვალისწინებლობაზე ვისაუბრებთ ქვემოთ.

\* \* \*

გრამატიკული წესების ისეთი დარღვევა, როგორიც გვხვდება „ჩანაწერებში“, საგანგებო შემთხვევებია:

„კაცმა რომ თქვას, უნდა დაიბეჭდოს, ოღონდ თვითონ არ უნდა დაიწვას ხელი, ხეტა ვითომ რაღად დაიწვამს?!” ან: „იქაც კაი ჯიბიდან გავარღნილები სხედან, არც ისინი დაიწვამენ ხელსა...“ (ჩ. 29)

ანდა: „ფეხბურთსაც ენა არ უნდა, ურტყავენ და ურტყავენ“ (ჩ. 214)

მსგავსი შემთხვევა სხვაც შეიძლება დაიძებნოს. როცა სასაუბრო მეტყველების ფაქტები (არალიტერატურული ფორმები) გაიპარება ხოლმე „ჩანაწერებში“. ცხადია, ჩანაწერი „თავისთვის“ კეთდება და საკუთარი თავის წინაშე თუ არა აქვს ის პასუხისმგებლობა, რაც ზოგადად მკითხველის წინაშე, ჩვეულებრივი მოვლენაა... ასეა სხვა მწერალთა შემთხვევა-

შიც: შინაურებთან მიწერილ წერილებში 6. ბარათაშვილთან, ი. ჭავჭავაძესთან, მ. ჯავახიშვილის „ჩანაწერებში“ და სხვა...

ასეთი ფაქტები სალიტერატურო ნორმასთან მწერლის არასერიოზული დამოკიდებულების მაგალითად არ გამოგვადგება...

საერთოდ კი, ამ ტიპის ჩანაწერებში გამოცემის დროს უნდა გასწორდეს თუ არა? მე რომ მკითხოს კაცმა, ამგვარ ჩანაწერებს ენობრივ-სტილისტური რედაქცია არ უნდა გაუკეთდეს!...

\* \* \*

სხვაგვარია ვითარება ზმნური ჰ-/ს- პრეფიქსების შემთხვევაში. მაგალითებს „ბორიაყიდან“ მოვიყვან:

პრეფიქსი სწორადაა დასმული (გრამატიკული წესების სრული დაცვით):

„ამას არაფერი გაჰკვირვებია, ან რა უნდა გაჰკვირვებოდა“;

„ეს არ ჰგავდა არცა ტკივილსა... მუქარასა ჰგავდა“;

„იმათ მოსტაცეს თვალიცა“;

„ოჳო მობრძანდითო, სთხოვა სტუმართმოყვარული გატაცებითა“...

პირის ნიშანი „ზედმეტია“:

„ყნჩაველმა დასწერა დიდება“;

„ქალაქი მაინცა ჰფარავს საშინელებასა“;

„რო ჰყვირი თუ ჰკივი...“;

„მკაფიოდ არ სჩანდა“;

პირის ნიშანი ნორმის მიხედვით საჭიროა და არაა ფორმაში: „ეგება რო დუმილი ჯობდა, ჯობდა თუ რაც არის“...

ნებისმიერი ტიპის მაგალითი მრავლად დაიძებნება.

იყო დრო, როცა ამგვარ დავალებებს მეორეკურსელ სტუდენტებს ვაძლევდით საკურსო შრომებად...

ჰ-/ს- პრეფიქსთა ვითარება სულ სხვაა...

არ მეგულება მეტნაკლებად თვითმყოფადი მწერალი, რო-  
მელიც ამ გრამატიკულ წესს ზედმიწევნით „იცავდეს“... რომ  
არ „არღვევდეს“... (მე არ ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს,  
როცა „მწერალს“ რედაქტორ-კორექტორები უსწორებენ“ ტექ-  
სტიტებს, უსვამეს სასეგნ ნიშნებს...).

პ-ს- თავსართები პრობლემა იყო ილია ჭავჭავაძისათვი-  
საც: მის ხელნაწერებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჩასწორებე-  
ბი ამ თავსართებსაც ეხება ხშირად...

ამ პრეფიქსებს აკაკი წერეთელიც არაერთგზის დაუფიქ-  
რებია. ჩვეული იუმორით კომენტარიც გააკეთა ერთგან „ჰყვა-  
ვის“ ფორმაზე (თავსართის გარეშე ვერ გავიგებთ „ყვავზეა“  
საუბარი თუ „აყვავებაზეო“...).

დიმიტრი ყიფიანი შენიშვნას აძლევს იაკობ გოგებაშ-  
ვილს, „დედაენაში“ ამ პრეფიქსთა არასწორ გამოყენებაზე...

იაკობ გოგებაშვილი ოპონენტებთან პაექრობისას „ჰყვა-  
ვის“ და „ჰქონდა“ ფორმათა შესახებ შსჯელობს და თავსართის  
შინაარსობრივი განსხვავების ფუნქციას აკისრებს...

ვაჟა-ფშაველა რედაქციას სოხოვს, ჩემს ნაწერებში „ჰ-ს  
ხელი არ ახლოოთო...“

კ. გამსახურდიას უკვირს, „რად შეიძულეს ენათმეცნიე-  
რებმა ჰ და ს“...

მ. ჯავახიშვილი გარკვეული წესის დადგენასაც ცდი-  
ლობს (ფორმათა შედარების საფუძველზე: მო-კალ / მო-ჰ-კალ  
/ მა-ზ-კალ...).

ამგვარი რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის  
მცდელობა იყო გაზეთ „ივერიაში“ 1886 წელს შეკრების დაა-  
ნონსება მართლწერის საკითხების მოსაგვარებლად...

გასული საუკუნის 10-იან წლებში საკითხს საგანგებოდ  
შეისწავლიდნენ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგა-  
დოებაში“...

საგულისხმო ისტორიაა...

მერე მიღებული იქნა აკაკი შანიძის მიერ შემუშავებული წესი, რომელიც დაედო საფუძვლად დღეგანდელ ნორმებს. სხვათაშორის ამის თაობაზე უთქვამს იოსებ ყიფშიძეს: „შეიძლება ასეთი მტკიცება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ რომ ასე უფრო მარტივდება საკითხი, ეს ცხადია“...

დიახ, თითქოს გამარტივდა, მაგრამ ვერ მოწესრიგდა...

საგულისხმო ფაქტია: „თავად წესის ავტორი ა. შანიძე წერს: „დღესაც ერთადერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება. ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“...

სამწუხაროდ, არც ჩანს ამ პრობლემის მოგვარების გზა... (მთელი სიმკაცრით მხოლოდ აბიტურიენტებისაგან ვითხოვთ მართლწერის წესების დაცვას ამ შემთხვევაშიც...).

როგორც ჩანს, ჰ-ს- პრეფიქსთა ხმარებასთან დაკავშირებით სერიოზული თეორიული საკითხებია მოსაგვარებელი...

მწერლის შემთხვევაში? — „თვითეული მწერლის სურვილსა და მოწონებას“ ალბათ ახსნა უნდა დაეძებნოს: რა შემთხვევაში გამოიყენებს ამ პრეფიქსებს და რა შემთხვევაში არა... ვიმეორებთ, საკვლევი პრობლემაა ქართულ გრამატიკაში...

ასე რომ, ოთარ ჩხეიძესთანაც ის ვითარებაა ამ მხრივ, რაც საერთოდ სამწიგნობრო ქართულში...

\* \* \*

### დაგინახივარ / დაგინახვარ

ოთარ ჩხეიძის ენაში ავ/ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითში ძირითადად ნორმატული ფორმები: „მოუკლავს, უკითხავს, უთქვამს“... მაგრამ იქვე „დაგინახივარ“, „გაგირიცხივარ“ (უნდა იყოს „დაგინახავარ“, „გაგირიცხავარ“)...

რამდენიმე სიტყვით ვიტყვით „ამ დარღვევის სასარგებლოდაც“...

ეს ის „დარღვევა“, რომელიც ფაქტობრივად უბიძგებს ნორმას ცვლილებისაკენ. ამ შემთხვევაში ერთმანეთს „შეეჯახა“ ნორმა და ენობრივი ტენდენცია.

ნორმა ასეთია: -ავ და -ამ თემისნიშნები ზმნას უნდა გადაჰყეს I თურმეობითშიც:

ნახავს – უნახავს,  
რიცხავს – გაურიცხავს,  
ხოცავს – დაუხოცავს,  
თიბავს – მოუთიბავს,  
დგამს – დაუდგამს...

არადა, საკმაოდ ძლიერია ტენდენცია -ია დაბოლოებაზე გადასვლისა: უნახია, დაუხოცია, მოუთიბია, დაუდგია... განსაკუთრებით – მეშველზმნიან წარმოებაში:

გინახავ-ვარ – გინახი-ვარ,  
გაგირიცხავ-ვარ – გაგირიცხი-ვარ,  
დაგიხატავ-ვარ – დაგიხატი-ვარ...

ეს ტენდენცია იმდენად გამოიკვეთა, ია (ი-ვარ/ზარ) დაბოლოებიანი ფორმები იმდენად გავრცელდა, რომ ამან საშუალება მოგვცა, დაგვესვა საკითხი არსებულ ნორმაში ცვლილების შეტანისა; ნორმა -ია დაბოლოებიანი ფორმების „უკუგდებას“ გვავალებს... ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გაიზიარა აზრი იმის თაობაზე, რომ -ია დაბოლოებიან ფორმებს აკრძალვა უნდა მოეხსნას და დასაშვებად იქნეს მიზნეული. ე. ი.: ნორმა იქნება -ავ/-ამ დაბოლოებიანი ფორმები; ია დაბოლოებიანი ფორმა – დასაშვები ვარიანტი... (დაუხოცავს // დაუხოცია, დაურეკავს // დაურეკია, გინახავვარ // გინახივარ...) ...

ოთარ ჩხეიძესთან დადასტურებული „დაგინაზივარ“, „გა-გირიცხივარ“ ტიპის ფორმები არგუმენტებია ამ თვალსაზრი-სის სამტკიცებლად...

\* \* \*

### იგივეს თუ იმავეს?

ოთარ ჩხეიძის პროზაში ჩვეულებრივია ფორმები: იგივემ, იგივეს: „იგივესა თამაშობს ყველა, იგივესა იგივესა, იგივესა“...

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებულში ვე ნაწილაკიან სახელთა ბრუნებაზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ ფორმა „ორივე“ ორგვარად იბრუნვის: შეუ-ხორცებლად (ორ-ს-ა-ვე) და შეხორცებულად (ორივე-ს). უპი-რატესობას ნორმადარი მეორე ვარიანტს (შეხორცებულს – ორივეს) აძლევს; ხოლო პირველს (ორ-ს-ა-ვე) დასაშვებად მიიჩნევს. ე. ი.: არ იკრძალება არც ერთი ფორმა: ერთი არის ძირითადი, ანუ ნორმა არის შეხორცებული ვარიანტი – ორი-ვე-ს, ხოლო მეორე (ორ-ს-ა-ვე) დასაშვებია, არ იკრძალება.

გრამატიკულად მსგავს ვითარებაში დასკვნა სხვადას-ხვაგვარია: შეხორცებული ვარიანტი „იგივე-ს“ წესის მიხედ-ვით იკრძალება. ანუ:

სწორია იმავე – (იმავე-ს)...

ჩვენი შემთხვევისათვის მწერალი ნორმას არღვევს მაგ-რამ საფიქრალს გვიტოვებს:

ვე ნაწილაკის ფუძესთან შეხორცების პროცესი ხან-გრძლივი პროცესია... რიცხვით სახელებთან ეს ტენდენცია დასრულებულია თითქმის, პირის ნაცვალსახელთან – პროცე-სი გრძელდება. პარალელური ვარიანტები თანაარსებობენ, თუმცა სასაუბრო მეტყველებაში, როგორც ჩანს, უპირატესობა შეხორცებულ ვარიანტს აქვს... ეს კი დაგვაფიქრებს იმაზე, ნორმა ხომ არ უნდა გადაისინჯოს...

მწერლის ენობრივი ინტუიცია ამას გვიკარნაზებს, მოეხ-სნას აკრძალვა „იგივე“... დაფიქრება შეიძლება (თუმცა დღეს ნაადრევი მგონია...)...

გრამატიკულ ნორმას არღვევს მწერალი, მაგრამ ნორმა-ტული ცვლილებებისაკენ გვიბიძგებს...

## 2. მწერლის „ორთოგრაფიული ინიციატივები“

ოთარ ჩხეიძის ენაში ერთ-ერთი საინტერესო თავისებურება ორთოგრაფიული ინიციატივებია (მას, რაზეც ახლა მინდა ვისაუბროთ, ალბათ ეს სახელი შეეფერება).

ჩვენი მსჯელობისათვის საორიენტაციო არის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ავტორები: ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი). ეს ის ლექსიკონია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა (და ასრულებს) ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში.

ცნობილი ფაქტია: ამა თუ იმ ფორმას სავალდებულობას ანიჭებს, ნორმად აქცევს მთავრობასთან არსებული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის“ გადაწყვეტილება. „ორთოგრაფიული ლექსიკონის“ წინასიტყვაში აღნიშნავნ, რომ „ეს ლექსიკონი ემყარება იმ ნორმებს, რომლებიც კომისიამ მიიღო სალიტერატურო ქართული ენისათვის“...

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, ნორმათა დამდგენ კომისიას ჯერჯერობით რომ არ უმსჯელია. მაგალითისათვის: „იქნეს“ თუ „იქნას“. ლექსიკონი მხარს უჭერს პირველ ფორმას (იქნეს), თუმცა მსგავსი ფორმობრივი დაპირისპირების სხვა შემთხვევები სხვაგვარ რეკომენდაციას იძლევა: „იშვას“ (და არა „იშვეს“)...

საკითხი ნორმის დონეზე მოსაგვარებელია; სანამ მოგვარდება, წესით ამ ლექსიკონის რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ... და ერთი და იმავე რიგის მოვლენათა სხვადასხვაგვარი არჩევანის წინაშე კლიერით. ამიტომაცაა, მაგალითად კ. გამსახურდია ჩვეულებრივ „იქნას“ ფორმას გამოიყენებს („გაგებულ უნდა იქნას“)....

ამ ზღვა მასალაში, რომელიც ორთოგრაფიულ ლექსიკონშია წარმოდგენილი, შეიძლება ისეთი შემთხვევებიც გამოერიოს, რომელიცაა მაგალითად: „ამქვეყნად“ და „იმ ქვეყნად“.

— პირველი ერთად, მეორე ცალ-ცალკეა წარმოდგენილი... ცხადია, ყოველივე ეს მოსაწესრიგებელია.

მოწესრიგებამდე? — წესით უნდა მივყვეთ და გავითვალისწინოთ ორთოგრაფიული რეკომენდაციები... მაგრამ... არაა იშვაითი, როცა მწერალი ამ რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს. ეს შემთხვევა ეგუება თუ არა ამგვარ განცხადებას: „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესები“...

მე მგონი — ეგუება...

მეტიც, ამგვარი შემთხვევები ალბათ ზოგჯერ უნდა გავიაზროთ „ორთოგრაფიულ ინიციატივად“ და შესაძლებლობის ფარგლებში ვიფიქროთ ნორმატიულ მოწესრიგებაზე... ზოგიერთ ასეთ შემთხვევაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

### „საშვალება“ თუ „საშუალება“

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ვკითხულობთ: (**საშვალება კი არა**) **საშუალება**.

ოთარ ჩხეიძე სისტემებრ „საშვალებას“ წერს:

,ნეტავი რა საშვალებასა ნატრულობს“;

,ნეტავი ჩემი რა საშვალება შეშურდა“;

,რის საშვალება მექნება“... და სხვ.

,**საშვალება**“ ოთხმარცვლიანი სიტყვაა:

,ერთ საშვალებას კიდევ ვცდი“ — რვამარცვლიანი ლექსიდანაა. ვწერთ კი ასე: „**საშუალებას!**“ —

,ერთ **საშუალებას** კიდევ ვცდი“... ამგვარი დაწერილობით — ხუთმარცვლიან სიტყვაა — **სა-შუ-ა-ლე-ბა** (**სალექსო სტრიქონი ცხრამარცვლიანი გამოლის**)... ზეპირი წარმოთქმისას არავინ ამბობს უმარცვლო ლი-ს (აღარაა ახალ ქართულ-

ში!...). ფაქტია: ქართული ორთოგრაფიის მთავარი პრინციპი – რასაც ვამბობთ, იმას ვწერთ, – ამ შემთხვევაში ირღვევა...

მწერალი წერს იმას, რასაც ამბობს... მე არა მაქვს იმის კომპეტენცია, ვთქვა მართალია თუ არა მწერალი, მაგრამ უფლება მაქვს ალვნიშნო მისი ლოგიკურობა...

(მაგრამ ვფიქრობთ, შეცდომაა, როცა ამ რიგის მოვლენად გაიაზრებს მწერალი ფორმას **უშვალო**...)

მსჯელობის საკითხი უნდა გახდეს მსგავსი შემთხვევები (მახსოვეს, საკლასო რვეულზე „საშვალო სკოლას“ ვწერდი და მასწავლებლი მისწორებდა...)...

### რო და ჰო

ოთარ ჩხეიძის სტილის ერთი საინტერესო მახასიათებელი არის „რომ“ კავშირისა და „ხომ“ ნაწილაკის თანხმოვან-მოკვეცილი ვარიანტი – „რო“, „ჰო“ (<ხო). ადრეულ ეტაპზე „ხო“-ს წერდა...

ამ ფაქტს (რო, ხო) ჩვეულებრივ დიალექტიზმად აღიქვამენ (ქართლურ დიალექტიზმად). მართალია, ქართლურში ეს თანხმოვანმოკვეცილი ფორმები ბუნებრივია, მაგრამ ვერ მივიჩნევთ მას მხოლოდ ამ დიალექტის კუთვნილებად; იგი ქართული საერთო-სახალხო ენის ზეპირმეტყველების ფაქტია („სალიტერატურო ზეპირმეტყველებაშიც“ იხმარება); თუ ვარლამ თოფურიას თვალით შევხდავთ, რაც არ არის სალიტერატურო ენის კუთხიდლება, დიალექტიზმია! ფაქტია, რომ არ არის სალიტერატურო ენის ფაქტი.

როცა ოთარ ჩხეიძე აცხადებს, რომ „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული წესებით“, იგულისხმება რომ „რო“ და „ჰო“ ფორმათა გამოყენებას არ მიიჩნევს ამ წესების დარღვევად.

ასეთი შემთხვევისათვის მოიშველია ა. მინდიაშვილმა ფოსლერი: „იმას, რაც შეცდომაა საყოველთაო ენის თვალსაზ-

რისით, შესაძლოა, მხატვრული ღირებულებისა აღმოჩნდეს, თუ ის თვითმყოფადი პიროვნებისაგან მოღის!“... ამ შემთხვევა-შიო მწერალი იყენებს „პიროვნების უფლებას“...

„აგვისტოს შვილებში“ ეს ფაქტი ასეა ახსნილი:

„რომ და ხომ კავშირებს ისედაც ხშირად იყენებდა ფრა-ზისა თუ რიტმის ღერძად, მაგრამ სტილურ ჰარმონიას თით-ქოს რაღაც აკლდა, რაღაც უნებურად ყრუვდებოდა, შეუმჩნევ-ლად, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში — მისი ყურისათვის, და ერთხელაც ორივე კავშირის ბოლოკიდურ მანს რომ ჩამოა-ცილებდა, ანუ სასაუბრო მეტყველების თავისებურ სტილიზა-ციას მოახდენდა, დაიბეჭითებდა, უკვე ყველაფერი რიგზეაო“ (450). მიიჩნევენ, რომ ამით „სტილის გადახალისების“ პრო-ცესი მოთავდა... მიიჩნევენ, რომ „რო“ და „ჰო“ რიტმის გა-ძლიერებაში იღებენ მონაწილეობას (იქვე, 484)...

ფაქტია, „რო“ არ არის სალიტერატურო ენის ფაქტი... არსებობს ასეთი ცნება — „მწერლის ენობრივი თავისუფლება“. ეს ფაქტი რამდენად ჯდება ენობრივი თავისუფლების ჩარჩო-ში, ანდა ამ ჩარჩოს „სიფართოვეს“ რა განსაზღვრავს, ძნელი სათქმელია...

თუ „რომ“ > „რო“ ბუნებრივი პროცესია და სწორედ ბუნებრივი მეტყველების ეფექტის შესაქმნელად შეიძლება იყოს შემოტანილი, სხვა ვითარებაა „ჰო“-ს შემთხვევაში.

უპირველესად შევნიშნავთ იმას, რომ ამ შემთხვევაში ორი ენობრივი ფაქტი დაემთხვა ერთმანეთს: დადასტურებითი ნაწილაკი ჰო (ჰო, კი, დიახ...) და კითხვითი ნაწილაკის „ხომ“ მოდიფიცირებული ვარიანტი: ჰო (<ხო<ხომ)... ცალკე-ულ შემთხვევაში (გარკვეულ კონტექსტში) ამას შეიძლება გა-უგებრობა მოპყვეს (შეიძლება გაგებული იქნეს დადასტურებით ნაწილაკადაც და კითხვით ნაწილაკადაც)... ორიოდე მაგალითი „ბორიაყიდან“:

„პო ამას უფრო ქალზე იტყვიან“ – ამ შემთხვევაში პო დადასტურებითი ნაწილაკია (= დიახ, ამას უფრო ქალზე იტყვიან).

„რე პო შენიშნა“ – პო კითხვითი ნაწილაკის ვარიაციაა (= რე ხომ შენიშნა...)

რაც შეეხება ასეთ მაგალითს – „პო ითქვა უკვე“ – ფრაზა ორაზროვანია:

1. დიახ, ითქვა უკვე...

2. ხომ ითქვა უკვე?... მითუმეტეს, ო. ჩხეიძე მიგებით ნაწილაკთან მძიმეს არ წერს...

ვფიქრობთ, არ არის ეს წარმატებული ძიება. ამგვარი მოდიფიკაცია გაუმართლებელი მგონია...

### სხვა ორთოგრაფიული ინიციატივები

ზემოთ ორთოგრაფიული „ინიციატივები“ ვახსენეთ. ოთარ ჩხეიძის ენის ერთ-ერთი საინტერესო ინიციატივა ზოგი გამოთქმისა თუ რთული სიტყვის დაწერილობის საკითხია. საორიენტაციო „ნორმა“ ჩვენთვის ამჯერადაც ორთოგრაფიული ლექსიკონია. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ზოგჯერ ლექსიკონში არაა გატარებული ერთგვაროვანი პრინციპი (ნიმუშისათვის: „ამქვეყნად“, მაგრამ „მდ ქვეყნად“...) ... ამ ტიპის თუ სხვაგვარ შეუსაბამობაზე ვრცლადაა საუბარი ვახტანგ იმნაიშვილის წიგნში (ვახტანგ იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადაც საკითხები, 2016).

ჩვენ რამდენიმე ფაქტზე გავაძახვილებთ ყურადღებას. ისიც ვთქვით: თუ არ არსებობს ნორმა რომელიმე კონკრეტულ ენობრივ ფაქტთან დაკავშირებით, ლექსიკონის შემთავაზებას რეკომენდაციის ხასიათი აქვს; სავალდებულობის საკითხი არ უნდა დადგეს...

, „მითუმეტეს“, „მითუფრო“ – ეს გამოთქმები ლექსიკონში ორ სიტყვადაა წარმოდგენილი (მით უმეტეს, მით უფრო). ო. ჩხეიძე სისტემებრ ერთ სიტყვად წერს. მეც პირადად ერთ სიტყვად დაწერას ვამჯობინებ. თუკი დადგება საკითხი ამ გამოთქმათა ნორმის დადგენისა, მე მხარს ერთად დაწერას დაგუჭერდი: ეს უკვე მყარი გამოთქმაა; გრამატიკული თვალსაზრისით, ერთი სინტაქსური ოდენობაა (ჩართული). საერთოდ ეს პრინციპი – ერთი სინტაქსური ოდენობა – უფრო აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ნორმის დადგენისას.

ამ შემთხვევაში მწერლის ორთოგრაფიული ინიციატივა, ვფიქრობთ, მხარდაჭერას იმსახურებს...

გავითვალისწინოთ უნდა ისიც, რომ მსგავს შემთხვევებზე გრამატიკოსი კრიტიკოსები შენიშვნას არ აკეთებენ...

\* \* \*

ოთარ ჩხეიძესთან არაა ერთგვაროვნება ისეთ გამოთქმათა დაწერილობაში, როგორიცაა: ესე იგი, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვით...

სამივე ეს გამოთქმა შეიძლება შეგვხვდეს როგორც ერთ სიტყვად დაწერილი, ისე ცალცალკე:

, „ესეიგი“, „რათქმაუნდა“, „ერთისიტყვით“ – და

, „ესე იგი“, „რა თქმა უნდა“, „ერთი სიტყვით“...

, „რა თქმა უნდა“ მეორე ვარიანტითაც გვხვდება: „რაღა თქმა უნდა“. ეს უკანასკნელი სისტემებრ სამ სიტყვად იწერება...

აქ ორ მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: რამდენად მართებულია ამ გამოთქმათა ერთად დაწერა და მეორე – ერთფეროვნების პრობლემაა მოსაგვარებელი...

წინა შემთხვევათა მსგავსად (მითუმეტეს), შეიძლება დაისვას საკითხი ამ გამოთქმათა ერთად დაწერისა, თუმცა ამას სპეციალური მსჯელობა-განხილვა სჭირდება და მეორე: ყველა

შემთხვევაში ერთგვაროვნება დასაცავია... ასეთი პარალელიზმი არაა გამართლებული... ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებთა ახალი გამოცემისას რედაქტორებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ, მე მგონია...

\* \* \*

ოთარ ჩხეიძე ერთად წერს ისეთ გამოთქმებსაც, როგორიცაა: სიხარულისმეტი, დიდიხნით, დიდიხანია, ყოველშემთხვევაში, ცოტაარიყოს... ამ ტიპის მაგალითები წინა რიგის ენობრივი ფაქტების ანალოგიურია... დასკვნაც იგივე იქნება...

საერთოდ ამ ტიპის მოვლენებზე ნორმადარებს მეტი ფიქრი მართებთ... თუმცა მწერლის შემთხვევაში „ენობრივი თავისუფლების“ პრინციპის საკითხიც დაფიქრებას საჭიროებს და, როგორც კ. გამსახურდია იტყოდა, ეს საკითხი „მწერალთა და ენათმეცნიერთა კონფერენციამ“ გადაწყვიტოსო... ამგვარ შემთხვევაში კი შეთანხმება აუცილებელია, რომ სალიტერატურო ენაში ქაოსი არ შეიქმნეს... სხვათაშორის დეფისის გარეშე დაწერილი შემხვდა „დედმამა“, „ადათწესები“, „მამაპაპა“... ასეთი ერთული შემთხვევები ენობრივი ლაფსუსი მგონია; ეს არაა ისეთი ტიპიური, როგორც მაგალითად „მითუმეტეს“ და „მითუფრო“... არა მგონია, რომ ამ კერძო შემთხვევებს მხატვრულ-სტილისტური დატვირთვა ჰქონდეთ... ამ საკითხებზეც გამომცემლებმა უნდა იფიქრონ (ვგულისხმობ: რედაქტირებისას ყურადღება უნდა მიექცეს)...

„და“ კავშირით შეერთებული გაორმაგებული სიტყვები ორთოგრაფიულში ზოგი ცალცალკეა დაწერილი, ზოგიც – ერთად.

ცალცალკეა – ბოლოს და ბოლოს, მართლა და მართლა, უფრო და უფრო... ერთადაა – დროდადრო, გზადაგზა, მაინცდამაინც...

ოთარ ჩხეიძე ყველა ამ შემთხვევაში ერთად წერს... თუმცა ერთფეროვნება აქაც ირლვევა (უფროდაუფრო // უფრო და უფრო...)...

საინტერესოდ გვეჩვენება მწერლის ისეთი ორთოგრაფიული ინიციატივა, როგორიცაა -**მეთქი** და -**თქო** ნაწილაკების სიტყვასთან ერთად (უდევისოდ) დაწერის საკითხი. **ნორმა** ამ შემთხვევაში დეფიზის დაწერას გვავალდებულებს. ო. ჩხეიძის ნაწერებში ერთფეროვნება აქაც ირლვევა (ორთოგრაფიის საკითხებზე მსჯელობისას ძირითადად ვემყარებით სამ წიგნს: „ბორიაქს“, „არტისტულ გადატრიალებას“ და „ჩანაწერებს“). თუ ვინმე საგანგებოდ შეისწავლის ამ საკითხს, ცხადია, სხვა წიგნების გათვალისწინებაც მოუწევს და, რა თქმა უნდა, ქრონოლოგიასაც მიაქცევს ყურადღებას)...

\* \* \*

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვიცდია ყველა ენობრივი თავი-სებურების წარმოჩენა – ნორმიდან, წესიდან გამიზნული თუ შემთხვევითი, ნებსითი თუ უნებლიერ გადახვევის აღნუსხვა. ოთარ ჩხეიძის ზღვა მასალაში ეს ამ ტიპის ნარკვეში არც მოხერხდება. ჩვენ გვსურდა გვეჩვენებინა, რომ ო. ჩხეიძესთან შემთხვევით არაფერი ხდება... მას მიაჩნია, რომ „არ შეიძლება დაგარღვიო გრამატიკული წესებიო“; რომ „მხატვრული სტილისათვის გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია“... ყველაფერი, რაც ხდება მის ნაწერებში, კანონზომიერად მიაჩნია და ჩვენც ვცადეთ, ამ კანონზომიერების ამოცნობა...

ვიმეორებთ, ყველა შემთხვევას ვერც შევნიშნავდით. სიტყვამ მოიტანა და ასეთი შემთხვევებიც არის: მწერალი სისტემებრ ხმარობს ფორმებს **ეგრედწოდებული** (ნაცვლად ფორმისა – ეგრეთწოდებული) და **უნებლიერ** (ნაცვლად ფორმისა – უნებლიერი)... პირველზე ვერას გეტყვით, მეორე ფორმა კი იმითაა საინტერესო, რომ ამ ფორმის **უნებლიერ** ფართოდ გავრცელებულობის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტმა სერიო-

ზული მსჯელობის შედეგად დასაშვებად მიიჩნია და ასე აისახება კიდეც ამიერიდან ორფოგრაფიულ ცნობიერებაში: სწორია უნებლიერი (დასაშვებია უნებლიერი)... ამით იმის თქმა გვსურდა, რომ ამ შემთხვევაში მწერლის ინიციატივა უმთხვევა ნორმადარის აზრს...

მსგავსი კერძოობითი ხასიათის შემთხვევა აღბათ სხვაც დაიძებნება...

დასკვნასავით ამ მონაკვეთისათვის: „ასე მეწერებოდა“... „სათქმელი თვითონ ირჩევს ფორმას“... „შეცნობადი აუცილებლობა“... „არ შეიძლება დაგარღვიო“... მწერლის „ენობრივი თავისუფლების სფეროსაკენ მოგვახდებს“... ამ სფეროს რაობის, საზღვრების შესახებ მსჯელობა არის კი შესაძლებელი?... ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია... მომავლის საქმეა...

### 3. ტავტოლოგიისათვის

ოთარ ჩხეიძის სტილის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის განმეორება (ტავტოლოგია).

ოთარ ჩხეიძის კრიტიკოსები უმეტესად არ საუბრობენ იმის შესახებ, რა სახისაა ეს განმეორება; რას იმეორებს, რატომ, რა მიზნით... ჩვეულებრივ – არ მოსწონთ; იშვიათად – მოსწონთ...

აკეთებენ დეკლარაციულ განცხადებებს:

„პირადად ჩემთვის ამ სტილის მთავარი კომპონენტი (ტავტოლოგია) მიუღებელია“ (გ. ასათიანი);

„გამეორება, თხრობის ნაწყვეტ-ნაწყვეტობა, თვითმიზნური დინამიზმი გვხვდება ხოლმე იქ, სადაც ამისთვის საკმარისაფუძველი არ არსებობს“ (ნ. ნათაძე).

„საგანგებოდ გართულებული მეტყველება ტავტოლოგიებით“ (გრ. აბაშიძე)

„გადატვირთულია მოსაბეზრებელი მრავალსიტყვაობით, განმეორებით, ტავტოლოგიებით“ (ბ. უღენტი)

,ნაწარმოებში („ბორიაყში“ – გ. გ.) თითქმის ყოველი სიტყვა ცალკე წინადაღებას მოიყოლიებს. ასე იქმნება აზრისა და სიტყვის ძნელი დაბირინთი. ავტორის ლტოლვას განმეორებისაკენ ჭეშმარიტად არა აქვს მიჯნა“ (თ. კოპლატაძე, ზ. ჭუმბურიძე).

სხვანი ოთარ ჩხეიძის ამ სტილურ ხერხს (ტავტოლოგიას) სხვაგვარად ხედავენ:

,ოთარ ჩხეიძის სტილისთვის დამახასიათებელი ეს „დაუსრულებელი“ განმეორებანი სამივე დონეზე (ფონეტიკურ, ლექსიკურ და სინტაქსურ) მხატვრულად მოტივირებულია, ღირებული და მნიშვნელოვანია“ (ა. მინდიაშვილი);

,ეს სტილისტური წრებრუნვა, აზრის წრიული ტრიალი ფორმის თვალსაზრისით... მან ამ სტილურ წრებრუნვაშიც მოახერხა აზრებისა და სიტყვების რეფრენული გამეორებიდან ლაბირინთი შეექმნა“ (მ. ჯოხაძე);

მინდა ეს მონაკვეთი ნაირა გელაშვილის აზრით შევაჯამო: „ეს გადახვევ-გადმოხვევანი, მთხოობელის ეს „დაბნეულობა“ ესთეტიური ფორმალობის გარდა ძალზე ზუსტად აზრობრივ მიზნებს ემსახურება და უაღრესად ორგანული ნაწილია ნაწარმოების მთლიანი სტრუქტურისა“...

ეს თვალსაზრისი და, განსაკუთრებით, მთელი წერილი ნაირა გელაშვილისა დამაჯერებლად აჩვენებს იმას, რომ ოთარ ჩხეიძესთან შემთხვევით არაფერი ხდება... მაგრამ ეს მაინც ზედაპირული შთაბეჭდილებაა...

ამოსაცნობია და შესასწავლია: რას იმეორებს, როგორ და როდის... როგორია განმეორებათა და გრაფიკულ ვარიაციათა (იხ. აქვე გვ. 89 და შმდ.) ურთიერთმიმართება, დანიშნულება... მაგალითად იმეორებს სიტყვებს:

, „ბარიკადები არა სცხრება.  
ბარიკადები.  
ბარიკადები“.

იმეორებს ფრაზებს:  
„ეს არ გაეგებოდა, არ უწყოდა, არ უწყოდა, ბევრი რამ  
არ უწყოდა“...

იმეორებს გრამატიკულ ელემენტებს:  
„მანდაცამეთქი და ყველგანამეთქი; ტარიელსაც ვუთხარი-  
მეთქი, ახლა ჩვენი ლიტერატურა და კოლმეურნეობის ბალი  
ერთიამეთქი“...

„არაო, არაო, როგორმე ყრუდ მივანიშნებთო, გამგები მა-  
ინც გაიგებსო. და ჩვენ მოგვეცემა თავდაცვის საშვალებაო“...

გამეორებას, როგორც ითქვა, მიზნობრივად მიმართავს;  
როგორც ჩანს, ამ ხერხს ძალიან სერიოზულ ფუნქციას აკის-  
რებს მწერალი; აი, ეს არის ამოსაცნობი... ერთ კონკრეტულ  
მაგალითზე შევჩერდები ორიოდ წუთით: იმეორებს წინადადე-  
ბებს; ერთ უჩვეულო გამეორებას წავაწყდი „ბორიაყში“ (ამ  
ნარკეგვზე მუშაობის მანძილზე საწერ მაგიდაზე მუდმივად მე-  
დო „ბორიაყი“, „ჩანაწერები“ და „აგვისტოს შვილები“...):

„შენიშნა რუცა, რუი მოწანწკარე, დამტვერილ ბალახებ-  
ში. (...) და ისხურა მერე. ისხურა ხარბადა, მოჩქარებითა,  
თვალებზეც ისხურა, ყურებშიც ისხურა (...) და იხილა იგი,  
რაც არ უნდა ეხილა, ანთუ ვინც არ უნდა ეხილა, (...) თუმცა  
იხილაო, არა?... პოდა იხილა: რუში კაცი ეგდო... კაცი ეგდო  
რუში... ეგდო რუში კაცი, მართლა კაცი, ანთუ – მართალი  
კაცი!...“

ამ სიტყვა-ფორმათა განმეორებით „დახუნძლულ“ მონაკ-  
ვეთში წინადადების იშვიათ ტავტოლოგიას მივაქცევ ყურა-  
დლებას:

რუში კაცი ეგდო...

**კაცი ეგდო რუში...**

**ეგდო რუში კაცი...**

(პორიზონტალურ-ვერტიკალურად ერთნაირად იკითხება...)... იმეორებს წინადაღებას და ატრიალებს... ამგვარ ვარიანტებს გრამატიკოსები მაშინ „ვატრიალებთ“, როცა სინტაქსში სიტყვათა რიგს ვასწავლით...

მაკა ჯოხაძე რომ წერდა, ესაა ის „სტილისტური წერებრუნვა“... მწერალი ქმნის ეფექტს, რომ მოგზაური გაოცებულია ნანახით და „ხედავ“ პერსონაჟს, რომელიც გარშემო უვლის იმ კაცს; სხვადასხვა მხრიდან უყურებს და აღიქვამს...

ეს იმას მიანიშნებს, რომ გამეორება მიზანდასახული მხატვრული ხერხია... ამ მიზანდასახულობის ამოცნობაა საჭირო, თუ იქნა შესაძლებელი...

მე არ მაქვს პრეტენზია ამგვარი „ამოცნობისა“ (მითუმეტეს ამ ნარკვევში...), მაგრამ ისეთი მიდგომა არასერიოზული მგონია და დამაზიანებელი ლიტერატურული პროცესისა: ვეულისხმობ იმგვარ „მარტივ“, „დიმილისმომგვრელ“ მიდგომაზე, მწერალთა კავშირის ერთ-ერთ შეკრებაზე რომ გაიჟდერა თურმებ: „აი, მე გაზრახული მაქვს რედაქცია გავუკეთო მის ნაწერებს, ტავტოლოგიები ამოყვარო... და ნახავთ, მაშინ როგორ დაიჭუხებს ოთარ ჩხეიძის პროზა“ (ვრცლად იხ. აქვე გვ. 103)...

რას ნიშნავს ტავტოლოგიების ამოყრა და შესაძლებელია კი ასეთ რამ?

ერთ პასაჟს ამოვწერ შემთხვევით გადაშლილ გვერდიდან („ბორიაყი“):

„... დადგნენ ცხენებიცა; ცხენები დადგნენ; მტვერი მაინც დიდხანს ეხვიათ, სქელი, გრაგნილი, გაუვალი მტვერი, მტვერი და ქარი, კუდიანი ქარი ეხვიათ და ეხვეოდა კიდევ და კიდევა, თითქოს გაცლაც რო არ ენება, ოღონდ და მაინც ენება თუ არ ენებაო, იფშხვნებოდა მაინცა, იმსხვრეოდა, იწეწებოდა,

მილივლივებდა ზევით-ზევითა, ზევით ენება, დედამიწა აღარ ეჭაშნიებოდა ავარდნილსა დედამიწიდანა“... (აქ შევწყვიტოთ)...

ტავტოლოგიები ამოვფაროთ... შეუძლია ვინმეს ამის გაკეთება? მერე რა რჩება? იქნება ის ოთარ ჩხეიძე? ანდა საერთოდ, მხატვრული ნაწარმოები? (მე არ ვამბობ, ტავტოლოგიების გარეშე მხატვრული ნაწარმოები არ იქნებამეთქი საერთოდ; მე კონკრეტულ შემთხვევას ვგულისხმობ)...

ახლა სხვა ნაწარმოებებიდან; „ბერმუნდის სამკუთხედის“ დასაწყისი: „აჩრდილი ეგონა, არც ეგონა. დღისით, მზისითა აჩრდილები არ გაეგონა. მოლანდება?... გაეგონა. დღისითაც გაეგონა. გაეგონა. და. ელანდებოდა. პირველად ფანჯარასთანა. მერეცა. და. მერეცა. ფანჯარა თრიალეთს გასცეროდა“ – და ასე შემდეგ...

კითხვაა უამრავი: რა არის ის „ზუსტი აზრობრივი მიზანი“ ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში (და საერთოდ...)?

რისთვის იქმნება და ვისთვის იქმნება ეს „ლაბირინთები“?

რით არის თითოეულ შემთხვევაში განმეორება მოტივირებული? – ვიცი, რომ ეს კითხვები ურთულესია... მნელია პასუხის გაცემა – თუკი არის საერთოდ შესაძლებელი... ხშირ შემთხვევაში პასუხის გაცემა ამგვარ კითხვებზე აღბათ ავტორსაც გაუჭირდებოდა...

**ასეთი გახსენება:** დავით კლდიაშვილი სერგო კლდიაშვილს ესაუბრება. სერგო ეკითხება ერთ-ერთ ფრაზაზე „სოლომონ მორბელაძიდან“: – „ეს გაიგონე და ჩაიწერე?“ დავითი: „არც გამიგონია და არც ჩამიწერია. სიმართლე გითხრა, მე ასეთებზე თავი არ მიტებია. ვწერდი, როგორც იწერებოდა“... თითოეული ფრაზა, წინადადება თუ სიტყვა არ იყო საგანგებოდ ნაფიქრი... წერდა, როგორც იწერებოდა...

ოთარ ჩხეიძეც წერს, როგორც იწერება...

ხოლო რა ფორმით და როგორ, ამას განსაზღვრავს ის, „რაიც შთაგონებით სწყალობს“ (ანა კალანდაძე)...

ტავტოლოგიების „ამოყრას“ ვერ შევძლებთ; ამოხსნაა საჭირო... უნდა ვცადოთ, თუმცა ეს გაცილებით ძნელია (თუკი შესაძლებელია საერთოდ)... ითლი — უარყოფაა, დაწუნებაა („არ მომწონს“, „მიუღებელია“....).

ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძის პროზის ენობრივ-სტილისტური ანალიზი მომავლის საქმეა... ბევრი რამ იქნება გა-სათვალისწინებელი:

ქრონოლოგია ნაწარმოების შექმნისა (ანუ მწერლის სტილის ჩამოყალიბების რა ეტაპზე იქმნება ნაწარმოები);

განმეორება სხვადასხვა ნაწარმოებში (თუნდაც „ბურუსში“, „ბორიაყსა“ და „თეთრ დათვში“)... ერთი და იმავე ნაწარმოების სხვადასხვა ეპიზოდში; სხვადასხვა პერსონაჟთან... სხვადასხვა უანრის ნაწარმოებში (რომანში, ეტიუდში, დრამაში, ტრაგედიაში, პუბლიცისტიკაში)...

ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ენობრივ-სტილისტური ანალიზი მომავლის საქმეა...

## ბოლოსითყვა

გასული საუკუნის 80-იან წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთომეული მზადდებოდა გამოსაცემად (რვატომეულის საფუძველზე). გამოცემის რედაქტორმა მიხეილ ჭაბაშვილმა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ვადის გაგრძელება სთხოვა – კიდევ არის სამუშაო ლექსიკონზე.

აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ (რვატომეულის მთავარმა რედაქტორმა) უპასუხა:

— ლექსიკონზე მუშაობა არ მთავრდება; უნდა შეძლოთ წერტილის დასმაო...

ეს ამბავი ოთარ ჩხეიძის შესახებ ნარკვევის დაწერის სურვილმა გამახსენა...

მნელია, მაგრამ შევძელი წერტილის დასმა...

რამდენად სწორად, რამდენად დროულად, ამას მკითხველი განსჯის...

ჰოდა, კიდევ რამდენი რამაა სათქმელი...,

სხვა იტყვის... უკეთესადაც... ჩვენ კი დაველოდებით გულმოწყალე მკითხველის მსჯავრს...

